

ა . კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

მეცნიერება და ტექნიკა ილიასეულ  
„ივერიაში“

გამომცემლობა „განათლება“  
თბილისი - 1987

წიგნში განხილულია ილიასეულ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციები და წერილები, რომლებიც მკითხველებს აცნობდა იმდროინდელი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, მათ მნიშვნელობას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთან ერთად, ისტორიული ამბების ფონზე, მოყვანილია სამეცნიერო-ტექნიკური აზროვნების დღევანდელი დონის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ნაშრომი მკითხველებს აცნობს იმ გზას, რაც „ივერიაში“ აღწერილმა ბევრმა სიახლემ განვლო, გაუმჯობესდა და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების კუთვნილება გახდა.

დიდი მწერლისა და მოაზროვნის დაბადების 150-ე წლისთავზე წიგნი კარგი სარეკლამო იქნება მოსწავლე ახალგაზრდობისა და დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რეცენზენტები: მ ი რ თ ნ    ხ ე რ გ ი ა ნ ი ,  
თ ა მ ა ზ    ა ფ ხ ა ზ ა ვ ა

„ვინ მოსთვლის ყოველს ამ სიკეთეს,  
რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ  
შესძინა კაცობრიობას“.

ილია ჭავჭავაძე

ახლა, როცა აღინიშნება დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი, უფრო ახლობელი გახდა მისი საზოგადოებრივი თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის ყოველი შტრიხი და აქცია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის თითქმის არც ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო თუ ტექნიკური მიღწევა, არც ერთი ადამიანის გენიის მონაპოვარი მხედველობიდან არ გამორჩენია ილიასეულ „ივერიას“. დიახ, „ივერია“ მანათობელი ლამპარივით აჩვენებდა ქართველ ერს მომავლის სურათებს, განსჭვრეტდა მეცნიერულ აღმოჩენათა მომავალ სიკეთეს, წინასწარმეტყველებდა, რას იხილავდნენ ადამიანები უახლოესი თუ ათეული წლების შემდეგ.

ილიასეულ გაზეთს ხალხში შეჰქონდა სამეცნიერო განათლება, იყო ამ საქმის დიდი პოპულარიზატორი და ჰქონდა თავისებური დახვეწილი სისტემა, რომელიც მოწოდებული იყო მკითხველის ცოდნა აეყვანა თანამედროვეობის დონეზე, მიეცა მისთვის ფართო ჰორიზონტი, მსჯელობისა და ფანტაზიის უნარი.

„ივერიის“ 1886 წლის პირველი ნომრის მოწინავე წერილში გამოქმული იყო მოსაზრებები იმაზე თუ როგორი უნდა ყოფილიყო გაზეთი. სხვათა შორის აქ ვკითხულობ: „იგი საყოველთაო უნდა იყოს. რაკი საყოველთაო იქნება, ანბანიც უნდა იყოს შიგ და მეცნიერების უკანასკნელი დასკვნა და სიტყვა“.

და აი, ამ მიმართულებას გაზეთი არასოდეს არ ლაღატობდა.

კითხულობ „ივერიის“ ფერგადასულ გვერდებზე სამეცნიერო-ტექნიკურ თემაზე დაწერილ წერილებსა და ინფორმაციებს და გიკვირს,

„საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთმა რა ფართოდ დაუთმო ადგილი მათ.

ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოსული გაზეთის განსაკუთრებული ყურადღება მეცნიერებისა და ტექნიკისადმი შემახვევითი არ იყო.

სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევარმა კაცობრიობას მისცა არაერთი შესანიშნავი აღმოჩენა, გამოგონება და ტექნიკური სიახლე. სწორედ მათ მოახდინეს დიდი ზეგავლენა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე, ცალკეული ქალაქების, მხარეების, სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და ხელი შეუწვეს ხალხთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო პირველად ამბების შორ მანძილებზე გადაცემა ელექტრული ტელეგრაფით. 1855 წელს რუსეთში, ხოლო 1860 წელს საქართველოში დაიწყო სატელეგრაფო კავშირების სწრაფად განვითარება და ობობას ქსელიცით მოედო პლანეტას ტელეგრაფის სახმელეთო თუ წყალქვეშა ხაზები.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არც ერთმა გამოგონებამ არ პოვა ისეთი გავრცელება, როგორც ტელეფონმა, რომელიც 1876 წელს იქნა პირველად გამოცდილი. სადღეისოდ დედამიწის ზურგზე 600 მილიონზე მეტი ტელეფონი მუშაობს. ყოველწლიურად მათი რაოდენობა 25-30 მილიონით იზრდება.

1881 წელს ქართველი ჟურნალისტი ი. წეროძე პარიზში მოწმე გახდა გამოჩენილი უნგრელი მეცნიერის ტ. პუშკაშის მიერ ჩატარებული მსოფლიოში პირველი ტრანსლაციისა, რაც დღევანდელი სადენებიანი რადიომანუწყებლობის წინამორბედი გახდა. დიახ, ქართველმა კაცმა საქართველოს მოაწვდინა უცნაური ამბავი, რომ, თურმე, შეიძლებოდა შორ მანძილზე ადამიანებს მოესმინათ, თუნდაც, ოპერა.

დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და განმანათლებელი ნ. ნიკოლაძე საფრანგეთში დაესწრო ელექტროენერჯიის შორ მანძილზე გადაცემის ექსპერიმენტს და გვერდით ედგა მის ავტორს მ. დეპრესს, - შემდგომში საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს. ამის შემდეგ ოცნებობდა ნ. ნიკოლაძე საქართველოს ელექტროფიკაციაზე და ენგურჰესის მშენებლობაზე. 1893 წელს ნ. ნიკოლაძის ინიციატივით პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოდის ცნობილი რუსი ინჟინერი ე. გვოზდევნი და თბილისში ატარებს მსოფლიოში და რუსეთში პირველ ექსპერიმენტს - ერთ სატელეგრაფო ხაზში დეპეშებისა და სატელეფონო ლაპარაკის ერთდროულ გადაცემას.

XIX საუკუნის დასასრულს კაცობრიობა მათემატიკის გარეშე მათ-

ერში სიგნალების გადაცემის მოწმე გახდა. დიახ, დაიწყო რადიოტექნიკის „გარიტრაჟი“. 1897 წელს საქართველოში ჩატარდა რადიოდეპეშების პირველი გადაცემის ექსპერიმენტი.

თბილისში პირველი ელექტროგანათება შემოიღეს, დაიწყო საქართველოში ხიდების მშენებლობა, საამშენებლო მასალების გამოკვლევა. მუშაობას შეუდგა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცნიერი და ინჟინერი მიხეილ გარსევანიშვილი. ქართველი საზოგადოება ოცნებას იწყებს ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის.

„ივერია“ კი სისტემატურად აშუქებს თავის ფურცლებზე ამ საკითხებს. მკითხველს გატაცებით უამბობს ახალ ტექნიკურ სიახლეებზე კავკასიაში, რუსეთში, თუ უცხოეთში.

ილიასეული გაზეთი ცდილობდა ყოველი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხი მკითხველისთვის გასაგებად განემარტა. ასეთი ხასიათის პუბლიცისტიკა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ დღეს ჯერ კიდევ ბევრი რამ გემართებს, რათა მაღალ დონეზე ავიყვანოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პოპულარიზაცია, გამოვძებნოთ მისთვის ახალი ფორმები, რომლებიც ახალგაზრდობას უფრო მეტად გაუღვიძებს ინტერესს ტექნიკური პროგრესისადმი და შთაუწერავს სურვილს უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის დაჩქარებაში.

ილიასეულ „ივერიაში“ სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხებზე გამოქვეყნებული მასალები საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ თვალნათლივ გვიჩვენებს გაზეთის რედაქციის და თვით მისი რედაქტორის დამოკიდებულებას ამ თემისადმი, არამედ იმიტომაც, რომ დღევანდელ თაობას საშუალება ეძლევა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, თუ როგორ განვიითარდა ყოველივე ის, რაც მაშინ ადამიანებს აკვირვებდა, აოცებდა და აფიქრებდა.

დიახ, „ივერიის“ ფურცლები დამაჯერებლად გვარწმუნებს იმაში, რომ მეცნიერების განვითარებას და წინსვლას არა აქვს საზღვარი, რომ წინ არის ახალი ზღუდეები, ამოცანები, სამეცნიერო-ტექნიკური იდეები, რომელთა დაძლევა, გადაწყვეტა და განხორციელება მოუხდება დღევანდელ თაობას XXI საუკუნის მიჯნაზე.

საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი მიიღო ქართველმა საზოგადოებამ. ათეულმა წლებმა არა თუ წაშალა, არამედ უფრო ახლობული გახადა ჩვენთვის „ივერია“; დღეს მთელი რესპუბლიკა ზეიმით აღნიშნავს მისი რედაქტორის - ილია ჭავჭავაძის - იუბილეს, იმ ადამიანისა, რომელმაც ფეხი აადგმევინა გაზეთ „ივერიას“, სული შთაბერა, დაავაჟკაცა და მთელი საქართველოს კუთვნილებად გადააქცია.

## ოცნება ელექტრიფიკაციაზე

დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი ელექტროენერჯის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის დარგებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში კი, განსაკუთრებით 80-იან წლებში, ელექტრობა რომ იტყვიან, პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა.

ილიასეული „ივერია“ კი მომავალზე ოცნებობდა.

აი, რას წერდა გაზეთი 1880 წლის № 53-ში:

„ჩვენი ქვეყანაც ხომ მთიან-კლდიანია, და „მთიდგან მონაქანი წყლებიც“ ბევრი მოიპოვება... გაუვლია ორას-სამას წელიწადს. მთელი ეს დიდი ხანი რალაც უუნაურ სიზმარში გაგატარებია. გამომფხიზლდა, თვალებს იფშენებ, იხედები აქემ-იქით, უყურებ და ველარ გიცვინა. აგერ სადღაც მივარდნილ აღაგას, სადმე არაგვის ხეობაში, კლდიდამ წყალი გადმოგრიალებს; აქვე ბორბალი ტრიალებს, „დინამოს“ „ელექტრონული მაშინა“ მუშაობს და ამუშავენს მაშინას, რომელიც ლუდსა ჰხდის, მაშინას, რომელიც ქერს ჰლევავს, მაშინას, რომელიც ერბოს ჰლევებავს; აგერ დაღამდა და იმავე წყლისა და „დინამო“ „ელექტრონული მაშინის“ წყალობით მთელი სოფელი ელექტრონის ღამშეობით არის განათებული“.

მაშინა ლუდს ჰხდისო, ქერს ჰლევავსო, ერბოს ჰლევებავსო, სოფლებში ელექტრონის ღამშეობი ანათებენო!

დაიჯერებდა ამას „ივერიის“ მკითხველი?

და რომ დაეჯერათ, ილიასეული გაზეთი განაგრძობდა ამ თემაზე მკითხველებთან საუბარს.

„ამუშამად დაიბადა ახალი ძალა, ძალა ელექტრონისა, რომელიც უფრო დიდად შესცვლის კაცობრიობის ყოფა-ცხოვრებას. ელექტრონის ძალა ეხლაც მეტად სასარგებლოა ხალხისათვის და, გვგონია, რომ ოცდა და ოც-და-ხუთ წელს შემდეგ ისე შეცვლის ჩვენს ავ-კარგიანობას, რომ ეხლა სიზმარშიაც ვერა ვნახავთ“ - წერდა გაზეთი (№220) 1892 წელს.

გაზეთს საჭიროდ მიაჩნდა იმის განმარტებაც, თუ რას წარმოადგენდა ელექტრობა. დიახ, მაშინ, როცა ძნელად თუ მოიძებნებოდა წიგნები ფიზიკურ მოვლენებზე, მართლაც საჭირო იყო მკითხველისათვის მისი წარმოდგენა. ეს რასაკვირველია, ადვილი არ იყო და „ივერია“ შენიშნავს:

„რა არის თვით ელექტრონის ძალა? ინგლისელი მეცნიერი ლუჯი

ამბობს, რომ „ელექტრონი ეფირის ძალაა“. მეორე ინგლისელივე მეცნიერი კრუკის ამტკიცებს: „ელექტრონის ძალა სხვა-და-სხვა ნაწილისაგან შესდგებაო“, ე.ი. ელექტრონის ძალას შეადგენს წყალ-მბადი, მუავ-მბადი და სხვა. საფრანგეთის მეცნიერი ბადური გვარწმუნებს, რომ ელექტრონის ძალა ისეთსავე სხივებისაგან შესდგება, როგორც მზის შუქი და სხვ. ამ გვარი. სწორედ მოგახსენოთ, მეცნიერთა ჯერ-ჯერობით კარგად ვერ გამოუკვლევიათ, რისგან წარმოსდგება საკვირველი ძალა ელექტრონისა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანის გონება ოდესმე ამ გამოყანასაც გამოიცნობს“.

მკითხველს რომ ელექტროენერგიის პრაქტიკული გამოყენება ფუჭი ოცნებაა არ მიეჩნია, „ივერია“ იმედს იძლეოდა: „მეცნიერება ისეთის არქარებული სიარულით მიდის დღეს წინა, რომ დღეს ციხით ყოვლად შეუძლებელი, ხვალ სრულიად შესაძლებელია. ტყუილად კი არა სთქვა ფილოსოფოსმა ბეკონმა, რომ პროგრესი კაცობრიობისა არაშესაძლის მიჯნების განზე გაწევა და შორს გადადგმაა“.

ილიანელულ გაზეთს მიაჩნდა ელექტროენერგიის რკინიგზის ტრანსპორტზე გამოყენების შესაძლებლობა.

1891 წლის „ივერიის“ № 20-ში დაბეჭდილი იყო წერილი ამ საკითხზე. როგორც გაზეთი იუწყებოდა, ინგლისელი პროფესორი ელი ტომსონი „ღრმად არის დაწვინებული, რომ რკინის გზებზედ ყველგან ელექტრონს იხმარებენ სამომრავებელ ძალად და მატარებელი მაშინ გაცილებით უფრო ჩქარა ივლის, ვიდრე ეხლა. როცა ორთქლს სრულიად განდევნის ელექტრონი, მაშინ, ეჭვი არ არის, ხარჯით ნაკლები მოუნდება ამ საქმეს და მოგზაურებიც უფრო სწრაფად და მცირედის ფასით შეიძლებენ ერთისადგილიდგან მეორეში გადასვლას... ეხლა თუ 60 ვერსამდე ძლივს გაჩნის რკინის გზის მატარებელი, რაც უნდა ჩქარი და სწრაფი იყოს, მაშინ 150-225 ვერსის გავლას შეიძლებს სააბშივე და ამ მხრივაც საქმე განკარგდება და გაუკეთესდება“.

მაგრამ ელექტრონის ძალა შეიძლებოდა სხვა დანიშნულებისთვის გამოეყენებინა ადამიანს.

ინგლისელ მეცნიერ კრუკის შესახებ გაზეთი წერდა, რომ 1891 წელს ლონდონის ელექტროტექნიკოსთა საზოგადოების კრებაზე მან ასეთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: „ელექტრონის ძალის გამოყენებაში დამარწმუნა, რომ შესაძლებელია დეპეშის გადაცემა უმატოლოდაც მოხერხდესო და, იმედია, ოდესმე ეს ჩემი აზრი განხორციელდება, მაგრამ რა საჭიროა ლაპარაკი იმ საქმის შესახებ, რომელიც, ჯერ ვინ იცის, როდის მოხერხდება და ამიტომ ვშიშობ; ჩემი აზრი ბოლედად არ ჩამომარტყათ“.

ძალზე მნიშვნელოვანი მოსაზრება აუწყა მკითხველებს ჯერ კიდევ 1892 წელს ილიასეულმა გაზეთმა - უმაცოლოდ დებეშების გადაცემა! დიახ, რადიოს შექმნის იდეა.

„ივერიაში“ როცა ელექტრული ძალის გამოყენების პერსპექტივებზეა საუბარი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. ამ ადამიანმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა იწინასწარმეტყველა ელექტრიფიკაციის დიდი მომავალი.

აი, რას წერდა ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „ნოვოე ობოზრენიაში“ 1887 წელს: „... ეოცნებობ იმის თაობაზე, თუ რა ბედი მოეღოს ჩვენს მიიან ქვეყანას ახლო მომავალში, როცა რევოლუცია მოხდება... ნუ გეშინიანთ, სახეში მაქვს მშვიდი, აუცილებელი რევოლუცია ეკონომიკურ წესწყობაში, რევოლუცია ფინანსებში, მრეწველობაში, რომელიც უკვე იწყება ჩვენს თვალწინ. ამ რევოლუციას არც აფეთქება, არც სისხლის ღვრა, არც ტახტების და საკურთხეველის ღეწვა მოსდევს, მაინც მისი შედეგი ბევრად გადააჭარბებს საფრანგეთის 1789 წლის „დიდ“ რევოლუციის ნაყოფს.

მახსენდება მკრთალი, გატანჯული, დაშინებული პირისახე მარსელ დებრეს, რომელმაც მოიხზრა და დააფუძნა „ელვისოს (ელექტრონის) გადაცემა“. მაშინ დავესწარი მის. ცდას, რომელიც მოხდა საფრანგეთის მეცნიერული აკადემიის თანდასწრებით. კრეილის ჩანჩქერმა, რომელიც 47 ვერსიით დაშორებულია პარიზზე, ამ უკანასკნელ ქალაქში, ტელეგრაფის სადა. მაცოლოდ აუარებელი ძალის და სიდიდის მანქანები დააბრუნა“.

ქართველი განმანათლებელი განაგრძობდა გამოყენებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი აღფრთოვანებით წერდა: „აი, მაშინ გაუთენდება აღდგომა ჩვენს მიებს! რამდენი მთელი მდინარე, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მოძრავი ძალა გვაბადია!“.

ილიასეულ „ივერიასთან“ ერთად ნიკო ნიკოლაძე საქართველოს ელექტრიფიკაციაზე ოცნებობდა.

სწორედ, 1887 წელს, როცა ნიკო ნიკოლაძის წერილი დაიბეჭდა „ნოვოე ობოზრენიაში“ თბილისში შენობებისა და ქუჩების განათების საკითხი სულ უფრო აქტუალური გახდა. „ივერია“ (№ 18) წერდა: „ამჟამად ტფილისში იმყოფება შვეიცარიელი ინჟინერი ბ-ნი ბლოშო. ბლოშოს შვეიცარიაში ჰქონია მინდობილი ელექტრონით განათება. ბლოშოს განზრახვა აქვს შეადგინოს პროექტი ტფილისის განათების ელექტრონით და ის საშუალებებიც დაასახელოს, რა საშუალებებით შეიძლება მოხერხდეს ეს საქმე“.

შემდგომ „ივერია“ (№ 175) აღნიშნავდა: „ჩვენს მკითხველებს



ეხსომებამა ამბავი ქართული თეატრის განათებაზე ელექტრონის სინათლით. ჩვენ დღეს შევიტყუეთ, რომ ამ საქმის იჯარაღმა, ბ-ნმა ბლოშომ, ღარიბაშა მცოდნე მეხანოკოსი, რომელიც უკვე გამომგზავრებულია შევიტყარიიდამ ჩვენსკენა ხსენებულის საქმის დაწყებისათვის“.

როგორც ირკვევა, იმავე წელს ქართულ თეატრში ადგილობრივი განათება მოეწყო. საინტერესოა განცხადება, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1887 წლის 4 დეკემბერს. „სხვადასხვა ხიფათის ასაცილებლად, თეატრის ადმინისტრაცია უმორჩილესად აუწყებს ტფილისის პატრივციმულ საზოგადოებას, რომლის უმთავრეს ნაწილს არა ვქონია შემთხვევა ელექტრონის სინათლის ნახვისა, რომ ელექტრო დენის სინათლე შესაძლოა უცებ ჩაქრეს მცირე ხნობით და რამდენიმე წუთის შემდეგ გაცხოველდეს. ამას გარდა, თეატრის ადმინისტრაცია ცალად რაცხს დაუმატოს, რომ ელექტრონიკ განათების გამო არას გზით ცუცხლი არ გაჩნდება“.

აი, ზოგიერთი საინტერესო ინფორმაცია ქალაქის განათებაზე შემდგომ პერიოდში:

„პეტერბურგის ელექტრონიკ განათების ფირმის აგენტს ბ-ნს სვიატსკის ამას წინად ტფილისში მოლაპარაკება ვქუდა ქალაქის მოურავთან ქურების ელექტრონიკ განათების შესახებ. ეხლა ბ-ნს სვიატსკის ტფილისში მოუწერია: შემატყობინეთ ყოველი თვეში რამდენის საათის განმავლობაში ანთია ქურებში ფარნები, რომ გამოვიანგარიშო, შემიძლიან თუ არა იმ ფასად გავმართო ტფილისში ელექტრონიკ განათება, რაც ეხლა გეხარჯებათ“ (ივერია“, 1892, № 23).

„7 თებერვლიდგან ტფილისში, სასახლის ქურაზე, მალაზიებს ელექტრონიკ ანათებს ბლოშოსა და ამხ. ფირმა. მალაზიის განათებაში ფირმა იღებს მცირე ფასს, თვეში 3 მანეთს. ამბობენ, რომ ტფილისის სხვა ქურებზედაც სურდ მალაზიების პატრონებს ელექტრონიკ გაანათონ თავიანთი მალაზიებიო“ („ივერია“, 1892, № 32).

„ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის ელექტრონიკ განათება იჯარით მიეცა ინჟინერს ნ. აივაზოვს. ამავე აივაზოვს განზრახვა აქვს, ტფილისის სიბრანისა და კრუუოვის განათებაც იჯარით აილოს“ („ივერია“, 1892, № 35).

„როსტოველი ქარხნის პატრონს ა. კ. სტიროს შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ მას დაეთმოს მიხეილისა და კირიჩნის ქურების განათების საქმე. სტიროს აზრადა აქვს ეს ქურები „ვაშინგტონის“ სისტემის ლამპებით განათოს“. („ივერია“, 1900, № 120).

ილიასეული გაზეთი სისტემატურად აქვეყნებდა ინფორმაციებს

თბილისში მოწყობილ ელექტრულ განათებაზე. იგი ამ საქმის დიდი მო-  
ამაგე და მახარობელი იყო. ამასთან, „ივერიას“ შესანიშნავად ეს-  
მოდა, რომ ელექტროენერჯის გამოყენება მჭიდროდ იყო დაკავშირებუ-  
ლი სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტასთან.

### აკუმულატორით? დიახ, ძალის შენახვა

1890 წლის № 58-ში გაზეთი წერდა: „მეცნიერებამ შესძლო და  
შოხებრა ძალის შეგროვება. შენახვა, ისე, როგორც ჩვენ, მაგალი-  
თად, ვინახავთ ხოლმე ზაფხულის ხილს საზამთროდ. ეს შენახული, თი-  
თქოს წინილად ჩადებული, ძალა შეგიძლიანთ გადაიტანოთ სადაც გინ-  
დათ, იხმაროთ, როდესაც გინდათ და რამდენიც გინდათ. იმ ნივთს,  
ჭურჭელს, იარაღს, - რაც გინდათ დაუძახეთ, სადაც შეგროვილი ძალა  
ინახება, ცოტა ძნელად გამოსაღებელი სახელი ჰქვიათ, მაგრამ მა-  
ლე მთელ ქვეყანაზე მოიხინება ეს სახელი, და მაშინ არაგის გაუ-  
ჭირდება სიტყვა: აკუმულატორი. მაგალითს მოვიყვან, რომ უფრო  
კარგად შევიტყუოთ, რა არის აკუმულატორი.“

აკუმულატორი, როგორც ვთქვი, ძალის შემკრები და შემნახ-  
ველია. ძალის შეკრება და შენახვა ახალი არ არის. აი თუნდ ავი-  
ლოთ საათი, უბისა და კედლის, - სულ ერთია. საათიც ამავე შეკ-  
რებილ და შენახული ძალით მუშაობს. ასე რომ საათიც უბრალო, მარ-  
ტიც აკუმულატორს წარმოადგენს“.

როგორ ცდილობს „ივერია“ მკითხველს გაუადვილოს წარმოდგე-  
ნა ამ სიახლეზე!

გაზეთი განაგრძობს აკუმულატორის მუშაობის პრინციპის აღწე-  
რას, მერე კი წერს:

„წაიღეთ ეხლა საცა გინდათ ეს აკუმულატორი, ეს ტყვიის ნა-  
ჭრები და სადაც გინდათ იხმარეთ, როცა ხმარება გინდოდეთ, მხოლოდ  
თრინე ნაჭერი უნდა შეაერთოთ ერთგვარ მავთულს; ტყვიის ნაჭრებ-  
ში დაშალული, შენახული ძალა მაშინვე თავს იჩენს, დაიწყებს მო-  
ძრაობას, და აი ელექტრონის ძალა მზადა გაქვთ, მოიხმარეთ როგორც  
და რაშიაც გინდათ“.

ახლა აკუმულატორების პრაქტიკულ გამოყენებაზე.

გაზეთს მიაჩნდა, რომ აკუმულატორების ძალით შესაძლებელი იქ-  
ნებოდა ემოდრავათ ეტლებსა და დიდიტებს. „მალე ცხენის მაგივრო-  
ბასაც გაგვიწვეს აკუმულატორი. კარგი იქნება ღმერთმანი! მე ვი-  
ცი სასმელსა და საჭმელს მოგვებოვს, ან მოვლა მოუნდება!... -

აღტაცებით წერდა „ივერია“ (№ 64) 1890 წელს.

ეს იყო მაშინდელი ოცნება, რომელმაც დღეს ფრთები შეისხა ელექტრომობილების სახით. ცნობილია, თუ რა დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებს ამ უკანასკნელ წლებში სრულყოფილ და მძლავრ აკუმულატორების შესაქმნელად. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფართო ექსპერიმენტები ტარდება ამ მიმართულებით.

ჩვენს ქვეყანაში დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებს ელექტრომობილების შესაქმნელად. „გლავმოსავტოტრანსის“ სისტემაში მოწყობილია ექსპერიმენტალური ბაზა ასეთი მანქანების გამოსაცდელად. 1975 წლიდან ბაზაში ექსპლუატაციაშია ელექტრომობილები, რომელთა ტვირთამწეობა 500 კილოგრამია.

იჩვენება, რომ ელექტრომობილის დამზადებაზე ფიქრობდა და ოცნებობდა ახალგაზრდა ქართველი გამომგონებელი ალექსანდრე ჯავახიშვილი. აი, რას წერდა 1899 წელს მასზე „ივერია“: „პეტრობურგში შედგა ცნობილი ელექტრო-ტექნიკოსის ალექსანდრე ჯავახიშვილის მედაურობით ახალი ამხანაგობა, რომელმაც უნდა გააკეთოს ახალი სისტემის ელექტრონული ეტლები და დილიწები“.

რა შორეული ოცნება გახლდათ ელექტრომობილების დამზადება! საამაყოა, რომ ეს იდუა ქართველ გამომგონებელს უქონია.

„ივერიას“ მოჰყავდა აკუმულატორების შესაძლო გამოყენების მაგალითები და სხვათაშორის წერდა:

„მეტადრე ძალიან სცდილობენ, აკუმულიატორები გამოიყენონ წყლის ქვეშ მავალ ნავებისათვის. მარტა—და რომ შეუდარებელი იქნება აკუმულიატორები ამ გვარ ნავებისათვის, რადგან აკუმულიატორს არც ბოლო არა აქვს და არც იმოდენა სიმძიმე, როგორც ამ მაშინებს, რომლის შემწეობითაც ეხლა დაჰყავთ ნავები წყლის ქვეშ“.

დღეს წყალქვეშა ნავები წარმოუდგენელია აკუმულატორების გარეშე. აკუმულატორები ყველა ჩვენგანისათვის ცნობილი დენის წყაროა და მათ გარეშე წარმოუდგენელია თუნდაც ავტომანქანების ძრავების ამუშავება.

### მზის ენერჯიის ძალა

არ შეიძლება განსაკუთრებით ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ „ივერიაში“ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მზის ენერჯიით აკუმულატორის დამუხტვის შესაძლებლობას. ეს ხომ დღეს განსაკუთრებით აქტუალური ტექნიკური საკითხია და პრაქტიკაში ამის მრავალი მაგალითი გვაქვს.

საინტერესოდ წერს ამაზე გაზეთი: „აი მზის ძალის შეგროვება და შენახვა რომ შეიძლებოდეს აკუმულატორების შემწეობით, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა. უსაფუძვლო და უნაყოფო ოცნებად არ ჩასთვალთ ეს სიტყვები! თუკი დღესაც მეცნიერებამ იმდენად ხელი ჩაჰკიდა მზეს, რომ ამის ძალას საქმეში ხმარობს და ბორბლებსაც ატრიალებენ, მაშ დიდი მანძილი აღარ დარჩენილა, რომ მზის ძალას ფერი ვუყვალთ, სხვა გვარ ძალად გარდაქმნათ, შევამწყვდიოთ და შევიწინახოთ აკუმულატორებში ისე როგორც დღეს ელექტრონს ვუშვებთ!“

მზის ძალას ფერი ვუყვალთ, სხვაგვარ ძალად გარდაქმნათ! მზის ენერჯის გამოყენებაზე ოცნებობდა ილიასეული გაზეთი. ეს იყო გასაოცარი წინასწარმეტყველება.

დღეს კი ნობელის პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი ნიკოლოზ სიმონოვი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კირილ ზამარაევი აცხადებენ, რომ მარტო კარაკუძის უდაბნოში მზის რადიაციას ერთი წლის განმავლობაში იმდენი ენერჯია აქვს, რასაც შეიცავს 3,5 მილიარდი ტონა ნავთი. რომ შეიძლებოდეს ამ მზის სხივების მხოლოდ 20 პროცენტით გამოყენება, შეიძლებოდა ყოველი 4-5 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობიდან მიგვეღო 1300 მილიარდი კილოვატ-საათი, იმდენი, რამდენიც საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს მარტო 1980 წელს.

საქართველოში უკვე მიმდინარეობს კვლევა მზის ენერჯის გამოყენებისათვის. რესპუბლიკის მეცნიერები აქმნიან ჰელიოთანადგარებს, რომლებიც შეიძლება დაიდგას შენობის სახურავებზე. შენდება ექსპერიმენტული სახლები, რომლებიც აღჭურვილია თბომომარაგების თბევადი კომბინირებული სისტემით. ეს სისტემა იყენებს მზის ენერჯიას. მაღე გადაწყდება საქართველოს პირობებში ჰელიოთანადგარების ეკონომიურობის საკითხი. სწორედ მზის ენერჯის გამოყენების ასეთ მიმართულებას მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება ჩვენს რესპუბლიკაში.

გაგრძელებს შენობის სახურავზე მზის კოლექტორები განულაგებიათ. საოცრად მარტივია: ეს გახლავთ ბრტყელი ლითონის რადიატორები, რომლებიც შავი შინაქრის საღებავით დაუფარავთ. ისინი მოათავსებულია ყუთებში, რომელთა ზემო ნაწილი შინისაა, ქვემო კი - სითბოს დაკარგვის შესამცირებლად - თერმობლასტიკა. მზის რადიაციის ზემოქმედებით რადიატორებში გახურებული წყალი ცივს გამოედენის, აკუმულატორის ავზში გადადის, საიდანაც დანიშნულებისამებრ ნაწილდება.

ჰელიოსისტემების ასაგებად რესპუბლიკაში სპეციალური სამონ-

ტაშო უბნები შეიქმნა. ახლა იმ ბატარების საერთო ფართობი, რომლებიც 35 ობიექტზე მოქმედებს, ხუთი ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. ეს ათას ტონაზე მეტი პირობითი საბოჭის, უპირატესად მხევადი საბოჭის დაზოგვის საშუალებას იძლევა. მალე მეტიც იქნება. პელიოდანადგარების გამოყენება შეიძლება იქ, სადაც საჭიროა ცელსიუსით 50-60-გრადუსიანი ცხელი წყალი: სამრეწველო საწარმოებში, კომუნალურ საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტებში.

როგორც გამოცდილებამ ცხადყო, საქართველოს პირობებში მზის დანადგარები აღმოსავლეთში წელიწადში ექვს-შვიდ თვეს მუშაობენ; დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე - მთვეს. დავსძენთ, რომ მათი მომსახურება იოლია, სპეციალისტებს არ მოითხოვს და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში საქვამთა მუშაკებსაც ათავისუფლებს.

აქ პელიოდანადგარების გამოყენება შეიძლება ენერჯის სხვა წყაროებთან შეხამებით. მაგალითად, ბიჭვინთაში ზამთარში მათი გამოყენება შეიძლება გასათბობად და წყლის გასაცხელებლად მბოტუმბოებთან ერთად, ზაფხულში კი ცალ-ცალკე იმოქმედებენ. მზის კოლექტორები კურორტს ცხელი წყლით მოამარაგებენ, ხოლო მბოტუმბოები ჰაერის კონდიციონებაზე იმუშავენ. ეს ნაკლებ საჭიროს ხდის თხევად საბოჭზე საქვამის გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საკურორტო ზონის ეკოლოგიურ ვითარებას.

როგორც გაანგარიშებანი აჩვენებენ, მეორე მთაწველში შეიძლება მარგი ქმედების მცირე კოეფიციენტიანი სუსტი სიმძლავრის საქვამების უმრავლესობა პელიოდანადგარების სიძმოს დამატებითი წყაროს მუშაობის რეჟიმზე გადავიყვანოთ. ამისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 250 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის დამონტაჟება, რაც საშუალებას მოგვცემს, მაგალითად, შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე წელიწადში ოცდაათი ათას ტონამდე პირობითი საბოჭი დავზოგოთ.

ამ ცოტა ხნის წინამ დაიწყო პელიოდანადგარების გაყიდვა ინდივიდუალური სახლებისათვის. რაც უახლოეს ხანში საკმაოდ საგრძნობლად შეამცირებს საბოჭის დეფიციტს, აღკვეთავს ტყეების არარაციონალურ კანცვას. დაგეგმილია მოგვარდეს ასეთი დანადგარების გამოშვება ინდივიდუალური პროექტების მიხედვით, რომლებიც გაიფარისწინებენ სახლების კონკრეტულ სანიტარულ და ჰიგიენურ აღჭურვას.

ენერჯის ისეთ წყაროებთან ერთად, როგორც არის ქარისა, გე-

თეორიული, ბიომასების ენერჯია, ერთ-ერთია მზის ენერჯია, რომელსაც რამდენიმე უპირატესობა აქვს განახლებადობის გარდა, რაც თბო ელექტროენერჯიის დაზოგვის საშუალებას იძლევა. იგი უზრუნველყოფს შაერისა და წყლის აუზის სისუფთავებს. ტყის მასივების დაცვას, სრულ უსაფრთხოებას, იოლ ექსპლუატაციას, დანადგარების ესეტიკურ გარეგნობას.

მაგრამ, განა მარტო ჰელიოდანადგარებით შეიძლება მზის ენერჯიის ელექტრო, ან სიბზურ ენერჯიამ გარდაქმნა. მზის სხივებიდან ბირდაპირ ელექტროენერჯია შეიძლება მივიღოთ. დიახ, როგორც ამასზე ილიასეული „ივერია“ ოცნებობდა.

ამაშივე წიქია, რაც ტექნიკის სხვადასხვა დარგებში ვხვდებით ეგრეთწოდებულ სელენის ფოტოელემენტებს. ფოტოელემენტი მოთავსებულია თუნდაც თქვენთვის ასე ნაცნობ ფოტოექსპონმენტში. შეიძლება ისიც იცოდ, რომ ფოტოელემენტი ძალზე მარტივად არის მოწყობილი. ღიონის ფორფიტა დაფარულია თხელი 0,1 მილიმეტრი სისქის კრისტალური სელენის ფენით, ხოლო სელენის ზევიდან - ოქროს თხელი ფენაა. და აი, როცა მზის სხივი მოხვდება ასეთ „სამყენიან ბუტერბროდს“, მის გამტარზე, რომელიც ოქროს ფენას ღიონის ფორფიტასთან აერთებს, წარმოიქმნება ელექტროდენი. დიახ, სხივური ენერჯია უშუალოდ გარდაიქმნება ელექტროენერჯიად. მაგრამ ასეთი გარდაქმნის მარტივი ქმედების კოეფიციენტი ძალზე მცირეა - მხოლოდ 0,1 პროცენტი და მთელი რიგი ცდები კოეფიციენტის გაზრდისათვის უშედეგოდ მთავრდება.

მარტივი ქმედების გაცილებით დიდი კოეფიციენტი აქვს კრემინის ფოტოელემენტებს. უკვე დღეს ასეთი ფოტოელემენტები საშუალებას იძლევა მათზე მოხვედრილი სხივების 16 პროცენტი გარდაიქმნას ელექტროენერჯიად. ეს არც თუ ისე ცოტაა და საკმარისია იმისათვის, რომ ასეთი ბატარეები გამოვიყენოთ ენერგეტიკული მიზნებისათვის.

სათანადო ძაბვის მისაღებად კრემინის ელემენტები ბატარეებად არიან გაერთიანებული და ელემენტების ზედაპირის გარე მხარეები ერთ სიბრტყეში განლაგდებიან. საინტერესოა, რომ ეს „მზის ბატარეები“ მაქსიმალურ სიმძლავრეს მაშინ იძლევიან, როცა მზის სხივები ბატარეას პერპენდიკულარულად ხვდება.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე დადგმული ურთულესი აპარატურისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობების მუშაობისთვის აუცილებელია საიმედო და საკმარისი სიმძლავრის ღენის წყაროები. რასაკვირველია, ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა, ამ მიზნით, პი-

რველად გადაწყვიტეს აკუმულატორების გამოყენება, მაგრამ გაანგარიშებებმა აჩვენეს - დიდხანს ისინი ვერ გასძლებდნენ კოსმოსში, მალე განიმუხტებოდნენ. აი, რომ შეიძლებოდა მათი პერიოდული დამუხტვა! და სპეციალისტებმა იმედის თვალით შეხედეს მზის სხივებს. მარალაც, ხომ შეიძლება მზის სხივების ენერგია ელექტროდენად გარდაიქმნეს? მაშინ შესაძლებელი იქნება აკუმულატორების პერიოდული დამუხტვა.

მზის სხივების ენერგიის უშუალოდ ელექტროენერგიად გარდასაქმნელად ანამგზავრებზე გამოიყენება ფოტოელექტროლი გენერატორები, რომლებიც კრემინის ელემენტებისგან შედგება. გარდა იმისა, რომ ასეთი გენერატორების მარტივი ქმედების კოეფიციენტი 22 პროცენტს აღწევს, კრემინის მზის ელემენტების დიდი უპირატესობა ის არის, რომ დიდხანს შეუძლია იმუშაოს, რაც დედამიწის ხელოვნური ანამგზავრისთვის აუცილებელი პირობაა. კრემინის ელემენტი წარმოადგენს ფირფიტას ქიმიურად სუფთა კრემინისგან, რომელსაც დამატებული აქვს ზუსტად განსაზღვრული რაოდენობით სხვა ნივთიერების მინარევები. ფირფიტის ზედაპირი დაფარულია ბორის თხელი ფენით. ასეთი სახის ელემენტების I კვადრატულ სანტიმეტრზე მოხვედრილი მზის სხივები 0,5 ვოლტი ძაბვის მქონე 24 მიკროამპერ დენს იძლევა.

თუ მზის სხივების მაქსიმალური ენერგია დედამიწის I კვადრატულ მეტრზე 1000 ვატს აღწევს, დედამიწის ატმოსფეროს გარეშე ეს სიმძლავრე 1400 ვატს უდრის I კვადრატულ მეტრზე. ეს დიდ უპირატესობას აძლევს კოსმოსურ ობიექტებზე მზის სხივების ელექტროენერგიად გარდაქმნის ხერხს.

ამიტომ არის, რომ ახლა მცენიერები, ინჟინრები და გამოგონებლები უკვე შიშს იყურებიან, ოცნებობენ, რაა მომავალში შეიქმნას დიდი სიმძლავრის კოსმოსური ელექტროსადგურები.

წარმოვიდგინოთ, რომ დედამიწიდან 35800 კილომეტრის დაშორებით მოწყობილია ასეთი ელექტროსადგური. სადგურის დედამიწის გარშემო ბრუნვის პერიოდი 24 საათი იქნება და იგი ჩვენი პლანეტის სინქრონულად იბრუნებს - დედამიწის ზედაპირის ერთ წერტილში აღმოჩნდება „დაკიდული“. (ასეთი სინქრონიული ორბიტები უკვე ადვისებულია კავშირგაბმულობის დედამიწის ხელოვნური ანამგზავრების მიერ)

და ასეთი კოსმოსური სადგური შეიძლება დღე-ღამის 99 პროცენტის განმავლობაში განათებული იყოს მზით. თუკი სადგურზე დადგმული იქნება ფოტოელექტროლი ბატარეები, მაშინ მათ ყოველი კვადრატული მეტრი ფართი მზისაგან მიიღებს 1,5 კილოვატ ენერგიას და

მისი დაახლოებით მეთექვსმეტე ელექტროობად გარდაქმნის. ფოტოელექტრული ბატარეები კოსმოსში შეიძლება კილომეტრებში მოეწყოს და ასეთი „პლანტაციებიდან“ მარტლაც დიდი „მოსაველი“ მიიღება თუკი კოსმოსურ მზის ელექტროსადგურს ორი „ფრთა“ ექნება ზომით - 6 გამრავლებული 5 კილომეტრზე, მაშინ ყოველი მათგანი წარმოქმნის 5 მილიონ კილოვატ ელექტროენერჯიას, უფრო მეტს, ვიდრე მაგალითად ბრატსკის ელექტროსადგური და 4-ჯერ მეტს ვიდრე ენგურჰეისი.

დავუშვათ, მარტლაც მოეწყო კოსმოსური სადგური, რომელიც მილიონობით კილოვატ-საათ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს. მაშინ როგორ ვადმოიყვას ეს ენერჯია დედამიწაზე? სად არის ელექტროგადამცემი ხაზები?

არსებობს სიმძლავრეების შორ მანძილებზე უმავთულოდ გადაცემის ორი ხერხი: ერთი ლაზერის სხივით და მეორე, ზემალაღისიხშირული გამოსხივებით.

უკვე წარმოებს ზემალაღისიხშირული გამოსხივებით სამრეწველო ელექტროენერჯიის მანძილზე გადაცემების შესაძლებლობის გამოკვლევები და საინტერესოა, რომ ასეთი ხერხით ენერჯიის გადაცემის პირველი იდეა ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა ფიზიკოსს, ნობელის პრემიის ლაურეატს აკადემიკოს პ.კაპიციას.

დედამიწაზე დადგმული რამდენიმე კილომეტრი დიამეტრის მქონე მიმღები ანტენა მიიღებს ზემალაღისიხშირულ გამოსხივებას, გარდაქმნის მას ჩვეულებრივ მუდმივ, ან ცვლად დენად და მიაწვდის მომხმარებლებს არსებული გადამცემი ხაზებით.

კოსმოსიდან ელექტროენერჯია! ფანტასტიკაა? სრულებითაც არა, მხოლოდ გრანდიოზული პროექტია, რომელსაც საფუძვლად უდევს რეალური გაანგარიშებები და კოსმიური ტექნიკის მიღწევები.

ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ 2000 წლის ბოლოს შესაძლებელი გახდება ორბიტაზე აიწყოს ექსპერიმენტალური დედამიწის ხელოვნური თანამზგზავრი ჩვენი პლანეტის ელექტრომომარაგებისთვის.

ახლა კი კვლავ დედამიწას დაუბრუნდეთ.

ამას წინათ ლს-ანტელესის ქუჩებში გამოჩნდა ერთი თითქოს ჩვეულებრივი ავტომობილი, რომელიც გარეგნულად თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ათასობით მანქანისგან. ეს იყო კომფორტული ავტომობილი „ხონდა“. საჭესთან მჯდომი ფილოსოფიის პროფესორი მური მშვიდად მარტავდა მას. მაგრამ მაინც თუ კარგად დააკვირდებოდნენ, უსათუოდ შენიშნავდნენ მანქანის სახურავზე მოწყობილ დამატებით სქელ ფენას. იგი მზის პანელებს შეიცავდა.

ნუ გაიკვირვებს მკითხველი, თუ მზის პანელებზე მოხვედრილი



მზის სხივების ენერჯია ელექტროენერჯიად გარდაიქმნებოდა. სწორედ ამ გარდაქმნის შედეგად მიღებული ელექტროენერჯიით დასერონობს ხშირად ღოს-ანტელესის ქუჩებში პროფესორი მური თავისი ოჯახის წევრებთან ერთად.

ცხადია, თურნალისტები არ ასვენებენ პროფესორს.

- საკმარისია თუ არა მზის სხივები, რომ ავტომობილმა მუდმივად იმობილიზაცია მზიან ღღეს?

- რასაც ვერ ველო.

- დავუშვათ, შორეულ ქალაქში გაემგზავრეთ და მზე კი ღრუბლებში მთივარეა, მაშინ?

- მანქანაში სადაზარტო ჩვეულებრივი ძრავი მატკს დადგმული.

- მიგატჩნიათ თუ არა ასეთი მზის ავტომობილი ბერსბერტოლ მანქანად?

- დიახ. მომავალში, როცა უფრო მტრი მარჯი კმედების კოეფიციენტის მქონე მზის პანელები შეიქმნება, აკუმულატორების ტევადობა გაიზრდება და ზომები შემცირდება, მზის ენერჯიით მოძრავი ავტომობილები ძალზე მოხერხებული და ხელსაყრელი გახდებიან.

ასეა თუ ისე, როგორც ვთქვით, პროფესორი ყოველ ღლი დასერონობს მზის სხივების დახმარებით ღოს-ანტელესის ქუჩებში და ეს ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მზის სხივების ენერჯიით უშუალოდ ელექტროენერჯიად გარდაიქმნას.

მზის სხივები და აკუმულატორები.

ილიასელი "ივერია" არ შემცდარა.

### ისეც ელექტრონებსა და რენტგენის სხივებზე

ღღეს კარგად არის ცნობილი მთელი რიგი ექსპერიმენტები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში ტარდება მცენარეებზე სინათლის ზეგავლენის საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც ირკვევა, ამას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაზეც დამაჯერებლად ლაპარაკობენ გაზეთ "ივერიაში" მოყვანილი მაგალითები.

1895 წლის № 120-ში გაზეთი იტყობინებოდა ელექტრონის გამოყენებაზე სოფლის მეურნეობაში: "ელექტრონის ხმარობენ აგრეთვე მცენარეობასა და მებოსტნეობაში. სინათლე უთუოდ საჭიროა მცენარეობის ჰაერის ნახშირ-სიმთავისაგან ნახშირბადის შესაძენად, რომელიც უმთავრეს ელემენტად ითვლება მცენარის ზრდისა და განვითარებაში. ღღეს ეს ხსენებული პროცესი მხოლოდ ღღისით მოქმედებს მზის სინათლეზე და ლამე - კი შემწყდარია.. მაგრამ, როდესაც ელე-

ქონს ვიხმარა, მაშინ პროლეტი განვითარებისა და ზრდისა დღე და ღამ შეუწყვეტელი იქნება (დღისი მზე და ღამის ელექტრონის სინათლე) და ამნაირად მცენარენი უთუოდ ორჯერ ჩქარა დაიზრდებიან, როგორც ერემაგონისა, სიმენსისა, ბელისა და სხვათა გამოკვლევები ამტკიცებენ, ელექტრონი არავითარ ზარალს არ აძლევს მცენარეთს და თვისი ბუნებით თვისება უცვლელადა პრჩება ყოველს მცენარეს. რამდენად იაფი თუ ძვირი იქნება ელექტრონის ხმარება მეურნეობაში, ეს უერ არ გამოუკვლევიათ; მხოლოდ ელექტრონს დღეს ბევრი შეძლებული ევროპიელი შემამულე ხმარობს მწვანელი ჯიშის ადრე მოსაყვანად.

აი, როგორ ხმარობენ ელექტრონს მეურნეობაში, როგორცა სჩანს უერ მხოლოდ ეხლა იწყებენ ელექტრონის მეურნეობაში გამოყენებას, და ამიტომ მისი სასარგებლოდ ხმარება მხოლოდ მომავლის საქმეა“.

შემდეგ გაზეთი განაგრძობდა: „ელექტრონის ხმარება სამეურნეო მრეწველობაში იმიოთა საადვილო და სასარგებლოც, რომ აქ ადვილად შეიძლება ენერჯის დანაწილება და მათეულების შემწეობით სამუშაო ადგილებში საჭირო ძალის დაზზანა. საზოგადოდ ეს ოპერაცია შემდეგისაგან შესდგება: მეხანიკური მუშაობა (ორთქლით მმობრავ მანქანისა, გიდრავლიკური და ქარით მმობრავისა) მაგნიტი-მანქანაში ელექტრონად იცვლება: ეს უკანასკნელი ძალა მათელით გადადის სამუშაო ადგილას და აქ ელექტრონისავე მმობრავ მანქანის შემწეობით მეხანიკურ (სასარგებლო) სამუშაო ძალად გარდაიქმნება“.

ახლა უფრო კონკრეტულად:

„ამერიკაში ერთს მეცნიერს, გვარად კენის, უცდია, რა მნიშვნელობა აქვს ელექტრონის ძალას მცენარის ზრდაზედ და აღმოჩენილია, რომ ელექტრონის ძალის შემწეობით მცენარე 30 პროცენტით უფრო სწრაფად იზრდება. ეშვი არ არის, ამ ამბავს ძლიერ დიდი მნიშვნელობა ექნება მეურნეობისათვის და მცოდნე შემამულენი სასარგებლოდ გამოიყენებენ ელექტრონის ძალას“ - წერდა გაზეთი 1897 წლის # 114-ში.

„ივერიაში“ არაერთი წერილი გამოქვეყნდა მედიცინაში მეცნიერების ღვაწლის შესახებ.

ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა გაზეთის მიერ რენტგენის სხივების ახსნა-განმარტება და მისი მნიშვნელობა მკურნალობის ღროს.

„ამ საუკუნის საოცარნი აღმოჩენანი ცოტას თუ ბევრს საბუთს გვაძლევენ ვთქვათ, რომ ადამიანის გონების გამჭირახობა და ძალღონე ადამიანის გონებას სად მიიყვანს? საკვირველი არ იქნება, რომ ზღაპრული უჩინ-მარინის ქუდი ამ სახით, თუ იმ სახით ოდესმე

განხორციელდეს. განა ტელეგრაფი, ფონოგრაფი, ტელეფონი და სხვა ამისთანა ურინ-მარინის ქულებზე ნაკლებ არის საკვირველი და საოცარი, მაგრამ მოვესწარით ხომ რენტგენის სხივებმა ურინარი დაგვანახვეს და განა ძნელია კაცმა იფიქროს, ახლა იმისთანა სხივები აღმოაჩინონ, რომ იმათმა შუქმა ფენამ ერთი ურინარი აქმენას და მეორე საჩინარი?" - წერდა გაზეთი 1897 წლის № 19-ში.

მაგრამ საჭირო იყო რენტგენის სხივების დაწვრილებით აღწერა და მისი გამოყენების მაგალითები.

ილიასეული გაზეთი იმავე წლის № 37-ში მკითხველებს ასე გაწმარტავს:

„ჩვენმა მკითხველებმა იციან, - რა არის ეგრეთ წოდებული რენტგენის ნათელი, ანუ სხივები. ამ ნათელის შემწვობით შესაძლოა ფოტოგრაფიით გადაიღოთ რაც, ვთქვათ, ყუთშია ჩაკეტილი, რასაც იმისთანა რამ აცვია, ან აფარია, რომ კაცის თვალი ვერ ატანს არც საცმელს, არც საფარველს და ჩვეულებრივი ნათელი არა სწვდება, გადმოსაღებად არ ანათებს. დღეს ეს ნათელი დიდს სამსახურს უწევს მკურნალობას. ამ ნათელის წყალობით შიგნულდება ადამიანის აგებულებისა ცი თვალით დასანახავი გახდა, რადგანაც რაც ეხლა თვალისათვის მოფარებულია, იგი რენტგენის ნათელით შესაძლოა გადაღებულ იქმენას ფოტოგრაფიით, თუ ყველა ასო არა, ძველიანი ადგილები მაინცა ნამეტნავად და თიქმის ზედ მიწვენით. ფოტოგრაფიას ამ ნათელის შემწვობით გადმოაქვს შიგნულ აგებულებაში როგორმე შესული ტყვია, რკინის, ფლადის, ნემსისა და ქინძისათვისათვის რამ წერილი ნაჭერი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კაცს ან ნემსის ნატეხი, ან ქინძისათვისა გაებნევა როგორმე, ტანში დაუწყებებს სიარულს; საშინელს ტკივილს აუტეხს და თუნდა რომ მიზეზი ამისი იცოდეს, ვერ მიუგნია სად არის გაბნეული, რა ადგილას დაჯის, რომ ამოიღოს და მორჩეს; ხშირად თვით ამოღებაც უძნელდება, რადგანაც გაბნეული ნემსის წვერის ნატეხია, თუ სხვა ამისთანისა, ისეთი პატარაა და წერილი, რომ ვერც ხელი და ვერც რაიმე იარაღი ვერ მოეკიდება, რომ კაცმა ამოიღოს.

რენტგენის ნათელი ფოტოგრაფიით გადაიღებს ხოლმე ამისთანა წერილმანს ბეწვსაც-კი და მით ღონისძიებას აძლევს მკურნალს იცოდინოს რა ადგილას არის მიზეზი ტკივილისა. ხოლო, რა თქვა უნდა, სწულიისათვის საკმაო არ არის, რომ იცოდეს სად რაა. იმისი წყურვილი ის არის, რომ ამოღებულ იქმენას და მით პოპონილ ტკივილისაგან. როგორ უნდა მისწვდნენ ან ხელით, ან იარაღით ბეწვის ოდენა ნაჭერს? ამისათვის უხმარობენ ეგრეთწოდებულ რენტგენ-მანკის.

მეცნიერი ტომასონი ამბობს, რომ ამ ელექტრონ-მაგნიტით ძველის გუგადან გამოვიცილია ნაქლიბი ფოლადისათ, როცა რენტგენის ნათლით ფოტოგრაფიამ დაშინახვა, რომ იგი ნაქლიბი ძველში როგორღაც სცემოდა სწეულს და ძველის გუგის ერის ადგილას დარჩენოდა და აწუხებდაო“.

ნათლად ჩანს, რომ „ივერია“ ძალზე პოპულარული ენით უხსნიდა მკითხველებს მეცნიერების ამ მიღწევას.

და აი, „ივერია“ განაგრძობს:

„ელექტრო-მაგნიტი იზიდავს ნაკვეს ყოველ გვარ ლითონისას, რკინას, ფოლადია, თუ სხვა რამ ამისთანა. ხომ გენახებამ, რომ ქაქვა ცოტა ხეხით მოთებამ თუ არა, ფრთის ცალკე ბეწვს იქით გამოგაყოლებთ, საიდანაც ქარვას წაიღებთ, თუ ქარვა ზემოდაშ შორი-ახლო გევირებამ ხელში და ისე ატარებთ. ელექტრო-მაგნიტიც სწორედ ეგრე მოქმედობს ლითონზე: ლითონი ისე მიიზიდება ელექტრო-მაგნიტისაკენ, თითქო განკებ ეწევა ვინმეო, თუმცა-კი მიკარებიცაც არავინ ეკარება. ხოლო, როგორც ვთქვიო, კაცმა უნდა იცოდეს ატეზულების რა ადგილში აქვს ადამიანს გაბნეული ლითონის რაიმე ნაკვეთი, ნაჭერი, რომ ელექტრო-მაგნიტი სწორედ იმ ადგილას დაადონ. აი აქ რენტგენის ნათელი მშველის საქმეს. იგი ფოტოგრაფიით გადაღებულ სურათზე აჩვენებს ადგილ-მდებარეობას ამოსაღებ ნაკვეთისას და ელექტრო-მაგნიტიც პირდაპირ შეუდგება ხოლმე თავისს საქმეს. ეხლახან აღბერტ ლონდს გადაუღია რენტგენის ნათლით ხელი ბავშვისა რომელსაც ძალიან ღრმად შეესვლია ხელში ნატეხი ნემსისა. ამ გადაღებულს სურათს დაუნახებებია სად არის იგი ნატეხი და ისიც-კი როგორ უღლია ხორცში ამ ნატეხს.

მკურნალს რადიგეს ეს ამისთანა თვისება და შეძლება რენტგენის ნათელისა ჰეკაში დასჯლომია ელექტრო-მაგნიტის მოქმედების გაშოსაყენებლად. ერთი კაცი შეჰხვეწნია, გამომაცალე ფეხიდან ნემსი ნატეხი, რომელიც ჩემმა უნებლიედ ამ ორის თვის წინაღ ხორცში გამებნა და რომელიც ძალიან მაწუხებსო. მოდიო და იპოვეთ სად რა არის, რომ რენტგენის ნათელი არ იყოს. რადიგეს აელო და ორჯერ ზედი-ზედ გადაელო რენტგენის ნათლით სწეული ფეხი და ნამდვილად შეეტყოს სად იყო გარჩერებული ნატეხი ნემსისა. მერე ზედ იმ ადგილას დაუდვია გაძლიერებული მაგნიტი. ცდამ მთელი ერთი საათი გასტანა. მერე ფეხი ხელახლად გადაუღია და დაუნახავს, რომ ნემსის ნატეხი ძუისის ადგილიდან დაძრულა და მაგნიტისაკენ წამოსულა. მერეს ღოეს ისეც ამ რიგად მოეკიდა საქმეს, შეიტყოს სად არის ნატეხი ნემსისა, დაადო ძლიერი მაგნიტი და ნატეხი ნემსისა გამოვიდა ხორცილამ მაგნიტის მიზიდულობით და მერე ისე უტიკერად და სუბუქად,

რომ სწევს არაფერი ტყვილი არ უგრძენია. თვით იმ ადგილას, საი-  
დანაც გამოძვრა ნატეხი ნემსისა, სიახლის ნიშანწყალიც არ გამოჩ-  
ნდა თურმე.

აქ ჯერ პაწია ნემსის წვერის პოვნაა აგებულებაში საკვირვე-  
ლი და შერე გამოლება მისი ხორცის შიგნიდან ხელის თუ სხვა იარა-  
ღის მიუპარებლად და ყოვლად უმტკიურადაც. ღმერთმა გზა უკურთხოს  
მეცნიერებას, ამ დაულაღავს მსახურს კაცობრიობისას! აქ საკვირ-  
ველი მარტო მისი მხნეობაა და ძიება“.

ღიას, ილიასეულმა „ივერია“ მეცნიერებას უწოდა „დაულაღ-  
ვი მსახური კაცობრიობისა“!

მაგრამ მეცნიერება ხომ არ შეიძლება ყოფილიყო მეცნიერების  
გარეშე. ამიტომ გაზეთი ხშირად ბეჭდავდა მასალებს მსოფლიოს ცნო-  
ბილი მეცნიერების შესახებ.

მაგალითად გვინდა დავასახელოთ ლუი პასტერი.

1886 წელი. „კავკასიის საექიმო საზოგადოებას მიუღია წიგნი  
გამორჩენილის საფრანგეთის პროფესორის პასტერისაგან. ამ წერილით  
პასტერი მადლობას უხდის საზოგადოებას წვერად ამორჩევისათვის“  
(№ 275). ამავე წელს „ივერიის“ № 162-ში გამოქვეყნდა წერილი ლუი  
პასტერის დიდ და მსახურებაზე და თბილისში პასტერის სადგურის მო-  
წყობის აუცილებლობაზე. „საჭიროა, ერთის სიტყვით, რომ თვითონ ქა-  
ლაქმა იზრუნვოს თავის თავზე და მოიპოვოს რაიმე ღონისძიება პა-  
სტერის სამკურნალო გახსნისათვის. ამას მოიხზოვს არა თუ ტფილი-  
სის მეცხოვრებლების ინტერესი, არამედ მთელის ამიერ-კავკასიის, სა-  
დაც რასაკვირველია, ყოველ წლებში არა-ერთი ადამიანი პეკედება ცო-  
ფისაგან... ვიქონიოთ, მაშასადამე იმედი რომ ტფილისის საქალაქო  
საბჭო არ დააგდებს ამ საქმეს უყურადღებოდ და ეს ჩვენი წინადა-  
დება არ დარჩება „ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა“ - აღნიშნავე-  
და გაზეთი.

1892 წელი. „პასტერმა ფრიალ დიდი სარგებლობა მოუტანა მთელს  
კაცობრიობას. პასტერის წყალობით ეხლა ძლიერ ბევრი ავადმყოფობა  
საშიში აღარ არის, როგორც წინად იყო. პასტერმა გამოიგონა ციმ-  
ბირის ჭირის წამლობა, ცოფის აცრა. ხოლერის წინააღმდეგაც ბრძოლა  
კაცობრიობას ძლიერ გაუადვილა პასტერმა ხოლერის ბაცილების აღმო-  
ჩენით. ვაზის ავადმყოფობას, მილდრუსა და ფილოქსერის წინააღმდეგ,  
იმავე პასტერმა გამოიგონა წამალი.

ღიღბული მეცნიერის იუბილეი, როგორც ვსაქვეთ, ჯუშინ მთელმა  
განათლებულმა ქვეყნებმა იდღესასწაულეს. ჯუშინევე ჩვენს ტფილისში  
სამკურნალო საზოგადოებად დანიშნული პქონდათ სადღესასწაულო კრე-  
ბა პასტერის პატივსაცემად“ (№ 267).

თბილისში ლუი პასტერის 70 წლისთავის იუბილე აღნიშნეს. 15 დეკემბერს პარიზში საექიმო საზოგადოებამ დეპეშა გაგზავნა და სთხოვა ურანგ მეცნიერს დათანხმებულიყო საზოგადოების საპატრიო წევრად არჩევაზე.

1895 წელი. „დეპეშამ შეგვატყობინა, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი საფრანგეთის მეცნიერი ლუი პასტერი. ძნელად მოიპოვება ახლა ისეთი შეგნებული კაცი, რომ არ გაეგოს სახელი ამ გენიოსისა, რადგანაც ლუი პასტერს მებრძოლი დიდი ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე. პასტერი არის მაჯა იმ მეცნიერებისა, რომელსაც სახელად ეწოდება ბაქტერიოლოგია და რომელმაც სრულიად ახალისა და ფრიად ნაყოფიერ გზაზე დააყენა საექიმო მეცნიერება... გამოჩენილ მეცნიერთან - პუშენთან - კამათის ღრთს პასტერმა დაამტკიცა, რომ დახურულს ჭურჭელში პატარა ორგანიზმები თვით კი არ ჩნდებიან, არამედ ჰაერიდან შემოდის; თუ მიღებული იქმნა ისეთი საშუალება, რომ ჭურჭელში მხოლოდ წმინდა ჰაერი შედიოდეს, ჰაერი, რომელშიაც მიკროორგანიზმები არ არის, მაშინ ჭურჭელში ბაქტერიები არა ჩნდებიან და ალარც ღულილის პროყესს ექნება მაშინ ადგილიო. ... შესამოყვებ წლებშივე პასტერმა გამოიკვლია აბრეშუმის ჭრის ბავდამყოფობის მიზეზი, გადაარჩინა აბრეშუმის მოყვანა სამუდამო განადგურებისაგან. მანვე შემოიღო ღვინის, ლუდის და სხვა პროდუქტთა შენახვის საშუალება (პასტერიზაცია). შემდეგ ამისა ბაქტერი შეუდგა გამოკვლევას იმ მიზეზისა, რომელიც იწვევს ეგრედ წოდებულს ქაშის ხაღერას და შავ ჭირს და დაამტკიცა, რომ სენთა გამჩენი ყოფილა ბაქტერიები. რა-კი პასტერმა აღმოაჩინა მიზეზი ამ ორის საშინელი სენისა, მან მალე აღმოაჩინა საშუალებაც მათ წინააღმდეგ: ეს საშუალება არის - აცრა. ამავდემ გზით და შემდგომ ბასტერმა შეთანხმებულ წლებში აღმოაჩინა შესანიშნავი საშუალება ცოფის წინააღმდეგ, რითაც კაცობრიობას დაუფასებელი ღვაწლი დასწო. ყველას კარგად გვახსოვს, რა აღტაცება გამოიწვია განაღებულ ქვეყნებში პასტერის ახალმა გამოკვლევამ, რა მოწიწებითა და სიხვარულით იხსენიებოდა სახელი ამ დაუღალავისა და საკვირველის მეცნიერისა!“ (# 200).

ილიასელი „ივერია“ დედატურს ადგენებს საქართველოში უცხოელი მეცნიერების ჩამოსვლას.

1888 წელს „ივერია“ (# 77) შეკითხვებებს აუწყებდა: „თბილისში იმყოფება ინგლისელი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ბენი ფრიდრიკოს კონენიარი“.

1894 წელს ვახეთი (# 128) იუწყებოდა შემდი მეცნიერის და არქეოლოგის მარტენის მომავალ ჩამოსვლაზე.

„ამ ეამად ტფილისში იმყოფება დანიის ახალგაზრდა მეცნიერი აკო ბენედიქტსენი, რომელიც კომენჯაგენიდან ჩამოვიდა“ - წერდა „ივერია“ 1897 წლის № 185-ში.

ამავე წელს აბილისის ესტუმრენ მეცნიერები და გეოლოგები სხვადასხვა ქვეყნებიდან.

და აი, როგორ მიიღეს ისინი აბილისში: „II სექტემბერს, ნა-შუადღევს 2 საათზე, ქალქის გამგეობამ სადილი გაუმართა ტფილისის საკრებულოს დარბაზში ტფილისში მყოფ უცხო ქვეყნელ გეოლოგთა პატივსაცემად. სადილზედ მოიყარეს თავი თიქმის ყველა დაპატი-ებულად, სახელდობრ 240 კაცმა გეოლოგმა“ (№ 189).

ამ გეოლოგთა შორის იყო პარიზელი პროფესორი ბერტრანი და ცნობილი გერმანელი მეცნიერი რეიზგოფი.

და როგორც „ივერია“ (№ 190) წერდა, გეოლოგებმა გულისყურით დაათვალიერეს „ნავთობის ნავთის წყაროები“ და რეკომენდაციები მისცეს აბილისელებს მათი შემდგომი დამუშავების შესახებ.

არ იყო მეცნიერების არც ერთი დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის შესახებ არ წერდა ილიასეული გაზეთი.

### ფოსტის „სტანციებიდან“ ელექტრონულ ფოსტამდე

უძველეს დროიდან არის ცნობილი საქართველოში ამბების სწრა-ფად გადაცემა. ასეთ კავშირს „შიკრიკები“ და „მალემსრბოლები“ ახორციელებდნენ, როგორც მშვიდობიან, ისევე მტრის შემოსევის დროს და საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული. ეს საშუალებას იძლეოდა ლა-შქრის სრული მოზილიზაცია მცირე დროში მომხდარიყო. „შიკრიკები“ და „მალემსრბოლები“ ხშირად არის ნახსენები უძველეს ლიტერატურა-ში და სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტებში, მაგალითად, ისინი არაერთხელ მოიხსენიება, თუნდაც, „ქართლის ცხოვრებაში“.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამლევს იოანე ბატონიშვილი, რომელმაც შეადგინა სახელმწიფო წეს-წყობილების რეფორმის კანონპროექტი, რომელშიც იგი ვაჭრობის განვიძარების საკითხებს იხილავდა, განსაკუთრებით ყურადღებას უთმობდა ამ საქმეში საფოსტო მიმოსვ-ლის ორგანიზაცია, აღნიშნულზე პროფ. ს. ბერიძე წერდა: „იოანე ბა-ტონიშვილს კარგად ესმოდა, რომ ალბ-მიცემობის განვიძარება შეუ-ძლებელი იყო კავშირგაბმულობის გარეშე, ამიტომ მოიხმოვდა ფოს-ტის დაწყებას და საფოსტო დაწესებულებათა ქსელის გაშლას. ი.ბა-

ტონიშვილი წერს: „ფორტები ანუ ჩაფარხანა რაოდენ შეიძლებოდადეს გა-  
ნწესდეს სამ ადგილას ქართლსა, კახეთსა და თათრებშია“.

იოანე ბატონიშვილი მიიჩნევდა, რომ ფოსტის სადგურების მოწყ-  
ობა ფრიად სასარგებლო იქნებოდა ხალხისათვის და შემოსავალს მი-  
სცემდა ხაზინას.

საქართველოში პირველი ფოსტის გადაზიდვასთანაა დაკავშირებუ-  
ლი ქართული ურმის სახელი.

ა.ს. პოპოვის სახელობის კავშირგაბმულობის ცენტრალურ მუზე-  
უმში (ლენინგრადი) გამოფენილია უძველესი ფოსტის გადაზიდვის სა-  
შუალებები. მათ შორის არის ქართული ურემი. ურეში შებმული ხა-  
რები მძიმედ ეწევიან ფოსტის დიდ ხუფს. ურემს წინ ორი ქარაველი  
მიუძღვის.

ქართული ურემით ფოსტის გადაზიდვას, როგორც სჩანს, ბევრ  
ქვეყანაში მიუტყვევია თავის დროზე ხურადლება. 1900 წელს პეტერ-  
ბურგში გერმანულიდან რუსულ ენაზე თარგმნილ წიგნში „ტექნიკა და  
მრეწველობა“ (ტომი X) აღწერილია ბერლინის საფოსტო მუზეუმის ზო-  
გიერთი უნიკალური ექსპონატი და ნათქვამია, რომ ამ მუზეუმში რუ-  
სეთის ექსპონატებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „ორფლიანი  
ქართული ურემით ფოსტის გადაზიდვის სურათები“. არის თუ არა ამჟა-  
მად ბერლინის მუზეუმში ეს უნიკალური სურათი, არ ვიცით, მაგრამ  
ერთი რამ ცხადია, ქართულმა ურემმა თავისი ადგილი დაიკავა მსო-  
ფლიო ფოსტის გადაზიდვის პირველი საშუალებათა შორის.

როგორც ა.ს. პოპოვის სახელობის ცენტრალური მუზეუმის ერ-  
თი კატალოგი გვამცნობს, ჩიკაგოში 1893 წელს მოწყობილ მსოფ-  
ლიო საფოსტო გამოფენაზე რუსეთის საფოსტო განყოფილებაში აჩვენ-  
ებდნენ ქართული საფოსტო ურმის მოდელს და კავკასიონზე ფოსტის  
გადატანის ნახატს.

საქართველოში საფოსტო კავშირების განვითარებასთან განუხ-  
რელად იყო დაკავშირებული საფოსტო მიმოსვლის გაუმჯობესება კავ-  
კასიონზე გავლით - საქართველოდან რუსეთში.

1804 წელი. ვლადიკავკაზსა და თბილისს შორის ფოსტა მხოლოდ  
ცხენიანი ესტაფეტით გადაჰქონდათ. 1826 წელი. გადაწყდა ფოსტის  
გადასატანად გზაზე დამატებით 120 ცხენი გამოეყო.

1862 წელი. დაიწყო თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის II  
ახალი საფოსტო სადგურის აგება. შეკვეთილ იქნა 2 ონხადგილიანი  
კარეტა და ექვსადგილიანი ომნიბუსი.

1870 წელი. თბილისის, მცხეთის, ღუშეთის, ფანანაურის, მღე-  
თის, გუდაურის, ყაზბეგის, ღარსის, ბაღათასა და ვლადიკავკაზის სა-



დგურებში ცხენების რაოდენობა 652-მდე გაიზარდა. ცხენებს სპეციალური კომისია არჩევდა.

ქართველი მოწინავე საზოგადოება ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საფოსტო მიმოსვლას საქართველოს სამხედრო გზაზე. ამ მხრივ, ძალზე საგულისხმოა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოღვაწეობა საქართველოს სამხედრო გზაზე ფოსტის მიმოსვლის გაუმჯობესებისათვის. ამ განყოფილების თავმჯდომარემ, რუსეთში და საქართველოში კარგად ცნობილმა მეცნიერმა და ინჟინერმა მ. გარსევანიშვილმა 1876 წლის 14 დეკემბერს გამართულ სხდომაზე მოიყვანა კავკასიის საფოსტო ოლქის სტატისტიკური მონაცემები პეტერბურგიდან მომავალი ფოსტის დაგვიანებებზე. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო განსაკუთრებით ქვეშედა და ყაზბეგს შორის თოვლისა და ზღვავების გამო. გზადა მიმოსვლის VIII ოლქის მმართველობამ წინადადებით მიმართა პეტერბურგს, თუ ვლადიკავკაზიდან 5 დღით შეფერხდებოდა თბილისში ფოსტის გამოგზავნა, მაშინ იგი თემურ-ხანშურაზე, დერბენტზე, ბაქოზე, ელიზავეტოპოლზე გავლით უნდა გამოეგზავნათ 200 ვერსის ნაცვლად 1211 ვერსის შემოვლით. მმართველობამ ამაზე უარი მიიღო.

მ. გარსევანიშვილმა სხდომაზე მოიყვანა ასეთი ფაქტები: 1870 წელს რუსეთის ერთმა ფოსტამ თბილისში 9 დღე-ღამით და 6 საათით დაიგვიანა, მეორემ 8 დღე-ღამით და 18 საათით. 1874 წელს საფოსტო მიმოსვლა კავკასიონზე შეწყდა 22 იანვრიდან 5 თებერვლამდე. ბევრი მსგავსი შემთხვევები მოხდა 1876 წელსაც, და მ. გარსევანიშვილმა განმარტა, რომ საჭირო იყო რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებას დაესახა ტექნიკური ღონისძიებები საქართველოს სამხედრო გზაზე საფოსტო მიმოსვლის გაუმჯობესებისათვის. ეს, ბატონებო, - დასძინა მან, - დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

გამორჩენილი მეცნიერისა და ინჟინრის ინიციატივით და განყოფილების წევრების მხარდაჭერით მომდევნო წლებში საქართველოს სამხედრო გზაზე არაერთი მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია ჩატარდა.

დიდად აფიქრებდა საქართველოში საფოსტო კავშირების მდგომარეობა ცნობილ ქართველ მოღვაწესა და განმანათლებელს, გაზეთ „დროების“ რედაქტორს ს. მესხსაც.

„დროება“ 1877 წლის ერთ-ერთ ნომერში აღნიშნავდა: „თელავში ოჯახი მოდის კვირაში ფოსტა და ძირედ გვიგვიანდება ხოლმე. ამის ამბები: დაგნატრით ახლა გორელებო, თფილისელებო და ქუთაისურებო, რომლებსაც თითქმის ყოველ-დღე ფორტა მოგდით და ტელე-

გრაფიული ცნობები ხომ სხვაა“.

1879 წლის I ივლისს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა წერილი სათა-  
ურით „უფორტობა“, რომლის ავტორი ს.მესხი იყო.

აი, რას წერდა გულისტკივილით ქართველი საზოგადო მოღვაწე:  
„მომეტებულ ნაწილს საქართველოს ადგილებში, გარდა იმ ქალაქ-და-  
ბებისა, რომელნიც რკინის გზაზე მდებარეობენ, კვირაში მხოლოდ  
ორჯერ და სამჯერ მოდის ფორტა. მაგალითად, მთელ კახეთში და გუ-  
რიაში ფორტა კვირაში ორჯერ მოდის; თუმცა ახალ-სენაკის რკინის  
გზის სტანციიდან შუა სამიგერლოსკენ - ზუგდიდისკენ მუდამ დღე  
დაიარება დიღუბანები, მაგრამ ფორტას კი კვირაში მხოლოდ ორჯერ  
გზავნიან. მთელი რაჭის უეზდი, სადაც იმყოფება მომრიგებელი სა-  
სამართლო, უეზდის უპრავლენიე, ორკლასიანი შკოლა და რამდენიმე  
სოფლის შკოლა, სრულებით მოკლებულია ფორტას, სრულებით მოწყვეტი-  
ლია დანარჩენ ქვეყანასთან; უეზდის უპრავლენიეს ჰყავს ერთი რა-  
ფარი, რომელიც კვირაში ერთხელ მოდის ქუთაისის ფორტის კანტორა-  
ში მხოლოდ იმ ქალაქების წასალებად, რომელიც უპრავლენიის სახე-  
ლობაზე არის გაგზავნილი. რაჭის დანარჩენ მაცხოვრებლების სახე-  
ლობაზე მთელს გაზეთებს, ყურნალებსა და წიგნებს თუ უნდა, თუ  
რამ არუქეს, წაიღებს და თუ არა, თავს არ შეიწუხებს. მგონია დრო  
არის, რომ ფორტის გამგებამ და ჩვენმა უმაღლესმა მთავრობამ ამ  
გარემოებას ყურადღება მიაქციონ, რაც ამ ოცი წლის წინათ  
იყო, ის აღარ არის დღეს ჩვენი ცხოვრება; მუდამ დღე მატულობს ჩვენს  
ქვეყანაში ვაჭრობა და წარმოება, მუდამ დღე მრავლდებიან შკოლები,  
მრავლდება წერა-კითხვის მცოდნე ხალხი, რომელთაც უსურთ ქვეყნის ამ-  
ბები შეიტყონ, ერთი-ორად უფრო ხშირია ახლა სხვა და სხვა მაზრე-  
ბის ხალხების ერთმანეთში მიმოსვლა და კავშირი. ამას გარდა თვით  
მმართველობისთვისაც აუცილებლად საჭიროა გამართული ფორტის გზა და  
კორესპონდენცია“.

და ს.მესხს მიაჩნდა, რომ სჯობდა გაძვირებულიყო ფოსტის გა-  
გზავნა, სამაგიეროდ გაუმაჯობებელიყო მისი ორგანიზაცია. „...ოღონდ  
კი იყოს ფორტა, ოღონდ კი შეიძლებოდეს ფორტის დროზე და რიგიანად  
წიგნებისა და გაზეთების მიღება და მომეტებულ ხარჯს, უეჭველია,  
არაეინ არ დაზოგავს“ - აღნიშნავდა იგი.

ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა ილიასეული „ივერია“ საფოსტო  
მიმოსვლის ორგანიზაციას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. გა-  
ზეთი სისტემატურად აქვეყნებდა ინფორმაციებს იმაზე, თუ როგორ მუ-  
შაობდნენ ფოსტის მუშაკები წერილების და გაზეთების დატარებაზე,  
მათ დროულად მიტანაზე ადრესატებთან და სხვა საკითხებზე.

უპირველესად, „ივერია“ სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს

საქართველოში საფოსტო განყოფილებების დაარსების შესახებ.

1886 წლის 23 დეკემბერს გაზეთი წერდა: „ცხინვალელებს თხოვნა გაუგზავნიათ, რაცა ჯერ არს, რომ ფოსტის განყოფილება დაგვიარსონო“. იმავე წლის 26 ნოემბერს „ივერია“ აღნიშნავდა: „ტფილისის საფოსტო მმართველობას მცხეთაში დაუარსებია ცალკე განყოფილება ფოსტისა“.

ძალზე ხშირად იბეჭდებოდა გაზეთში ასეთი ხასიათის ცნობები. როგორც ჩანს, „ივერიას“ მიაჩნდა, რომ მოსახლეობის მომსახურების საქმეში საფოსტო განყოფილებების გახსნას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და განსაკუთრებით სასოფლო ადგილებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რაც მეტი საფოსტო განყოფილება იქნებოდა, მით უფრო ადვილად შეეძლოთ ესარგებლათ ადამიანებს საფოსტო კავშირის სიკეთით.

„ივერია“ ძალზე მნიშვნელოვნად სდევლიდა ფოსტის დროულ გაცვლას თბილისსა და საქართველოს ქალაქებს შორის.

1887 წელი. „ამ თახ-ხუას დღეში შეკრული იყო გზა ღიხის, მთაზე და ამის გამო ფოსტაც არ მიგვიღია იმერეთიდან. მხოლოდ გუშინ გაიხსნა გზა და გუშინ დილით მივიღეთ იმერეთის ამბებიცა (№ 16).

1897 წელი. „ქუთაისსა და ტფილისს შუა ამ დღის 25-დგან დღეში ორჯერ მიდის და მოდის ფოსტა. აქამდე - კი ფოსტას დღეში მარტო ერთხელ ჰგზავნიდნენ და ერთხელ მოდიოდა ქუთაისიდან. სასურველია, რომ ფოსტა ტფილისსა, ბათუმს და ფოთს შუა დღეში ორჯერ მიდი-მოდიოდეს (№ 233).

მაშ ასე, გაზეთი აყენებს საკითხს თბილისიდან ბათუმთან და ფოთთან საფოსტო კავშირის გაუმჯობესებაზე. გაზეთი მკითხველებს სისტემატურად აწვევდა ცნობებს თბილისში რუსეთის ქალაქებიდან ფოსტის მიღების შესახებ.

აი, ზოგიერთი დამახასიათებელი ცნობა ამის შესახებ.

1886 წელი. „გუშინ, რუსეთის ფოსტა აღარ მოსულა, ამბობენ მთებში თოვლიათ და ზვავებისაგან საფოსტო გზები იყო შეკრული: ღვეს გზა გახსნილია“ (№ 68).

1888 წელი. „ეს შეეძქესე ღღეა, რაც რუსეთის ფოსტა არ მოსულა ტფილისში და არც გაზეთები და არც წერილები აღარა მიგვიღია-რა თითქმის ერთი კვირა სრულდება. გულაურში ისე გაფუჭებულია გზები, რომ ჯერაც არ ვიცით, როდის მოვა უოსტა“ (№ 45).

„რუსეთის ფოსტა არც ღვეს მოსულა. ამის მიზეზი ის არის, რომ ძლიერისა და ხშირის წვიმების გამო საქართველოს სამხედრო გზა ძალიან გაფუჭებულია. გაზეთ „ივერიას“ აცნობებენ უკვე მით

მცხეთიდან, ფასანაურადგან, კობიდან და ღუშეთიდან, რომ წვიმას ალაგ-ალაგ ხიდეები გაუფუჭებია, - გზაზე ზეპვი ჩამოწოლილა გუდაურსა და კობ შუა - მიწისა და ფასანაურსა და მღეთს შუა - თოვლისა. მცხეთაში რკინის გზის ხიდი და ფოსტისა ორი დაზიანებულია“ (№ 110).

1893 წელი. „ერთ კვირაზედ მეტია, რაც კავკასიის გზით ტვილისში რუსეთიდან ფოსტა არ მოსულა, კობსა და გუდაურს შუა ზეპვებია და ყაზბეგისაკენ ძლიერ დიდი თოვლი მოსულა“ (№ 48).

„ეს შესამე დღეა ტვილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა“ (№ 280).

გაზეთისთვის და მისი მკითხველებისთვის საცესტიმ ცხადი იყო, რომ პეტერბურგიდან და რუსეთის ქალაქებიდან ფოსტის დაგვიანება, ძირითადად, გამოწვეული იყო საქართველოს სამხედრო გზაზე თოვლის და მიწის ზეპვების გამო. მაგრამ საქართველოს სხვა ადგილებში ფოსტის მიმოსვლას ხშირად ხელს უშლიდა უგზოობა. ამიტომ იყო, რომ „ივერია“ თავის ფურცლებზე არაერთხელ აყენებდა საკითხს საქართველოში საგზაო მშენებლობების საჭიროებაზე და გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ყოველივე წვრილმანსაც კი ამ მიმართულებით.

1886 წლის 22 მარტს „ივერია“ (№ 65) აღნიშნავდა: „... ფოსტის გზა, როგორც ისმის მალე უნდა გაიხსნას რაჭა-ლეჩხუმს. როგორც მოგეხსენებათ, ამ გზამ უნდა გაიაროს რიონის მარცხენა ნაპირის ახლოებაზე. ინჟინრებმა უკვე ნახეს ეს გზა, და დასხეს კიდევ თავიანთი ნიშნები. ფოსტის გზას დიდი მხიარულებით ეგებება ჩვენი ხალხი. არც ერთი მხარე ჩვენის ქვეყნისა არ არის ისე შევიწროებული უგზოუკვლობით, როგორც რაჭა-ლეჩხუმის მაზრა, და მიი უფრო სანატრელია, რამდენადაც კი შესაძლოა დაჩქარდეს ამ საქმის სისრულეში მოყვანა: შეკეიდეეს გზები, საცა საჭიროა, გაიმართოს ფოსტის სტანციები და გაიხსნას ფოსტით მოგზაურობა“.

ასეთი იყო ილიასელი გაზეთის დამოკიდებულება საქართველოში საფოსტო კავშირის შემდგომი განვითარებისადმი. „ფოსტის გზას დიდი მხიარულებით ეგებება ჩვენი ხალხი“, - რამდენის მძქმელია ეს სიტყვები. დიახ, საქართველოში შესანიშნავად ესმოდათ კავშირგაბმულობის ამ დარგის მნიშვნელობა.

„ივერიის“ დიდი ყურადღებას საფოსტო კავშირისადმი თავისებურად გამოეხმაურა 1890 წელს „საქართველოს კალენდარი“. აი, რა საინტერესოდ წერდა ჟურნალი კავშირგაბმულობაზე:

„ყოველს ქვეყანაში, თუ ცოტაოდენად მაინც დასტყობია წარმატება, გამართულია ფოსტა, ტელეგრაფი და სხვა და სხვა გვარი გზანი მისვლა-მოსვლისა და მიწერ-მოწერის გასადავცილებლად, ვაჭრობი-

სა და ალემბ-მიცემობის საწარმოებლად. საცა გზები არ არის, ფოსტა და ტელეგრაფი არ არსებობს, იქ არც კეთილდღეობაა, არც წარმატება, არც ალემბ-მიცემა და არც მრეწველობა. სულ განადირებული, მოოხრებული და გავერანებული უნდა იყოს ქვეყანა, რომ ეს საჭირო დაწესებულებანი არა ჰქონდეს შემოღებული. საცა მიხვიდეთ, ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების ვითარება უნდა იკითხოთ. თუ გზები კარგია და ხეირიანი, ადვილად და სწრაფად სავალია, თუ ფოსტა რიგიანად მოწყობილია და ტელეგრაფი ბევრსა მუშაობს, შეგიძლიანთ სძვეამ, რომ კეთილ-მოწყობილ ქვეყანაში მივსულვართო“... .

აღბათ კომენტარები ზედმეტია.

ილიასეული გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მოსახლეობისთვის საინტერესო ცნობები საფოსტო მომსახურებაში რაიმე ახალი ცვლილების შესახებ.

„გაზრახვა აქვთ 1894 წლიდან სრულიად შესცვალონ წესრიგი ფოსტით ფულის გაგზავნისა. ფული აწინდელივით აღარ გაიგზავნება ერთის ადგილიდან მეორეში. საკმარისი იქმნება კაცმა ფული მიიტანოს ფოსტაში. ფოსტა ფულის მიღების კვიტანციას აძლევს გამგზავნელს და შემდეგ ადრესატს უგზავნის ტალონს, რომლითაც ეს ფოსტიდან ფულს მიიღებს. ჯერ-ჯერობით, ამ წესით, ფულის გაგზავნა შეიძლება არა უმეტეს 1000 მანეთისა“ - იუწყებოდა „ივერია“ (№ 229) 1893 წელს.

გაზეთი „ივერია“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასაფლაო ადგილებში ფოსტისა და გადატანის ორგანიზაციას.

1891 წელს გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ მიმართა „ტფილისის ფოსტა-დეპეშების ოლქის უფროსს“ იმის თაობაზე, რომ თბილისსა და სიღნაღს შორის ცუდად მუშაობდა ფოსტა. რედაქციას ოლქის უფროსმა აცნობა: „მე მოველაპარაკე კერძო ეტლების პატრონს წყალბა ლაინეზოვს და დავითანხმე, რომ მუქთად ატაროს ხოლმე აქედგან გასაგზავნი წერილები და გაზეთები ორ დღეში ერთხელ და ამ გვარადაც ივლის ეს ქალაქები, მომავალი ებბერვლის პირველ რიცხვიდან“.

მაგრამ ვაი, რომ ილიასეულ გაზეთს ამის იმედი არ ჰქონდა!

„... . მუქთად გაკეთებული საქმე დაუდერგაობას აცილებული იქნება, თუ არა, ამისი - კი რა მოგახსენოთ“. - ირონიულად შენიშნავდა გაზეთი.

იმავე წლის № 168-ში „ივერია“ წერდა: „მთავრობამ ნება დართო ბათუმსა და აბასთუმანს შორის ფოსტის ეტლების მიმოსვლისა“.

1893 წლის 15 ივნისს „ივერია“ (№ 124) წერდა:

„ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობას მოლაპარაკება ჰქონდა თიანეთის გზით იჯარაღარმან, რომ მან იკისროს უბრალად და

შლიანი წერილების გადატან-გადმოტანა დუშეთიდან თიანეთამდე. იჯარადარი თანახმაა, ხოლო დუშეთიდან - კი ვერ ვატარებ რადგან ცუდი გზებია, არამედ თელავიდანაო. თელავიდან თიანეთამდე ერთი სადგურის გამართვა დასჭირდება“.

როგორც სჩანს, თელავიდან თიანეთამდე საფოსტო კავშირის დამყარება დროზე ვერ გადაწყვედა და ამას თითქმის 8 წელიწადი დასჭირდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაურთავს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობისათვის გაიყვანოს ახალი საფოსტო გზა თიანეთსა და თელავს შორის და სოფლებს ახმეტასა და იყალთოში სადგურები გამართოს“, - იუწყებოდა გაზეთი 1901 წლის 9 მარტს.

ამგვარად, ახმეტაში და იყალთოში 1901 წელს საფოსტო განყოფილებები გაიხსნა.

ძნელია იმ მრავალრიცხოვანი ინფორმაციებისა და ცნობების ანალიზი, რომლებსაც „ივერიის“ ფურცლებზე ვხვდებით საფოსტო კავშირის შესახებ. მთავარი ის არის, რომ გაზეთის მუშაობას წიოდელ ზოლად გასდევდა ფოსტის არსებული მდგომარეობის სურათები და გულწრფელი სურვილი, რათა საქართველოში სულ უფრო გამართულად ემუშავა ფოსტას. დიახ, ილიასეული გაზეთი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ფოსტა აახლოებდა ადამიანებს, აცხოველებდა ვაჭრობას, ხალხში შეჰქონდა განათლება.

ახლახან საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში აღმოჩენილი დოკუმენტები გვამცნობენ, რომ საქართველოში დიდ ყურადღებას იჩენდნენ არამარტო შიდა საფოსტო კავშირების გაუმჯობესებაზე, არამედ ცდილობდნენ საქართველოდან მოხერხებულად გაეცვალათ ფოსტა 17 მიზობელ ქვეყნებთან, ე.ი. ხელი შეეწყობა საერთაშორისო საფოსტო კავშირის განვითარებისთვის. სწორედ, ამიტომ იყო, რომ პეტერბურგიდან თბილისში ლებულოდნენ ყველა იმ დეკლარაციას, ან ხელშეკრულებას, რომლებიც რუსეთსა და უცხოეთის ქვეყნებს შორის იდებოდა.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მასალები კავკასიისა და სპარსეთს შორის საფოსტო კავშირის დამყარების შესახებ. როგორც ირკვევა, ამ საქმეს ხელს უწყობდა გრ.ორბელიანი. 1861 წელს გემთმომოსვლის საზოგადოებამ კასპიის ზღვაზე „კავკასი მერკურიმ“ კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებს მიმართა წინადადებით, მოეწყვა ფოსტის გადაზიდვა კასპიის ზღვის სანაპირო პორტებში. გარდა ასტრახანიდან გომების შესვლისა პეტროფსკში, დერბენტში, ბაქოსა და ლენქორანში, საზოგადოება შესაძლოდ თვლიდა რეისები მოეწყვა სპარსეთის პორტში -

ენზელში და მეშტდესერში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ეს წინადადება განიხილა „გენერალ-ადიუტანტმა, თავადმა ორბელიანმა“- (ამ პერიოდში იგი კავკასიის მეფის ნაცვლის შოვალეობას ასრულებდა). გრ. ორბელიანმა განკარგულება გასცა დამუშავებულ იყო საზოგადოება „კავკაზი შერკურის“ გემებ-სადვის კონკრეტული საფოსტო მარშრუტები და აბილისის, ბაქოს და ასტრახანის საფოსტო კანტორებში განხორციელებულიყო სათანადო ღონისძიებები საერთაშორისო საფოსტო კავშირის ორგანიზაციისთვის. ამასთან ერთად, გრ. ორბელიანმა დაამტკიცა საერთაშორისო საფოსტო კავშირის წესები, რომლებმაც შემდგომ აღიარება პოვა არა მარტო კასპიის ზღვაზე, არამედ სხვა მიმართულებებში საერთაშორისო ფოსტის გაცვლის დროს.

საინტერესოა, რომ რუსეთის გემებით საერთაშორისო ფოსტის გადატანა კასპიის ზღვაზე მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. როგორც გაზეთი „კავკაზი“ (1899, № 218) იუწყებოდა, 15 წლით გაგრძელდა საკონტრაქტო პირობები კასპიის ზღვაზე გემებით ფოსტის გადაზიდვაზე. ისე რომ, გრ. ორბელიანის მიერ წამოწყებულია საქმემ სათანადო აღიარება პოვა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში მეზობელ ქვეყანასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ საზოგადოებას კარგად ესმოდა საფოსტო კავშირის დიდი მნიშვნელობა ხალხთა შორის ურთიერთდაახლოების საქმეში და ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო ბრესის ფურცლებზე არაერთხელ იბეჭდებოდა გულიანტივილით სავსე წერილები ფოსტის გაუმართავ მუშაობაზე, გასული საუკუნის დასასრულსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ფოსტის დაწესებულებათა მუშაობა ისევ და ისევ საყვედურებს იწვევდა მოსახლეობის ფართო ფენებში.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში მოქმედებდა 40 ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, 125 ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და 11 ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება. საქართველოში საფოსტო ყუთების რაოდენობა 239 იყო, საფოსტო გზების სიგრძე (კმ) ასე გამოიყურებოდა: რკინის გზებით 888, წყლის სა-მიმოსვლო 358 და შარა-გზებით 2042 კილომეტრი. შარა-გზებით ფოსტის გადაზიდვა მდლიანად ცხენებით ხდებოდა და ავტომობილები ამ საქმეში არ გამოიყენებოდა.

1924 წელს საქართველოს საფოსტო დაწესებულებებით გაგზავნილი წერილების და ბარათების რიცხვი შეადგენდა 7,2 მილიონს, ხოლო მიღებული 6,9 მილიონს, ამანათები გაიგზავნა 156,0 ათასი, ხოლო მიღებულ იქნა - 375,0 ათასი. გაიგზავნა 1,8 მილიონი, ხოლო მიღებულ იქნა 1,7 მილიონი ბანდეროლი. რაც შეეხება პერიოდულ გამოცემებს, ფოსტით გაიგზავნა 3,0 მილიონი და მიღებული იქნა 7,5

მილიონი გაზეთი და ჟურნალი.

ამ ციფრების შედარება დღევანდელ ფოსტის სტატისტიკასთან შეიძლება საკვირველად მოგვეჩვენოს.

ბევრი რამ შეიცვალა საფოსტო კავშირგაბმულობაში და კიდევ ბევრი შეიცვლება.

დღევანდელი საქალაქაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირების სწრაფი განვითარებისა და ამ დარგებში მიღწეული სერიოზული წარმატებების მიუხედავად, სავსებით ცხადია, რომ ფოსტა-კავშირგაბმულობის ეს უძველესი სახეობა, სრულებით არ კარგავს თავის მნიშვნელობას და მის გარეშე წარმოუდგენელია ყოველდღიური ცხოვრება.

ხომ არ „დაიჩაგრება“ ფოსტა ახლო და შორეულ მომავალში ელექტროკავშირგაბმულობის დარგებში ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგად? ღიახ, როცა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირები იმუშავებენ კავშირგაბმულობის თანამგზავრების გამოყენებით, ფართოდ დაინერგება ოპტიკური კაბელები, ტელევიზიის ეკრანებზე უფრო მეტი პროგრამების მიღება გახდება შესაძლებელი და თანდათან ბინებში გამოჩნდება ვიდეოტელეფონები.

დიდხანს დარჩება ფოსტა თანაშემწედ ჩვენს საქმიანობაში?

რასაკვირველია, დიდხანს.

ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ტელევიზიის სწრაფი განვითარება შეამცირებდა გაზეთებზე და ჟურნალებზე მოთხოვნილებას. მოხდა პირიქით - ტელეგადაცემები უფრო მეტ ინტერესს იწვევენ მოსმენებისადმი და ჰყვებადნენ სურვილი გაცეცნოთ მათ პრესის ფურცლებზე. ხელით დაწერილი ბარათი კი არც დროით და არც მოულობით არ არის შეზღუდული. უფრო მეტიც, არის ცხოვრების ისეთი მომენტები, როცა წერილს ვანდობთ იმას, რასაც სიტყვიერად ვერ ან არ გამოვთქვამთ. საფოსტო საქმეს ბევრი განსაკუთრებული აქვს და იგი, ამ მხრივ, შეუცვლელია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეცნიერთა, ინჟინერთა და კონსტრუქტორთა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ეგრეთწოდებული „ელექტრონული ფოსტის“ შესაქმნელად, მოდი წარმოვიდგინოთ თუ როგორ მოხდება წერილის გაგზავნა თბილისიდან მოსკოვში, როცა მომავალში ექსპლუატაციაში გადაეცემა „ელექტრონული ფოსტა“?

თქვენ სახლში სპეციალურ ქაღალდზე წერილი დაწერეთ, მერე კონვერტში ჩადეთ და კავშირგაბმულობის განყოფილების შენობაზე დამაგრებულ საფოსტო ყუთში ჩაუშვით. როცა ყუთიდან წერილს ამოიღებენ და მისამართის მიხედვით დაახარისხებენ, კონვერტს სპეციალურ მოწყობილობაში ჩასდებენ. ეს მოწყობილობა ავტომატურად გახსნის კონვერტს, წერილს ამოიღებს და ჩადებს აპარატურაში, რომელიც სატი-



დევნილი კაშვირის მსგავსად მოქმედობს. აპარატურა სტრიქონ-სტრიქონ „აღიქვამს“ აქვენს მიერ დაწერილ ტექსტს და უმაღვე მოსკოვის იმ კავშირგაბმულობის განყოფილებას გადასცემს, რომელიც ემსახურება აქვენს ადრესატს. ამილინიდან მოსკოვამდე წერილის გადაცემას რამდენიმე წამი დასჭირდება. მერე მოსკოვის კავშირგაბმულობის განყოფილებაში ტექსტი ავტომატურად ჩაიღება კონვერტში, მასზე მისამართი დაიბეჭდება და კონვერტს ფოსტალიონი თავისი მისამართით მიიტანს. ასეთი ხერხით წერილის გაგზავნის ღირს ტექსტის შინაარსი არავის ეცოდინება. ასე, რომ წამები იქნება საჭირო აქვენი წერილის მოსკოვში მოხვედრამდე.

ტრადიციული სახმელეთო-საქალაქთაშორისო არხების გარდა „ოღო-ქტრონული ფოსტის“ მუშაობა შეიძლება განხორციელდეს დედა მიწის კავშირგაბმულობის თანამგზავრის გამოყენებით. როგორც ფიქრობენ, ასეთ შემთხვევაში ტექსტის გადაცემა 100-ჯერ უფრო სწრაფად მოხდება, ვიდრე ჩვეულებრივი ტელეგრაფის აპარატით დეპეშის შინაარსის გადაცემა. ამერიკელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ 10 წლის შემდეგ ყოველწლიურად დაახლოებით 35 მილიონი საფოსტო გზავნილები „ოღო-ქტრონული ფოსტით“ გადაიცემა და მნიშვნელოვნად შემცირდება წერილების გაგზავნის ღირებულება.

ილიასეული „ივერია“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მკითხველებისათვის გაზეთების ღირსად მიტანას.

დღესაც ცდილობენ, რაც შეიძლება ღრმად მიიტანონ ჟიურებში გაზეთი, ფოსტალიონებმა კი ტრანსპორტით სწრაფად დაარიგონ სახლებში. ახლა ყველამ იცის, რომ 16 ცენტრალური გაზეთი სსრ კავშირის 40-ზე მეტ ქალაქში იბეჭდება. სხვადასხვა ქალაქებში მოსკოვიდან დეიამფრინავებით იგზავნება „პრავდის“ მატრიცები და ადგილობრივ სტამბებში იბეჭდება. ასეთი ხერხი, რასაკვირველია, ძალზე ეფექტიანია, თუმცა უნაკლოც არ არის; 100-დან 23-35 შემთხვევაში მატრიცების ადგილზე მიტანა გვიანდება არასაფრენი ამინდის გამო.

იქნებ სხვაგვარი ხერხით შეიძლება მოსკოვიდან გაზეთის ტექსტი სხვადასხვა ქალაქში გადაეცეს? - ლაფიქრდენ ინჟინერები და „იმედის თვალის“ შეხედეს კავშირგაბმულობის ხაზებს. დაიწყო „პრავდის“ საცდელი გადაცემები მოსკოვიდან ლენინგრადში. გავიდა ღირს. ახლა სხვა ქალაქებშიც მოეწყობა ასეთი გადაცემები. ამჟამად მოსკოვიდან კავშირგაბმულობის ხაზებით ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში იგზავნება ცენტრალური გაზეთების ტექსტების გამოსახულება და ამ ხაზების საერთო სიგრძე 39-ათას კილომეტრს გადაამტავ, 10 მილიონზე მეტი ხელისმომწერი კითხულობს ფოსტოტელეგრაფის მეშვეობით მიღებულ გაზეთებს. მოსკოვიდან გაზეთების ტექსტის კავშირგაბმულო-

ბის ხაზებში გადაცემის მიმართულების რაოდენობა 4-6-ჯერ მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, შვეიცარიაში. ზოგიერთი მიმართულებების ხაზების სიგრძე 10-15-ჯერ მეტია, ვიდრე უცხოეთში.

კავშირგაბმულობის არხები ცენტრალური გაზეთების შორ მანძილზე გადაცემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განვიდარების მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ღონისძიებაა. საინტერესოა ისიც, რომ ეს თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობა საშუალებას იძლევა გაზეთების ტექსტის გამოსახულება გადაიცეს მეკავშირე თანამგზავრისა და სისტემა „ორბიტის“ გამოყენებითაც. მაგალითად, ცნობილია, რომ გაზეთ „პრავდის“ ტექსტი მოსკოვიდან ხაზაროვსკში კავშირგაბმულობის თანამგზავრის გამოყენებით გადაიცემა.

წარმოიშვა გაზეთების შინ მიტანის ერთი საინტერესო იდეაც. ზოგიერთი ინჟინრის და კონსტრუქტორის აზრით, შესაძლებელია, რომ გაზეთი მკიბხეღმა რედაქციიდან პირდაპირ შინ მიიღოს, უფრო სწორად, წინასწარ მომზადებულ ქალაქზე გამოისახოს. გაზეთის ტექსტი რადიოს დახმარებით გადაიცემა. ავთ რედაქციაში კი საჭიროა გაზეთის მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარი დაიბეჭდოს.

საინტერესოა, რომ ელექტრული სიგნალების გადაცემა მოხერხდა იმ ჩვეულებრივი სატელევიზიო არხით, რომლის დახმარებითაც ტელევიზორში გამოსახულებები მოჩანს. და აი, უკანასკნელი ცნობა - მსოფლიოში პირველი „სატელევიზიო გაზეთის“ გადაცემა დაიწყო ერთერთი უდიდესი იაპონური გაზეთის „ასახის“ რედაქციის მთავარი შენობიდან.

ტოკიოს სასტუმრო „იმპერიალის“ მთავარ პოლში, სადაც ექსპერიმენტული მიმღები აპარატურა დგას, გადაიცა გაზეთ „ასახი იკინგ ნიუსის“ ნომერი, რომელიც ინგლისურად გამოდის. გაზეთის ერთ გვერდს გადასცემენ და მიიღებენ ხუთ წუთში. ასეთი წესით ყოველდღე გადაიცემა გაზეთის 70-მდე პირი, რათა დარქარდეს სასტუმროს მცხოვრებთა მომარაგება ახალი პრესით. ექსპერიმენტი მოაწყვეს გაზეთმა „ასახიმ“ და ტოკიოს „სიბაურა დენკის“ ფირმამ.

როგორც ფუტოროლოგები ამტკიცებდნენ, საინფორმაციო ცნობები ტელევიზორების ეკრანებზე რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდებოდა, მაგრამ ბულგარეთის ელექტრონულმა მრეწველობამ დროს გაუსწრო. უკვე მოქმედებაშია ექსპერიმენტული სისტემა „ბულგარტექსტი“, რომელსაც შეუძლია ბინიდან შეეცდეთ ჩვეულებრივი ტელევიზორის ეკრანზე არჩენოს 999 გვერდი საინფორმაციო ტექსტი ილუსტრაციებით. საკმარისია თითო დააჭიროთ პატარა ლილაკს ტელევიზორის გვერდი, რომ ეკრანზე დაინახოთ საღამოს გაზეთის გვერდი, სანამ ფოსტალიონი მას

სახლში მოგიტანა. ვარდა ამისა, დღის ნებისმიერ დროს ეკრანზე შეიძლება დაინახოთ ამინდის მდგომარეობა, თეატრების რეპერტუარი, სპორტული მატჩების შედეგები. ისიც შეიძლება, რომ შეუკვეთოთ და ეკრანზე დაინახოთ ცნობები ახალგაზოცებული ლიტერატურის შესახებ, „გადაფურცლოთ“ სამედიცინო და ტექნიკური ცნობარები. ურთი სიტყვით, ტელევიზორის ეკრანზე დაინახოთ საჭირო ინფორმაციის დიდი რაოდენობა.

ასეთი საინტერესო სისტემის მოწყობა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც მოიწყო სპეციალური სტუდია და აქ დაიდგა ელექტრონულ-გამომავლელი მანქანა „მახსოვრობის“ ბლოკებით. აღსანიშნავია, რომ სისტემა „ბულგარტექსტი“ არ იკავებს სატელევიზიო არხს. სახლში დადგმული ტელევიზორის დამატებითი მოწყობილობა საშუალებას იძლევა ეკრანს მოსცილდეს ჩვეულებრივი პროგრამა და მასზე გამოი-სახოს საჭირო ტექსტი.

როგორც ბულგარელი სპეციალისტები ფიქრობენ, ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება შეკვეთების ფურცლების რაოდენობა 16 ათასი გზად მასზე ნივთიერების ფურცლებზე კი შეიძლება გადა-ფურცლოს ტელევიზორის ეკრანზე ისე, რომ კაცი ბიბლიოთეკაში აღარ წავიდეს.

აი, რას გეპირდება მომავალში კავშირგაბმულობის ტექნიკა. მცენიერებიხა და ტექნიკის განვითარებას არა აქვს საზღვარი და ამიტომ არის, რომ ახლო თუ შორეულ მომავალში ბევრი სიახლე გამოჩნდება საფოსტო მომსახურების დარგში. ამასთან, უფრო სრულყოფილი გახდება საფოსტო კავშირების ორგანიზაცია. სწორედ აქედან არის გამომდინარე ის მზრუნველობა, რასაც ჩვენი სახელმწიფო იჩენს ფოსტის შემდგომი განვითარებისთვის.

ილიასეული „ივერიის“ საფოსტო კავშირისადმი განსაკუთრებული ყურადღების ტრადიცია დღესაც გრძელდება.

### ამბავი პირველი დეპეშებისა

დღეს საქართველოს მძლავრი სატელეგრაფო ქსელი აქვს, რომელიც საშუალებას იძლევა დეპეშები გაიყვალოს არა მარტო რესპუბლიკის, არამედ ქვეყნის ნებისმიერ კუთხესთან. თბილისის ტელეგრაფის პირდაპირი შეერთებების ავტომატური სატელეგრაფო სადგური რესპუბლიკის ნებისმიერ კავშირგაბმულობის განყოფილებაში დადგმულ აბარატს ავტომატურად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის მრავალ ტელეგრაფის აბარატთან და პირიქით. საბაზონენტო ტელეგრაფის გამოყენებით რესპუბლიკის წარმოებებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან ყოველდღიურად ათასობით დეპეშები გადაეცემა უწყებებს და ორ-

განიზაცია - ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე. „გენტექსის“ სისტემის სატელეგრაფო სისტემა უზრუნველყოფს საქართველოდან ავტომატურად დეპეშების გაცვლას საზღვარგარეთის კავშირგაბმულობის დაწესებულებებთან.



ჯერ კიდევ 1863 წელს, როცა ი. ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბეს“ რედაქტორობდა, ამ გაზეთმა დიდი ყურადღება მიაქცია თბილისსა და სტავროპოლს შორის სატელეგრაფო ხაზის ამუშავებას. მაშინ „საქართველოს მოამბე“ (1863, № 3, გვ. 110-111) წერდა: „ამ წლის იანვრის დეჟი გაათავეს გაბმა ტელეგრაფის ხაზისა თბილისსა და სტავროპოლს შუა. ამბობენ, რომ წილსვე მიიტანენ ამ მავთულს რუსტოვის ქალაქამდე, რომელიც შეერთებულია პეტერბურგთან ტელეგრაფით. ამნაირად ჩვენი ქალაქი შეერთებული იქნება ტელეგრაფით ევროპის ყველა დედაქალაქებთან. ამას, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის სარგებლობაზე მოქმედება ექნება, რადგან ტელეგრაფი გააადვილებს ამბების გადაცემას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ნამეტნავად სავაჭრო საქმეებისათვის“.

ამართლაც, კაპიტალიზმის განვითარების იმდროინდელ პირობებში სატელეგრაფო კავშირი გადაუმწყვეტ როლს ასრულებდა ამბების სწრაფად გაცვლაში და ხელს უწყობდა მწარმოებლებსა და მომხმარებლებს საქონლის გასაღება-შესყიდვაში. ტელეგრაფის დახმარებით მწარმოებლები ეძებდნენ ბაზრებს, სადაც საქონელი მტრ ფასებში შეიძლებოდა გაყიდულიყო, პირიქით, მომხმარებლები ცდილობდნენ, ტელეგრაფით შეიძლებოდა სად შეიძლებოდა მაღალი ხარისხის საქონლის იაფად შეძენა. სატელეგრაფო კავშირი ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას, ზეგავლენას ახდენდა საქონლის ბრუნვაზე და ფასებზე, ერთადგილიდან მეორეში საქონლის ტრანსპორტირების ღირებულებაზე.

როგორც ცნობილია ეკონომისტი ე. ზავსი წერდა, სავაჭრო ურთიერთობის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული სატელეგრაფო კავშირის გაუმჯობესებაზე და მისი დახმარებით ვაჭრობა უფრო სოლიდურ საფუძველს ღებულობდა.

„საქართველოს მოამბის“ რედაქტორ ი. ჭავჭავაძეს, რომელიც შესანიშნავად იცნობდა საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ მდგომარეობას, მხედველობიდან არ გამორჩა ისედი საყურადღებო მოვლენა, როგორც იყო თბილისის სტავროპოლთან ტელეგრაფით დაკავშირება. როგორც გაზეთი ფიქრობდა, იმავე წელს სტავროპოლის

ტილეგრაფის სადგური ჩაირთო რუსეთის სატილეგრაფო ქსელში და ამი-  
ლისმა და პეტერბურგმა პირველი დებუშები გაცვალა ერთმანეთთან,  
ჩასაც მოწინავე ქართველი საზოგადოება დიდი მოწონებით შეხედა.

სატილეგრაფო კავშირის მდგომარეობა საქართველოში ფართოდ  
აისახა გაზეთ „ივერიაში“. წლების მანძილზე გაზეთის ფურცლებზე  
დაბეჭდილი ინფორმაციები თუ წერილები დღეს საშუალებას იძლევა  
წარმოვიდგინოთ არამარტო თვით რედაქციის და მისი რედაქტორის და-  
მოკიდებულება კავშირგაბმულობის ამ დარგისადმი, არამედ შევიტყოთ  
ბევრი ისეთი ისტორიული ფაქტი, რომელსაც გარკვეული შტრიხი შე-  
აქვს საქართველოში ტილეგრაფის განვითარების ისტორიაში.

1885 წელი.

გაზეთი 22 მარტს იტყობინებოდა: „როგორც გვიამბებს ხონიდან  
ჩამოსულებმა, ხონის საზოგადოებას გადაუწყვეტია მართებლობას და-  
ეხმაროს ტილეგრაფის გაყვანაში და ხვედრი ფული უკვე შეუწერიათ  
კიდეც“.

ამგვარად, მოსახლეობა იმდენად იყო დაინტერესებული ტილეგ-  
რაფით, რომ ცდილობდა საკუთარი სახსრების გაღებით დაერქვარებინა  
სატილეგრაფო ხაზის გაყვანა ხონში.

„გორიდამ გეწერენ: გორიდამ ცხინვალამდის ტილეგრაფის გამა-  
რფას უკვე შეუდგინენ. სვეტები დასხმულია და მავთულბს აბამე-  
ნო“, - წერდა გაზეთი 25 აპრილს.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში აღ-  
მოჩენილი დოკუმენტები ადასტურებს ილიასელი „ივერიის“ ცნობას,  
რომ 1884 წელს მართლაც მიმდინარეობდა ტილეგრაფის გაყვანა ცხინ-  
ვალსა და გორს შორის.

იმ მიზნით, რომ ხელისუფლებისთვის ხელი შეეწყობა სატილეგ-  
რაფო სადგურის მოწყობაში, სასოფლო საზოგადოების წარმომადგენ-  
ლები დათანხმდნენ ტილეგრაფის სადგურისთვის 3 წლის ვადით უფა-  
სოდ გამოეყობათ ოთხთახიანი შენობა. გარდა ამისა, თავადმა ფა-  
ლავანდოვმა (ფალავანდიშვილმა), თავის მხრივ, ხელისუფალთ აღუ-  
თქვა თუნდაც უფასოდ დაემზადებინა მუხის ბოძები, რამდენიც სა-  
ჭირო იქნებოდა ცხინვალიდან გორამდე ტილეგრაფის ხაზის გასაყვა-  
ნად. ცხინვალ-გორის ტილეგრაფი ექსპლუატაციაში გადაეცა 1886  
წლის 16 მაისს.

„ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ უმაღლესს მთავრობას გან-  
ზრახვა აქვს, ერთი სატილეგრაფო მავთული კიდეც გააბას ტფილისსა  
და სიღნაღს შუა მერმისსაო“ (№ 234);

„სოფ.კაპითგან გეტყობინებს ჩვენი კორესპონდენტი, რომ 16  
დღისთვისთვის იმავთ სოფ.კაპში გაუმართავთ ტილეგრაფის სადგური“  
(№ 241);

„გაზ. „ნოვ თბორ“ ამბობს, რომ კავკასიის ტენიკურის სა-  
ზოგადოების კრებაზე ერთი მისი წევრი აპირობს წაიკითხოს მოხსენ-  
ება რკინიგზის მადნების შემუშავებასა და რკინის საკეთიბლის ქა-  
რხნის დაარსების თაობაზე კავკასიაში. სხვათაშორის, ამ წევრის  
აზრით, ქარხანას შეეძლება აკეთოს რკინის სვეტები ტელეგრაფისა-  
თვისათ. ტელეგრაფისთვის ეხლა ვხმარობთ რელსებსა, რომელთაც ხის  
ნაჭრებით ვაკოწიწებთ თავზე, როდესაც შეიძლებოდა ამის მაგიერ  
ერთიანი რკინის სვეტები გვეკეთებინა ისე, როგორც ინდოეთისა და  
ევროპის ტელეგრაფსა აქვს“ (№ 276).

„ივერიის“ შიერ ნახსენები „ინდოეთის და ევროპის“ ტელეგრა-  
ფის ხაზი ყველაზე გრძელი სახმელეთო ხაზი იყო მთელ მსოფლიოში და  
იგი ასეთი ტრასით ვადიოდა: ლონდონი-ბერლინი-ვარშავა-ოდესა, ქე-  
რჩის სრუტე-სოხუმი-თბილისი-თერანი-კარაჩი-კალკუტა. ეს ხაზი  
1870 წელს გადაეცა ექსპლუატაციაში და უახლესი აპარატურით იყო  
აღჭურვილი. ხის საყრდენების ნაცვლად მავთულები ჩამოკიდებული  
იყო რკინის ბოძებზე, რომლებსაც „ივერიაში“ უწოდა „რკინის სვე-  
ტები“. სწორედ რკინის ბოძების სიმტკიცის შედეგად მოხდა, რომ  
დღესაც, მრავალი წლის შემდეგ საქართველოს ცალკეული რაიონებში  
ისევ დგას ეს ბოძები, თუმცა უკვე სხვა მოვალეობას ასრულებს.

ღიახ, მნიშვნელოვან ტექნიკურ მხარეს მიაქცია მაშინ ყურა-  
დღება ილიასეულმა გაზეთმა. „ხის ნაჭრებით“ დაშვადებული ბოძები,  
ცხადია, მალე გამოდიოდა წყობილებიდან და პერიოდულად შეცვლას  
მოითხოვდნენ.

„ივერია“ არც ერთ ცნობას არ სტოვებს უყურადღებოდ, რაც კი  
დაკავშირებულია საქართველოში ახალი ტელეგრაფის სადგურების მო-  
წყობასთან. ღიახ, ყოველი ახალი ტელეგრაფის ხაზის გაყვანა გა-  
ზეთს დიდ საზოგადოებრივ საქმედ მიაჩნდა.

გაზეთმა 1887 წლის 25 აპრილს ასეთი ინფორმაცია დაბეჭდა:  
„ონიდან სწერენ გაზ. „კავკასუს“. ამ დღეებში აქ მოვიდა ამბავი  
ტვილისიდან, რომ უმაღლესი საფოსტო და სატელეგრაფო მთავრობა თა-  
ნახმავა გაიმართოს აქცენს დაბაში სატელეგრაფო სადგური. მხოლოდ  
ბირობა ასეთი დაუდგია: მანდაურმა მცხოვრებლებმა უნდა თავისი  
ხარჯით დასხან ბოძები, იქირავონ სახლი სადგომისათვის და იყო-  
დონ სადგომისათვის საჭირო აგეჯიო“.

საინტერესოა, რომ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ის-  
ტორიულ არქივში მდიდარი მასალებია თავმოყრილი ონში ტელეგრაფის  
სადგურის მოწყობასა და აქ ტელეგრაფის ხაზის მშენებლობის შესა-  
ხებ. დოკუმენტები კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებენ თუ რა  
დიდი იყო მოთხოვნილება იმ პერიოდში ღებებების სწრაფად გადაცე-

მის საჭიროებაზე და რომ ადგილობრივი მოსახლეობა ყოველმხრივ უწყობდა ხელს ხელისუფალთა ამ საქმეში.

1892 წლის I თებერვალს „ივერია“ იტყობინებოდა: „ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენის ფოსტა-ტელეგრაფის განკარგულებით დებუშები და წერილები ეძლევათ ფოსტალიონებს დასატარებლად; ამის გამო დებუშები ძალიან გვიან მოსდით ადრესატებს. უმჯობესი იქნებოდა, რომ დებუშები წინანდელსავე ცალკე კაცებმა დაატარონ და არა ფოსტალიონებმა წერილებთან ერთად“.

დიახ, ილიასეული „ივერია“ ამ შემთხვევაში საკუთარ მოსახრებას გამოსთქვამს დებუშების დატარების ორგანიზაციაზე და დღესაც დებუშების მიტანა კავშირგაბმულობის განყოფილებიდან ადრესატებამდე სპეციალურად გამოყოფილი თანამშრომლების საშუალებით ხდება.

რასწორად შენიშნავდა გაზეთი დებუშების დაგვიანებით მიტანაზე!

„საფოსტო და სატელეგრაფო უწყება მომავალ წლიდან შემოიღებს ახალ წესს იმ კერძო დებუშების შესახებ, რომელსაც კერძო პირები ვაგზაინიან რკინის გზის სადგურიდან, ამ ახალი წესით დებუშა შეიძლება დაწერილი იყოს კარანდაშით და არა მელნით. თუ ადრესი რამდენისამე სიტყვით არის გამოცხადებული, უნდა ჩაითვალოს ერთ სიტყვად და ამის კვალად იქმნას ფასი გადახდელი. დებუშის გამგზავნა შეუძლიან რამდენისამე პასუხის ფასი შეიტანონ დებუშის გამგზავნის დროს და სხვა“ - წერდა „ივერია“ 1893 წლის 4 ნოემბერს.

გამომდინარეობდა რა სატელეგრაფო კავშირების გამარჯული მუშაობის აუცილებლობაზე, ილიასეული გაზეთი სისტემატურად ატვირთებდა ცნობებს ტელეგრაფის შეფერხებებზე.

1895 წელს „ივერია“ (№ 235) წერდა: „ჩვენ ვვატყობინებდნენ, რომ მრავალ ადგილას ბათუმსა და ტფილისს შუა ტელეგრაფის ბოძები დაუგლეჯია ნიაღვრებს, ასე რომ ჯერჯერობით დებუშები არ მოდის ბათუმიდან. ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობა დიდად შეცადინებოს, რაც შეიძლება მაღე შეაკეთონ ტელეგრაფის ქსელი, თუ სადმე გაფუჭებულია“.

თავის 1895 წლის საახალწლო ნომერში „ივერია“ (№ I) ფელეტონი გამოაკვირებდა ტელეგრაფებსა და ტელეფონებზე.

აი, როგორი იყო ამ ფელეტონის ის ნაწილი, რომელიც ტელეგრაფს შეეხებოდა: „ტელეგრაფი რომ შემოიღეს, მე ვიქვი, ეს არის - მეორედ მოსვლის ნიშნები დადგა-მეთქი, მაგრამ მაინც კაცი ვარ, ვიფიქრე, ვიფიქრე და გავიგე, ძალა რაშიაც იყო. რა არის ტელე-

გრაფი: ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში ძაფთა გაბმული, ამ ქალაქში პაწია ნაგლეჯს ქალაღდზედ დასწერენ, - „ოჰანენზას უთხარ, ხუთასი თოფი მაუდი იყიდოს და ორასი თოფი ყუიანოზის ჩითოო“, მათბამენ მავთულს, ის იქიდგან ხელად ვასწევს და ეს ქალაღდი მეორე ქალაქში ამოჰყოფს თავს. თუ აქვე ქალაქში ჰგზანენიან, თუ აბბა, კირაკოზ, ტავარი მომყავს და შეშულდი ბლომად არის“, აქედგან გაღმოსწოდენ მავთულს და მანამ ის გზაში მტერიო იხრჩევაბა, ჩვენ აქ ციცოთ კიდევ, რომ ოჰანენზა მოღის და თან ტავარი მოჰყავდესო. აკი გეუბნებოთ, ამ ტელეგრაფას ზაჰრუმაღლა გაუგეთ, ჰამა რას იზამ, როცა თითო წოდლიწადს თითო ზახრუმაღლა მოსდევს. ყველაფერი იცოდება, წესიც, რჯულიც, ხალხიც, ჯანდაბაც და ღოზანაც“.

ილიასელი „ივერია“ არა მარტო ყურადღებას უთმობდა იმდროინდელი ტელეგრაფის მდგომარეობას და საქართველოში ახალი სატელეგრაფო სადგურების მოწყობას, არამედ გარკვეულ ადგილს უთმობდა ტელეგრაფის ისტორიას. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა 1897 წელს „ივერიაში“ (№ 108) გამოქვეყნებული წერილი წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელების გაყვანის შესახებ.

ეს წერილი იმდენად საინტერესოა დღესაც, რომ გვინდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი გავაცნოთ მკითხველებს.

აი, რას წერდა მაშინ „ივერია“: „წელს შესრულდა 60 წელიწადი მას აქვე, რაც ზღვაში ტელეგრაფის მავთულის გაბმა დაიწყო და ამ ამბის გამო პროფესორმა ვ. აირტონმა მოხსენება წაიკითხა ლონდონის სამეფო ინსტიტუტში. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ 1837 წელს, ე. ი. 60 წლის წინად ბ-ნი ვილიამ კუკი სუდილობდა ზღვაში ტელეგრაფი გაემართა, მაგრამ მისმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ამ მეცნიერზედ ადრე წყალში ტელეგრაფი გამართა რუსეთის ქვეშევრდომმა ბარონმა შილინგმა, მაგრამ მისს გამოგონებას ყურადღება არავინ მიაქცია რუსეთში. ბარონ შილინგის გამოგონებით ისარგებლეს ინგლისელებმა და გამართეს ზღვაში ტელეგრაფი. თვით ბარონს შილინგსა-კი სიღარიბეში ამოუვიდა სული. ზღვაში ტელეგრაფის გამართვის საქმემ მხოლოდ მაშინ მოიკიდა მაკრად ფეხი, როდესაც შემოიღეს ეგრედ წოდებულ გუტაპერჩისა ანუ რეზინის მილის გაკეთება. 1848 წელს სიმენსისა და ვალსკეს ქარხანამ გამართეს პირველი ტელეგრაფი კილის ნავთსადგურში. ამავდ დროს ტელეგრაფი გაჰმართა პუდზონის ყურეში ბ-ნმა არმსტროვმა.

16 ივნისს, 1845 წელს იაკობმა ბრეტმა და მისმა ძმამ ჯონმა დააარსეს საზოგადოება, რომელსაც საგნადა ჰქონდა გაემართა ტელეგრაფი ბრიტანიის კუნძულთა შორის და აგრეთვე ინგლისსა და ამერიკის შუა, მაგრამ ამათი პროექტი მთავრობამ არ შეიწყნარა.



ორი წლის შემდეგ ისევ ამ ორმა ძმამ მთავრობასა ხეხოვეს, ნება მოგვცოთ ტელეგრაფი გაემართათ ღუვრსა და კალეს შორის. 10 აგვისტოს, 1849 წელს მოუვიდათ ამის ნებართვა, ხელმოწერილი ლუი ნაპოლეონის ბონაპარტის მიერ. მოამზადეს 25 მილის სიგრძე მანქანი, გუბაპერჩში გახვეული, ანუ როგორც ეხლა ეძახიან, კაბელი, ჩაუშვეს ზღვაში, მაგრამ კლდეს მოედო და გაწყდა. 1850 წელს 19 დეკემბერს საფრანგეთის მთავრობამ ზღვაში ტელეგრაფის გამართვის უფლება მისცა ძმებს ბრეტტებს, ამათ დაეხმარნენ ფულის პატრონები და შეუდგნენ საქმეს. ტელეგრაფის კაბელი დაუდეს გემს და ზღვაში ჩაუშვეს, მაგრამ ერთის მილის სიგრძე დააკლდა და ეს ამბავი გემიდგანვე ტელეგრაფით შეატყობინეს ხმელეთზედ. ეს ამბავი მოხდა 1851 წელს 15 ნოემბერს. მას აქვე ტელეგრაფის გამართვის საქმე ძლიერ გაადვილდა.

ერთი წლის შემდეგ ძმებმა ბრეტტებმა გამართეს ტელეგრაფი ინგლისსა და ირლანდიას შუა, მაგრამ კაბელი მაინც ორჯერ გაფუჭდა, ბოლოს როგორც იყო, მკვიდრი ტელეგრაფი გამართა ინჟინერმა ჩარლზ ბრაიტმა.

1857 წელი სწორედ რომ შესანიშნავი წელია ტელეგრაფის ისტორიაში. ამ წელს დაიწყეს ტელეგრაფის გამართვა ამერიკასა და ევროპას შუა, გააკეთეს ტელეგრაფის კაბელი, 2600 მილის სიგრძე და დააწყეს ორს გემზედ - ერთი ამერიკიდგან წამოვიდა და მეორე ევროპიდგან წავიდა. ოთხის მილის სიგრძე კაბელი რომ ჩაუშვეს ზღვაში, კაბელი გაწყდა, ხელმეორედ შეუდგნენ საქმეს და ჩაუშვეს ზღვაში. 226 მილის სიგრძე კაბელი და კიდევ გაწყდა. ამით გათავდა საქმე ამ წელს. 1858 წელს ისევ დაიწყეს ეს საქმე და, როგორც იყო ამერიკისა და ევროპას შუა ტელეგრაფი გაიმართა. უნდა მოვიხსენიოთ, რომ ეხლაც ორჯერ გაწყდა კაბელი და მხოლოდ შესამდე, როგორც იყო გაიმართა ტელეგრაფი. 5 მარიაშობისდღეს, 1858 წელს პირველად გაგზავნილ იქმნა დეპეშა ინგლისიდგან ამერიკაში. ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ გაუგზავნა პირველი დეპეშა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს და მისწერა, იმედი მაქვს, რომ ეს ტელეგრაფი ჩვენს მეგობრობას განაძლიერებსო. პრეზიდენტმა უპასუხა: „დაე, ეს ტელეგრაფი ნიშანი იყოს ჩვენი სამუდამო კავშირისა და ერთგულ მეგობრობისაო“, შემდეგ კიდევ რამდენიმე დეპეშა გაიგზავნა ევროპიდგან ამერიკაში, ამერიკიდგან ევროპაში, მაგრამ ტელეგრაფს თან და თან სუსტად გადაჰქონდა დეპეშა და მერე სრულიად გაფუჭდა.

ფულმა და შრომამ მაინც ამოად არ ჩაიარა და 1866 წელს გაიმართა ტელეგრაფი ამერიკასა და ევროპას შუა. ეს ტელეგრაფი ეხლაც

მუშაობს“.

ამ წერილის დასაწყისში „ივერიაში“ სიმენსი მოიხსენა, რომელმაც 1848 წელს პირველი ტელეგრაფი მოაწყო ვილის ნავსადგურში. აღსანიშნავია, რომ შემდგომ, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ცნობილი გერმანელი მეცნიერი და გამომგონებელი ვერნერ სიმენსი საქართველოში სამჯერ ჩამოვიდა და აღწერა აღმოჩენილი იყო საქართველოს ისტორიული ძეგლებით. მის ავტობიოგრაფიული ხასიათის სქელტანიან წიგნში აღწერილია ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, თბილისი, კახეთი. როგორც ვერნერ სიმენსი წერს, მან თავისი ცხოვრების საუკეთესო დღეები სწორედ საქართველოში გაატარა. გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისში ცხოვრობდა ვ.სიმენსის ორი ძმა - ვალტერი და ოტო. ისინი თბილისში გარდაიცვალნენ (1868 და 1872 წწ.) და როგორც ვ.სიმენსი შენიშნავდა თავის წიგნში, ერმ საფლავში არიან დასაფლავებული.

ვ.სიმენსის უმცროსი ძმა - ვალტერი - უშუალოდ ხელმძღვანელობდა თბილისი-ქუთაისი-ფოთის, თბილისი-ერევანის, თბილისი-ბაქოს, თბილისი-სტავროპოლის ტელეგრაფის ხაზების მშენებლობას და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული კავკასიის ჯარების სარდალთან გრ.ოზბელიანთან.

ილიასეულ „ივერიაში“ ხშირად იბეჭდებოდა წერილები, რომლებსაც შემეცნებითი ხასიათი ჰქონდა. ვახეთი მკითხველებს განუმარტავდა, თუ რა მიზეზით ხდებოდა დეპეშების დაგვიანება, ანდა რატომ იყო, რომ ზოგჯერ დეპეშის ტექსტი დამახინჯებით გადაიცემოდა ერთი ქალაქიდან მეორეში.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა 1898 წლის 12 ნომბერს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „დეპეშების დამახინჯება“.

გვინდა ამ წერილის ცალკეული ადგილები მოვიყვანოთ: „არა ერთხელ და ორჯერ გაგვიგონია ხალხის საყვედური ტელეგრაფის მიმართ, რომ დეპეშა გადაურევიან, შეუშლიან და სრულებით ის არა სწვრიან, რაც საჭიროა, რასაც ველოდი, ან არა და, ისე დაუმახინჯებიათ, რომ სულ არა გაიგება-რაო და ვინ იცის, კიდევ რამდენ საყვედურს არ იტყვიან ხოლმე... ვინც ამ საქმეს ახლოს არ უდგას, ის ყოველთვის ტელეგრაფის მოხელეს გაამბეჭუნებს და ადვილად ვერ წარმოიდგენს მოხელის შრომა-ტანჯვას, უდიერ ჯაფას და ბრძოლას ბუნების წინააღმდეგ არა რომელიმე მანქანით, არამედ თავისი ჯანითა და ლონით. ნათქვამია: „ერთი აღილუია დიაკვანსაც შესცდებო“. და განა რა დიდს ცოდვამ უნდა ჩაიძვალოს, რომ მოხელეს დეპეშა შესცდეს არა ერთის შინაარსისა და სხვა და სხვა გაურკმევლის ხელით დაწერილები?!

ზოგნი ღებუშას რომ დასწერენ გასაგზავნად, თავიანთ ნაწერს თვითვე ვერ არჩევენ ხოლმე. რა მიზეზია? ისა, რომ უხეიროდა სწერენ და გაურკვეველად სჯობნიან. ჯერ ერთი ასო ასოს არა ჰგავს და თუ ღმერთმა გიშველათ და ასოები გაარჩიეთ, ახლა სიტყვა სიტყვას აღარ ეკერის, ერთმანეთს არ ეთანხმება და აზრი არა გამოდის-რა; ძალიან შეამოკლებენ რომ ფასი ნაკლები გადავიხადოთ“.

მაგრამ ამის გარდა, თურმე, ღებუშები შეიძლება ჰქეპა-ქუხილის შედეგადაც ღამახინჯებულიყო.

„ღღვის ნაბერწკლები ეტანებიან ტელეგრაფის მავთულებს“ და ტელეგრაფის ელექტრომაგნიტები თვითნებურად მუშაობენ - განმარტავდა გაზეთი. ასეთი კონკრეტული მაგალითი იყო მოყვანილი: „მთქვამ ეხლა, რომ ტფილისი აძღვეს ქუთაისს ამ გვარ ღებუშას; გამოგზავნეთ სამი მეწისქვილე. როდესაც მოხელე იძლეოდა სიტყვას „სამი“, უცბამ ამ წუთში ელექტრო მაგნიტში გაირბინა ღღვის ძალამ, რომელმაც არშიახედ ერთი მეტი წერტილი დაამჩნია და ღებუშა ასე შეეცალა: გამოგზავნეთ „ხამი“ მეწისქვილე. ეს იმიტომ რომ ასო „ს“ აღინიშნება სამი წერტილით, მხოლოდ უცბამ ღღვისგან მომატებულმა წერტილმა გახადა ომხი წერტილი, რომელიც ნიშნავს ასოს „ხ“. იმ ღებუშის მიმღებიც სამის გამოცდილის მეწისქვილის მაგვირად, ღებუშის თხოვნისამებრ ერთს გაგზავნის და იმასაც ხამს“

„ივერია“ ასე ამთავრებდა ამ წერილს: „მიზეზი ღებუშების ღამახინჯებისა შეიძლება რომ კიდევ გამოიძებნოს. მხოლოდ ჩვენა გგონია, რომ აქ მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმ ყვედრების ასაცილებლად, რომელსაც იტანს ტანჯული ტელეგრაფის მოხელე“.

როგორ ესმოდა ილიასეულ „ივერიას“ კონკრეტულად სატელეგრაფო კავშირების მნიშვნელობა?

აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი 1900 წლის 15 ივლისს: „ყოველს ეშვს გარეშეა, რომ ახალ დროის გამოგონებათა შორის ღღამიწის სხვა-და-სხვა კუთხის ერთმანეთთან დაახლოების, ერთმანეთის გაცნობის და შესწავლის საქმეში ერთი უმთავრესი სამსახური ტელეგრაფს მიუძღვის. ტელეგრაფის წყალობით კაცი იმდენად ასცდა ვიწრო ფარგალს კერძო ინტერესებისას, რომ ღღეს ცხრა მთას იქით მდებარე კუთხის თავ-გადასავალიც-კი ისეთსავე საინტერესო მოვლენას შეადგენს იმისთვის, როგორც თვით იმ კუთხის მცხოვრებთათვის. უწინდელს დროში ისეთი მოვლენა, როგორც სამხრეთ აფრიკის ომია, მარტო სამხრეთ-აფრიკის, საზღვრებსაც არ გასცდებოდა; ღღეს კი ტელეგრაფმა იგი მთელს ღღამიწას შოსლო და იმდენად დაინტერესა ყველანი, რომ იქ მომხდარ ამბებს საკუთარ საქმეებზედ უფრო გაფაცვიცბით ადევნებენ თვალ-ყურს. სხვაგანაც ასევეა,

ამ უამად თითქმის მეორე დღეს ვიტყობთ იმას, რომ რამდენისამე  
აბასის ვერსიით ჩვენგან დაშორებულ ჩინეთში უხდება. რა საშესა-  
ხურს უწევს იგივე ტილევგრაფი ვაჭრობას, მრეწველობას, დისპლ-  
მატიას და სხვას, ვგონებთ ეს ყველასათვის აშკარაა“.

რა შესანიშნავად არის დაწერილი!

გაზეთმა დიდი ადგილი დაუთმო ამ წერილში ტილევგრაფის როლს  
ამბების სწრაფად გადაცემაში, რაც უმთავრესი პირობა იყო სხვა-  
დასხვა ქვეყნების სააგენტოების მუშაობისთვის.

„აი დეპეშათა უმთავრესი სააგენტოები. ევროპაში: პარიკუშო -  
„ჰავასის სააგენტო“, „ფურნიეს სააგ.“. „ნაციონალის“; ლონდონში -  
„რეიტერის სააგ.“; „დალციელის“ და „ცენტრალ ნევი“; ბერლინში -  
„ვოლფის სააგ.“. ვენაში - „კორესპონდანს-ბიურო“; იტალიაში -  
„სტეფანის სააგ.“; ბერნში - „სატელეგრაფო სააგენტო“; და პეტე-  
რბურგში - „რუსეთის დეპეშათა სააგენტო“. ბევრს ამათვანს საკუ-  
თარი ტელეგრაფიც კი აქვს გამარჯული.

სხვათა შორის „ცენტრალ ნევი“ ყოველდღე თავისს აბონენტე-  
ბისათვის 80 სვეტს დეპეშებსა უბეჭდავს. ამ სააგენტოს კორესპო-  
ნდენტები ინგლისის ყველა ქალაქსა და ლონდონის ყველა უბანში  
ჰყავს. მართო პარლამენტის კრებებზედ სააგენტოს 12 რეპორტიორი  
დადის. დედა-მიწის სხვა-და-სხვა კუთხეში „ცენტრალ ნევის“ 1200  
კაცი ჰყავს.

საკურადლებოა აგრეთვე - „ჰავასის სააგენტოც“. ყოველ დღე  
ეს სააგენტო თავისს აბონენტებისათვის 8 დიდ სვეტსა უბეჭდავს,  
რომლებშიაც ჩამოთვლილია 24 საათის განმავლობაში მიმდებარე  
წის ზურგზედ მომხდარი ამბები. სააგენტოს თითქმის ყველა კუთხეში  
ჰყავს საკუთარი კორესპონდენტი.

რალა, ლაპარაკი უნდა, რომ ამ სააგენტოებს „რუსეთის“ დეპე-  
შათა სააგენტო“ გვერდში ვერ ამოუდგება. „რუსეთის სააგენტო“  
იმათთან შედარებით მეტად უხეიროდ არის მოწყობილი; დეპეშებს  
მეორე დღეს უგზავნის, ხშირად მნიშვნელოვან დეპეშებს სტოვებს და  
უმნიშვნელოთი უკვებავს გაზეთებს. თვით დეპეშის შინაარსიც ბევრ-  
ჯერ უხეიროდ არის შედგენილი და სხვა. რუსულს გაზეთებში ძალიან  
ბევრსა სწერენ ამ სააგენტოს შესახებ, მაგრამ იმის გაუმჯობესე-  
ბას არაფერი ეღირსა“, - წერდა გაზეთი.

1901 წლის დასაწყისში ილიასულმა გაზეთმა ასეთი ცნობები  
გამოაქვეყნა:

„განზრახვა აქვთ ტფილისსა და პეტერბურგს შორის სატელეგ-  
რაფო სადგურების რიცხვი შეამცირონ, რომ უფრო ჩქარა გარდაეცეს  
ხოლმე დეპეშები ამ ორ ქალაქს შორის“ (№ 15);

„შეუდგენიათ პროექტი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შტატის გადღეობისა. პროექტით კანტორაში დაწესებული იქნება 52. მოხელეს ახალი თანამდებობა“ (№ 25);

„ლაბარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სატელეგრაფო ზედამხედველების მოსამზადებლად პროფესიონალური სკოლები იქმნას დაარსებული“ (№ 45);

„25 მარტიდან დაიწყო ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში სააღდგომო მისაღოც დეპეშების მიღება“ (№ 71).

დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში დაინერგა და ინერგება მცენიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევამა საფუძველზე დამზადებული სატელეგრაფო აპარატურა, როცა თბილისის ნებისმიერ კავშირგაბმულობის განყოფილებაში დადგმული ტელეგრაფის აპარატიდან ავტომატურად გადაიცემა დეპეშები რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის ქალაქებში, როცა თბილისში დიდი ტევადობის პირდაპირი შეერთებების ავტომატური ტელეგრაფის სადგური მუშაობს „ივერიას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაციები და წერილები ტელეგრაფის შესახებ კიდევ უფრო საინტერესოა.

„შაბაშ ადამიანის ყოვლად ძლიერებას“

საკვებ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 23 იანვარს მიიღეს დადგენილება „1986-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდისათვის სატელეფონო კავშირის შატრიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და ასეთი კავშირით მოსახლეობის მომსახურების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად 1986-1990 წლებში ჩვენი ქვეყნის ქალაქებში 10 მილიონი ნომრის საერთო ტევადობის ავტომატური ტელეფონის სადგურები გადაეცემა ექსპლუატაციაში.

რესპუბლიკის დედაქალაქ-თბილისში მე-12 ხუთწლეულში მწყობრში შევა ახალი ავტომატური ტელეფონის სადგურები, რომელთა საერთო ტევადობა 300 ათასი ნომერი იქნება.

• • •

როცა 1876 წელს ინგლისის ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარმა ინჟინერმა სერმა ეილიამ ბრისმა ტელეფონის გამოგონების ამბავი შეიტყო, ავტორიტეტულად განაცხადა: „შეიძლება ამერიკელებს სჭირ-

რდებამ კიდევ ტიღეფონი, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, არ ცსაჭი-  
როებამ მას, რადგან საკმარისი რაოდენობით გვყავს წერილების და-  
ტარებლები“.

ილიასეული „ივერია“ (№ 14) 1877 წელს წერდა:

„ვითომ პროფესორს გრეგამს - ბელეს საღეშში (მასაჩუსეტის .  
შტატია) მოუგონია ტიღეფონისაფისაფის მსგავსი რალაც, რომლისაფისაფი  
ტიღეფონი უწოდებია და რომელსაც ძალიან დიდ მანძილზედ გადააქვს  
ფიფიფიფი ხმა, სიტყვა, მთელი მოფხრობა ვისიმე და გალობაცა. ამ  
ახლს ხანში თურმე უფიფიფი მრავალთა დამსწრეთა წინაშე ის ტიღეფო-  
ნი და ყვილა განცვიფრებულა. საღეშსა და ბოსტონს შუა ოფდაშეიფი-  
ვერსტი შეტია. ბოსტონში დაკრული საკრავზედ ხალხური სიმღერა ამ  
ტიღეფონის შემწეობით საღეშში ლიცვის ზალაში ისმოდა თურმე კარ-  
გად და გარჩევიფი და აქ მოგროვილი ხალხი ცხარეთ ტაშსა ჰსციფიფა.  
უფ. უატსონმა, ვექილმა პროფესორის ბელესა საღეშში, მადლობა  
უფხრა აქ მდგომარე საზოგადოებას დანაგრძობისაფისაფის, და ზედ და-  
ატანა: შე მოხარული ვარ, რომ დღეს შე შეძლებთ. მომეცა აქედამ  
ოფდა შეიფის ვერსტზედ საზოგადოებას ცელაპარაკო ისე თიქთს შის  
შუა ვიფიფი. ეს სიტყვები გარჩევიფი გაიგონეს თურმე ბოსტონში, სი-  
მღერა საღეშში ნათქვამი გარდაციფიფი იქნა ტიღეფონით ბოსტონში და  
საღეშში კიდევ მოისმა, რომ ბოსტონის საზოგადოება იქიდან ქების  
ტაშს უკრავდა, ამ სახიფიფი ამ ორ ქალაქთა შორის ლაპარაკი გაიმა-  
რდა და რასაც ბოსტონიდან ჰკიფხაფიფიფი საღეშშიდან მასზედ პასუხს  
აძლეფიფიფი“.

გინ იყის მარტალია თუ არა ეს ამბავი და თუ მარტალია შაბაშ  
აფაშიანის ყოფილად ძლიერებას...“

როგორ შეცდა თავის წინასწარმეტყველებათი სერ ვილიამ პრი-  
სი! დღეს მარტო ლონდონში ტიღეფონების რაოდენობამ 5 მილიონს გა-  
დააჭარბა, ხოლო ინგლისში 27 მილიონზე შეტრი ტიღეფონის აპარატია.  
და როგორ სწორად შეაფასა გაზეფიფი „ივერიაში“ აფაშიანის აზროვნე-  
ბის ეს შესანიშნავი მიღწევა-ტიღეფონი, შაბაშ აფაშიანის ძლიერე-  
ბასო.

თბილისში პირველი ტიღეფონის გაყვანა გაზეფი „კავკაზის“ რე-  
დაქვიაში შოინდომა 1882 წელს. მოფიფი, ტიღეფონის ხაზი რედაქვია-  
სა და სტამბას შორის გაფაბათო - გადაწყვიტეს ურნალისტებმა.

ტიღეფონის დაფემას აღბამ ნებარცვა სჭირდებოდა. ვისგან ზუ-  
სტად არ ოფიფიფი და სამხეფიფი გუბერნატორთან მივიფიფიფი.

გუბერნატორმა დიდი პატივისცემით მიიღო რედაქვიის მუშაკო-  
პი.

- რატომ შეწუხებულხართ? - ბოლოს ჰკიფხა თავაზიანად.

- თქვიფი ბრწყინვალემაფი, გადაწყვიტეთ ტიღეფონი მოვაწყობ

რედაქციასა და სტამბას შორის. ეს ძალზე მოხერხებული იქნება ობი-  
რატორული მუშაობისათვის და გაზეთის დროულად გამოშვებისათვის.

გუბერნატორი ვერ მიხვდა. გაიკვირვა.

- ტელეფონი გვინდა გავიყვანოთ, - გაუმეორეს შურნალისტიმამ.
- ტელეფონი?

- აი, ისეთი მანქანა, ამას წინათ რომ პეტერბურგში დადგეს -  
ერთი ლაპარაკობს და მეორეს ყურში ესმის.

- აა, ახლა გასაგებია. მეც მოგვარი ყური რომ ასეთი სასწაუ-  
ლი სინამდვილე უფიქლა. როგორ სძვირია? ტელეფონი არა? გასაგებია.  
ყვილფერს მიგინებდით.

ძალზე კარგ ხასიათზე დადგა გუბერნატორი. მხოლოდ მალე შე-  
ბღი შეიკრა და შურნალისტიმებს მიწერადად შეხვდა.

- შე ნებას ვერ დაგრთავთ ქალაქში გააბათ მაცულეები.
- რატომ?

- ტელეფონის გაყვანაზე საჭირო ნებართვა პეტერბურგიდან უნდა  
მიიღოთ, - თავი დაიზღვია გუბერნატორმა.

რამდენი არ სცადეს დაერწმუნებინათ შურნალისტიმებს გუბერნა-  
ტორი, რომ ტელეფონის მოწყობა არ იყო რაიმე საშიში მოვლენასთან  
დაკავშირებული, მაინც ვერაფერს გახდნენ.

- ბოლოს და ბოლოს ეს საკითხი სამოქალაქო და შევიძლიანთ  
მიმართათ ქალაქის თავს, - უბადა გუბერნატორმა მტკიცე გადაწყვე-  
ტილება მიიღო.

მეტი რა გზა ჰქონდათ შურნალისტიმებს. მხოლოდ ის იყო, როცა  
ქალაქის თავს საუბარი ჩამოუგდეს ტელეფონზე, იგი დაფიქრდა და  
დამარცხდა.

- ტე-ლე-ფო-ნი. მხოლოდ კარგი იქნება თუ ამ საკითხზე მიმა-  
რთავთ ფოსტა-ტელეგრაფის ოქტის უფროსს. დიახ, ასე მოიქცეით.

- ტელეფონი გინდათ? - გაიკვირვა და ხელები გაშალა ფოსტა-  
ტელეგრაფის უფროსმა, - კი მაგრამ ვანა ნებართვა აიღეთ?

- ვისგან უნდა ავიღოთ ნებართვა?
- ფოსტისა და ტელეგრაფების მინისტრ ლ.მაკოვისაგან.
- ისე რომ, პეტერბურგში უნდა მივწეროთ?

- დიახ, თბილისში ტელეფონის დადგმა შეიძლება მხოლოდ მინი-  
სტრის თანხმობით.

მართლაც, ეს ასე იყო. და „კავკასიის“ რედაქციამ პეტერბურ-  
გში წერილი გაგზავნა მინისტრთან, ტელეფონის დადგმის ნებართვას  
თხოულობდა.

ახოვნა დააკმაყოფილეს პეტერბურგში.

1882 წელს თბილისში ამუშავდა პირველი ტელეფონი „კავკასიის“

რედაქციასა და სტამბას შორის.

2 წლის შემდეგ ტელეფონის ხაზი გაიყვანეს თბილისსა და კოჯორს შორის. „ტფილისსა და კოჯორს შუა გაუმართავ ტელეფონი ადმინისტრაციული საჭიროებისათვის. სტანციები არიან ტფილისში და კოჯორში მთავარმართებლის სადგომში, მის თანაშემწის და სხვა რამდენიმე პირთა სახლებში. ამბობენ, რომ ტელეფონის მავთულის ბოძები ს.წაცკისში დაუპარავთ, ასე რომ ხელ-მეორედ დასჭირდება ბოძების ჩასმა. სოფლებებისათვისაც აუხსნიათ, რა საჭიროებისათვისაც არის ბოძები დასხმული“ - იტყობინებოდა „დროება“ (№ 138).

1886 წლის 3 აპრილს ამუშავდა სატელეფონო ხაზი ქალაქის გამგეობასა და ავჭალას შორის. ამაზე გაზეთი „ივერია“ ასე წერდა: „ქალაქის გამგეობიდან ავჭალამდე გაყვანილი ტელეფონი უკვე მოქმედებს. ამ ტელეფონის საშუალებით ქალაქის გამგეობა და წყლის მიღების გამყვანი ერამანეთს ელაპარაკებიან საჭირო საგნებზედ. ხმები გარკვევით მოისმის“.

რასაკვირველია, ეს იყო პირდაპირი სატელეფონო ხაზი და არა სატელეფონო ქსელი. ასეთი ხაზით მხოლოდ ქალაქის გამგეობასა და წყალსადენის მშენებლებს შეეძლოთ სატელეფონო ელაპარაკის დამყარება და სხვა არაფერი.

ქალაქს კი ესაჭიროებოდა სატელეფონო ქსელი, რომელშიც ჩართული ტელეფონებიდან შესაძლებელი იქნებოდა ერამანეთთან დაკავშირება - ნებისმიერი აბონენტი ნებისმიურს და ელაპარაკებოდა. ამიტომ იყო, როცა 1886 წელს თბილისში პეტერბურგის საზოგადოების „სიდელის“ წარმომადგენელი ჩამოვიდა, ბევრს სატელეფონო ქსელის მშენებლობის იმედი მიეცა.

ილიასეული „ივერია“ (№ 152) წერდა: „ამ დღეებში ტფილისში პეტერბურგის საზოგადოების „სიდელის“ წარმომადგენელი ჩამოსულა იმ განზრახვით, რომ იშუამდგომლოს ქალაქთან და ნება აიღოს ტფილისში ტელეფონის გაყვანისა. თუ ნება აიღო, ამ საზოგადოებას განზრახვა აქვს, აგრეთვე, ახლო-მახლო საზაფხულო ადგილსა და ტფილისს შუაც გაიყვანოს ტელეფონი.“

როგორც სჩანს, ქალაქში ცერ მოხერხდა მათინ სატელეფონო ქსელის მშენებლობის დაწყება და „ივერია“ გულისტკივილით წერდა 1887 წლის 20 თებერვალს: „ადიდი ხანია რაც ჩვენს ქალაქში აპირებენ ტელეფონის გამართვას, მაგრამ ქალაქის სახლის პატრონები ნებას არ იძლევიან, რომ მათ სახლის ბანებზე გაიმართოს ტელეფონისადვის საჭირო მოწყობილობანი. ახლა ქალაქის მცხოვრებლებს უნდა სთხოვოს საქალაქო საბჭომ, რომ სახლის პატრონებს დაავადოს, უარო არა სთქვან და წინააღმდეგობა არ გასწიონ ტელეფონების კეთების დროსა“.



ილიანეულმა „ივერიამ“ აღბათ არ იცოდა, რომ ქალაქში სატელეფონო ქსელის მოსაწყობად საჭირო იყო ნებართვა პეტრობურჯიდან. ეს საკითხი კი დროზე ვერ დააყენეს ქალაქის მესვეურებმა, რადგან ტელეფონის მსურველთა რიცხვი ცოტა იყო მაშინ ქალაქში.

ერთი წლის შემდეგ, 1888 წლის 5 ნოემბერს „ივერია“ კვლავ უბრუნდება თბილისში სატელეფონო ქსელის მოწყობის საკითხს და წერს:

„ფოსტისა და ტელეგრაფის უწყებას განზრახვა აქვს ტფილისში გაშვარათს ტელეფონი საყოველთაო სახმარებლად. ხაზინა თავისი ხარჯით გამართავს ტელეფონის ბადეს, სადგურს და საჭირო მოწყობილობას იმათ მისაღვამებში, ვინც თანახმა იქნება ტელეფონი იხმაროს. თუ სადგომი სამი ვერსის მანძილზე იქნება სადგურადან, სადგურის პატრონი იხდის 150 მანეთს; თუ სამი ვერსზე მეტია, თითო ვერსისა უნდა გადაიხადოს 50 მანეთი. ტელეფონის ხმარების სრულის წესისა და რიგის შემუშავება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი აბონენტი ეყოლება სადგურს, რათა მალე გაიშარათს ტელეფონის სადგური და საჭირო წესი და რიგი დროზე იქმნას შემუშავებული, ფოსტისა და ტელეგრაფის უწყება სთხოვს მცხოვრებთ დროზე განაცხადონ თავიანთი სურვილი. განცხადებაზე თხზ აბაზიანი გერბის მარკა უნდა მიაკრან. სახელმწიფო დაწესებულებაში - კი გერბის გადასახადს არ იხდიან“.

1892 წლის 2 თებერვალს გაზეთი მკითხველებს აცნობებს, რომ „ბ-ნ ტფილისის პოლიცემისტერს განზრახვა აქვს ტელეფონები გაშვარათს თავის კანცელარიასა და ქალაქის ათსავე პოლიციის განყოფილებადა შორის“.

მაგრამ „ივერიას“ ყველაზე ძალიან აინტერესებს თბილისში სატელეფონო ქსელის მოწყობის საკითხი.

„ქალაქის გამგეობა აპირობს წაშადგინოს საბჭოში ცრულად მოხსენება ტფილისში ტელეფონის გამართვის შესახებ. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარგამგეობის უფროსმა უკვე ნება დაართო ქალაქს ტელეფონის გამართვისა. მაგრამ ის პირობა დაუდო, რომ რადეისად მთავრობა მორიდებებს, თავისივე ტელეფონის გამართვას, ქალაქში უხასყილოდ უნდა დაუთმოს ყოველივე თავისი მოწყობილობათ. ეხლა თავისი მოხსენებით გამგეობა წინადადებას აძლევს საბჭოს, იშუამდგომლეთ რომ მთავრობამ ნებართვა მოგვეცეს ტელეფონის გამართვის საზოგადო საკონცესიო უფლებითათ. ამ კანონის ძალით კონცესიის გადა 20 წელიწადია. ფასი 3 ვერსზედ არა უჭრძის ტელეფონისა 250 მანეთია, ხოლო შემდეგ თითო ვერსზედ ხუთი თუმანი ემატება. სახელმწიფო დაწესებულებანი ამის ნახევარს ფასს იხდიან 10 % შე-

მოსაგდისა ხაზინას ეძღვნა. 7 წელიწადს შემდეგ ტილეფონის გამარ-  
ფისა, სახელმწიფოს შეუძლიან თავისაჲ შეისყიდოს იგი, - იუწყე-  
ბოჲა „ივერია“ ამადე წლის 28 აპრილს.

1892 წლის 24 მაისს თბილისელებს გაზეთმა სასიამოვნო ამბა-  
ვი ამცნა:

„კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობამ იკინრა სახელმ-  
წიფო ხარჯით ტფილისში ტელეფონის გამარფვა. ცისად სურვილი აქვს  
აბონენტი აიღოს ტელეფონისა, შეუძლიან მიჰმარათს ფოსტა-ტელე-  
გრაფის უფროსს, ყოველ დღე, 9 საათიდან 3 საათამდე, კვირა-უქ-  
მეებს გარდა, შემდეგის თხოვნით:

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოქის უფროსს.

მე, ამის ქვემოთხელის მომწერს (წოდება, სახელი და გვარი),  
მსურს აბონენტი ავიღო ტელეფონისა და გთხოვ ტელეფონი გამომარათო  
(ამა-და-ამ ადგილას) იმ პირობით, რომელიც მთავრობის მიერ იქნე-  
ბა დამტკიცებული.

ხვედრი ფული (ცადა და ფულის რაოდენობა) წარმოგიგვანია“.

„ივერია“ გულმოდგინეთ ადევნებს თვალს ქალაქში სატელეფონო  
ქსელის მოწყობის საკითხს და სისტემატურად აწვედის მკითხველს სა-  
ინტერესო ინფორმაციას.

1892 წელი. 3 დეკემბერი. „შინაგან საქმეთა სამინისტრომ  
სრულად განიხილა და დაამტკიცა წესრიგი ტფილისის სამთქალაქო ტე-  
ლეფონის გამარფისა. ტფილისის საფოსტო მმართველობამ ეს წესები  
უკვე დაჰმტკიცა და მსურველთ ურიგდებათ კიდევ“.

1892 წელი. 8 დეკემბერი. „ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოქ-  
ის უფროსი სტ.სოვეტ.ბოგუცი უკვე ჩაშოვიდა პეტერბურგიდან.  
ბოგუციის სრული ნებარება მიუღია, რომ ტელეფონები გაჰმარათონ ტფი-  
ლისში. ამ საქმეს 1893 წლის თებერვლიდან შეუდგებიან“.

1893 წელი. 17 მარტი, „გუშინ, ვერაზე და ორთაჰალას შეუდ-  
გნენ ტელეფონის ბოძების დასმასა. ტელეფონის აპარატებს ტფილის-  
ში ნააღგომევეს მიიღებენ პეტერბურგიდან“.

1893 წელი. 16 აპრილი, „ტფილისის ქალაქის მოურავს უცნობე-  
ბია ბ-ნ გუბერნატორისადვის, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყობა ქალა-  
ქის გამკვობას არ ეკითხება, სად როგორ დასხას ბოძები ტელეფონე-  
ბისათ, ზოგან ისეთს ვიწრო ქუჩებში სხავენ. ბოძებს, საცა ისე-  
დაც გაჭირვებულია სიარული ხალხისა და ეტლებისათ. ამას გარდა,  
სასურველია, რომ შესამჩნევ ქუჩებზე, ხის ბოძების მაგიერ, თუჯის  
ბოძები დასხანო“.

1893 წელი. 28 მაისი. „საფოსტო და სატელეგრაფო უწყება ამ  
დღეებში შეუდგა ტელეფონ-აპარატების გამარფვას აბონენტების სახ-  
ლებში“.

და აი, თბილისში პირველი ტელეფონები აწყობილია. ეს სასიამოვნო ამბავი „ივერიაში“ მკითხველებს ასე აცნობა: „ტფილისში ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობის მიერ გამართულია ტელეფონთა უკვე დაიწყო მოქმედება 22 ივნისიდან. უკვე ოცი მაცდულია გაყვანილი სხვადასხვა ადგილას და ტელეფონს II7 აბონენტი ჰყავს“.

ძნელია ითქვას, რატომ მოხდა, რომ გაზეთმა I893 წლის II ივნისს ასეთი ინფორმაცია დაბეჭდა: „გუშინ, 10 ივნისს, დაიწყო ტფილისში მუშაობა ტელეფონთა. ტელეფონი დღე და ღამე იმუშავებს განუწყვეტლივ“.

თბილისის სატელეფონო ქსელის პირველი აბონენტები იყვნენ: პოლიციის პირველი, მეორე და მესამე უბნები, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი, ჯორჯაძის ღვინის საწყობი (გოლოვინის ბრძანებულებით), ჯორჯაძის ღვინის საწყობი (ვაგზაძე), პოლიციის ტერიტორია, კავკასიის მთავარმართებელი, ეგვიპტის რეზიდენტის მალაზია, აკოფოვის რეზიდენტის მალაზია, მტრების ციხე, დამამშვევის წისქვილი, საგუბერნიო ციხე, ადგილობრივი და აკოფოვის ქარხნები, „ტფილისკა ლისტაქის“ რედაქცია, ქალაქის გუბერნატორი, საოლქო შტაბი, წყალსადენის რეზერვუარი ვაგზაძის, ავჭალის წყალსადენი, წყალსადენის სახელოსნო, ამირკავკასიის რეზიდენტის სამმართველო, ქალაქის დეზინფექციის კამერა, ქალაქის წყალსადენის ტექნიკოსის სამოილოვიჩის ბინა და სხვა.

თბილისში პირველი ტელეფონების ამუშავებასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო ფაქტი მოხდა, რაც ხშირად დაკავშირებული იყო სატელეფონო კავშირის პრაქტიკულ გამოყენებასთან.

თითქოს ჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ოქრომჭედის ქუჩაზე ერთმა იმერელმა ბიჭმა ოქრომჭედელს ბრილიანტები მიუტანა.

- აბა, ბიძია, გასინჯე, თუ მოგეწონა, ფული მომეცი.

ოქრომჭედელმა ეჭვიან შეხედა იმერელს.

- სად გიშოვია ბრილიანტები?

- როგორ თუ სად, საკუთარია, ფული მჭირდება. თუ მოგეწონს აიღე, თუ არა და რას შევიძინებ.

ოქრომჭედელი წამოადგა, ხელი მკლავზე მოჰკიდა ბიჭს და უთხრა:

- რატომ გეკითხები? აბა, წავიდე პოლიციაში, იქ უფრო კარგად იტყვი სიმართლეს.

- როგორ გეკადრება, რას ბრძანებ, ბატონო!

ოქრომჭედელი არ მოეშვა და იმერელი პოლიციაში მიიყვანა.

- აი, ინებეთ ბრილიანტების პატრონი, ეტყობა, სადღაც აუწყაპნია. ახლა დავინ ვიპოვებ ამ საქმეს.

- რა კაცი ხარ? ვინ მოგცა ბრილიანტები? - ბოქალის თანამშრომელმა მისხვიან შეხედა იმერელს.

- რა კაცი ვარ და სასტუმრო „ლონდონში“ ვმუშაობ.

ბოქალის თანაშემწემ მოულოდნელად გაიღიმა. მას ბრწყინვალე აზრმა გაუღვდა თავში - „ო, იმერელი, შენ რა იცი, რომ გუშინ აქ ასეთი აპარატი დაგვიდგეს, აქედან ვაუსცვლელად გავიგებ შენს სი-მარადეს“.

გვარი და სახელი ჰკითხა, თითი დაუქონა ბიჭს და მერვე თა-ხში გავიდა, სადაც ტელეფონის აპარატი იდგა.

- სასტუმრო „ლონდონი“ შემადერთე, უმალვე! - მოესმა იმერელს მერვე თაახიდან.

- სასტუმროა? კარგი და პატიოსანი, მე თქვენი რაიონის ბოქა-ლის თანაშემწე გელაპარაკებთ.

და მან სთხოვა სასწრაფოდ ეცნობინათ მუშაობდა თუ არა მათ-თან იმერელი ბიჭი.

- არა, არ მუშაობს? ყველაფერი გასაგებია, - მან რიხიანად ჩამოშკიდა აპარატზე ყურმილი და უკან დაბრუნდა იმ თაახში, სადაც იმერელი... აღარ იყო. ბიჭს ბრილიანტები მაგიდაზე დაეყარა და გა-ბარულიყო.

- ყველაფერი ამ ტელეფონის ბრალია, - ბურტყუნებდა ბოქალის თანაშემწე და არ იცოდა ბრილიანტები სად წადიდა.

ამ შემთხვევაზე მოკლედ იუწყებოდა „ივერია“ 1893 წლის №148-ში.

გაყვირებთ შეხედნენ თბილისის ერთ-ერთი აბანოს თანამშრო-მლები მეტანოკოს ივანოვს, რომელიც თავის ხელსნებთან ერთად აბა-ნოში ტელეფონის დასადგმელად მოვიდა.

„ვინ დარეკავს ჩვენ უბრალო ხალხთან აბანოში? - შეიკითხა ერთი მეტისე ივანოვს.

- როგორ თუ ვინ? თბილისში ათასი სტუმარი ჩამოდის სახლგარ-გარეთიდან. აქ მოწყავე პატივსაცემად, ხომ უნდა იცოდნენ, როგორ არის საქმე აბანოში, ანდა აქედან ეტლს მოიხმობენ, როცა საჭირო იქნება. თუ რაიმე შემთხვევა მოხდა, პოლიციაში დარეკავენ.

როცა მეტანოკოსმა ტელეფონის აპარატი მოაწყო, სადგურში და-რეკა, გასინჯა ხმა როგორ გადიოდა.

- აბა პასან, - მერე უახრა მეტისეს, - მოდი შენ ძმაკაცს დაგადაპარაკო ვოგორდის აბანოში, იქაც გავმართე ტელეფონი.

მეტისემ სიცილი დაიწყო.

- რა გაცინებს სულელივით?

- რა მაცინებს? ის მაცინებს.

- ვაჰ, ვინც განა სასატილო რამე გითხარს? - გაცხარდა მე-ტანოკოსი.

ჰასანამ კი უფრო მოუმატა ხიხინის.

ივანოვიმ მხრები აიჩიოა. ყველას უკვირდა.

- მექანიკ, - ბოლოს როგორც იქნა გულწრფელად სძვეა მექისემ, - ვერ მომატყუებ, კარგად ვიცი, ტელეფონი თანაურად არ ლაპარაკობს. აი ამაზე მეტინებოდა. ვერ მომატყუებ.

როგორც „ივერია“ (# 153) იუწყებოდა: „თბილისში ტელეფონის გაყვანა ხაზინას 17 ათასი მანეთი უჯდება. იმედი აქვთ, რომ ეს ფული ორის წლის განმავლობაში აიღონ აბონენტებისაგან“.

სწორედ გაზეთის ცნობის თანახმად 1893 წლის 17 სექტემბერს თბილისში დამთავრდა ტელეფონების დადგმა და ქსელში 120 ტელეფონი იყო ჩართული. ამას იუწყებოდა „ივერია“ 18 სექტემბერს.

საინტერესოა ამასთან დაკავშირებით 23 სექტემბერს გამოქვეყნებული ინფორმაცია: „გუშინ მთავრობისაგან დანიშნული საგანგებო კომისია შეუდგა ტბილისის ტელეფონების მიღებას ტელეფონების გამომართველი მეხანიკ ივანოვისაგან“.

ამგვარად, ილიასეულმა „ივერია“ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო 1893 წელს თბილისში პირველი სატელეფონო ქსელის მოწყობას და ეს იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად შეაჩნდა, რომ სისტემატურად აუწყებდა მკითხველებს სატელეფონო ქსელის მშენებლობის მდგომარეობას და ქალაქში ტელეფონების დადგმას.

თბილისში პირველი ტელეფონების მუშაობამ მოსახლეობაში დიდი დაინტერესება და გაკვირვებაც გამოიწვია.

„ივერია“ ერთ-ერთ ფელეტონში ასე აღწერდა ტელეფონების მუშაობით გაკვირვებას:

„წონი თმასა რომ იყო, ხომ იცნობდი? იმის შეიქმნა სტახის კანტორა აქვს სოლოლაკის ხეივან. იმ ღღეს შემიყვანა, კედელზე ბატარა მიკრული ყურიანი ყუთი მარცხენა და მინახა:

- თუ, მიკრი, იცი ეს რა არის?

- თუ რა ვიცი, ქალღმერთის ღოღები იქნება-მეძქი.

გაეცინა.

- არა, ეს შორს ძეგლებში სალაპარაკოა.

- აჰ, ტელეგრაფი-მეძქი?

- არაო, ტელეფონი ქვიანო.

- რა საქმის აკეთებს-მეძქი?

- თუო, აქედგან, ცეტვან, ხარფუხში გასძახებ, იქ შენი ნაცნობი ყურს უჯდება და შერე ისიც გამოგძახებსო.

- აქედგან და ხარფუხში? შერე ჩემი ხმა რას ვიძებს?

- აი, ამ ყუთსო.

- ვაა!..

- აი გარკვევებო...

არღნის ჩარხსავით რაღაცა გადაატრიალა და ზანზალაკმა წკარქუნ ი მიიღო. მერე რაღაცა უფხრა ამ ყუთს, ყურზედ ღორბოტი მიიღო და მიიხრა:

- ეხლა ჩვენა და მირზოევის აბანო ერთმანეთზედა ვართ გადაბ-  
მულიო.

შევხედე. ერიჰაა, ამას დიდრონები ჰყოლია-მეთქი, ვიფიქრე. აბანო სურბ-სარქისის აღმარაშია, ჩვენ სოლოლაკის ხევთანა ვართ, რა ჯაჰრუმდოზანა გადაგვაბამდა მეთქი?!. . . თვალეზში შემეტყო, რა-საც ვფიქრობდი, და ისეთ ნაირად გაიკრიჭა, თითქოს ამბობს, ტუტუ-ცი, შეეკი არა, შენა ხარო.

- აბა მოდიო, მიიხრა: აბანოს პატრონი ვახაკა გელაპარაკება და პასუხი მიეცეო.

- სად არის ვახაკა-მეთქი?

- იქ არის, თავის აბანოშიო.

პირი ყუთის ყურთან მიმატანიინა, ყურთან ღორბოტი დამაჭერი-  
ნა.

- ყუთს ჩაჰყვიროო.

- რა ჩაყვიროო?

- თუ ვითომ ებ ყუთი ვახაკაა და ელაპარაკე რაღაო.

- ვახაკ, ღუნ ის?

- იისიმი, ის, ინჩა?

მოდი და გული ნუ გაგისკდება. ვა, ყურში ვახაკას ხმა მეს-  
მის, ჩემს გვერდზედ თამასას შეილის მეთი არავინ არის და ისიც ჩუმად დგას, მოდიო და შიშით გულ-მუცელი ნუ გადაგიბრუნდება! ისეთი შევხტი, რომ ხელიდან თოკით ყუთზე მოხმული ღორბოტი და-  
ვაგდე. ის იყინის, თუ, - ნუ გეშინიან, არ გიკბენს, ვახაკა იქ გოდის, ელაპარაკეო.

ვყვირიო:

- ვახაკჯან, შეილო, ეშმაკი მელაპარაკება, თუ შენ ვახაკა ხარ და ან სხვა ვახაკა გაჩენილა?!. . .

- მე ვარ, მიკირა, ხმაზედ გიცან. კაცო, რატომ ჩვენსა აღარ შემოიარე, დედაჩემი მალ-მალე ჰკიდებულობს. იმ დღეს ჩვენსა ნათ-  
ლობაში რომ ბურნუთის კოლოფი დაგრჩენოდა და გამოვგზავენე, მოგი-  
ციდაო?

ვა, მოდი და ნუ დაიჯერებ?!. ტვინის ძაფები გამიხურდა, ჰკუთ  
ამერია, კინალამ გაცვოფდი. ეს რა არის? ეს რა ამბავია? ჯადო-  
თელისმა მუშაობს აქ, თუ შარბაც ცხონებულ ჩემი დიდედა ასტლიკას  
ლაპარაკისა არ იყოს, ხალხი ეშმაკებით აივსო-მეთქი?!. . . დარეტი-  
ანებულსავით გამოვარდი, „მშვიდობით“-აც აღარ მიმტკამს, ორი დღე

აღტაცებულსავე ვიყავი, ძილი არ მომსვლია, მოდი, ახლა, ძმავ, და დაიფიცე, რომ ამ ახალ წლის სწორზედ ხალხი ცხვირით არ მოს-  
წევს ბურნუთსა-თქო!...

საზაფხულო თეატრში, სადაც საღამოს „აიდა“ უნდა წარმოედგინათ, ერთი ფაციფუცი შეექმნათ ტელეფონის მოხელეებს. ხაზები გაშ-  
ყავდათ და რალაც მოწყობილობებს აყენებდნენ სცენაზე. რეპერტორი-  
აზე მყოფი მსახიობები დაინტერესდნენ.

- მაინც რა მავთულებს ხლართავთ ამ სცენაზე, სპექტაკლის  
დროს ფეხი არ წამოიქრათ და სასაცილო არ გავხდეთ.

- სასაცილო? სასაცილო კი არა, სანაქებო მსახიობები იქნე-  
ბით, როცა მთავარმართებელი...

- როგორ დღეს „აიდას“ დაესწრება?

- დიახ, უსათუოდ დაესწრება.

მსახიობებმა ერთმანეთს გადახედეს და შერე თეატრის დირექ-  
ტორს მოახსენეს, რომ ოპერას საღამოს კავკასიის მთავარმართებელი  
დაესწრებოდა. მიკავშირეები ეშმაკურად იღიმებოდნენ.

საღამოს მთავარმართებელს ადიუტანტმა მოახსენა:

- თქვენო უმაღლესო კეთილშობილებავ, შექვეს პატივი გაცნობოთ,  
რომ შეგიძლიათ თქვენს კაბინეტში მოუსმინოთ ოპერას „აიდა“.

მთავარმართებელმა გაოცებით შეხედა ადიუტანტს.

- როგორ თუ მოუსმინო?

- დიახ, მე თქვენ ტელეფონის ყურმილს მოგაწვდიო და თქვენ  
გაიგებთ მსახიობების სიმღერას.

- შეუძლებელია.

- თქვენს კაბინეტში ტელეფონის ქსელის უფროსი გოცდით. ყვე-  
ლაფერი მზად არის.

- შეუძლებელია! როგორ მსახიობები ხომ თეატრში იმღერებენ  
ოპერას?

- დიახ.

- შერე... ტელეფონში როგორ მოხვდება მათი ხმა?

ადიუტანტი ტელეფონის ყურმილს მისწვდა.

- ახლა ხანს დაიწყოთ ოპერა „აიდა“, თქვენო ბრწყინვალელებავ,  
ტელეფონში მშვენივრად ისმის მათი გალობა.

- აბა, მომავლოდ, - ჩამოართვა ყურმილი მთავარმართებულმა  
და ყურზე მიიღო. თვალები გაკვირვებისაგან გაუფართოვდა. ტელეფონ-  
ში მართლაც კარგად ისმოდა მსახიობების სიმღერა. სავარძელში  
ჩაჯდა. ხან ერთ, ხან მეორე ყურზე იღებდა ტელეფონის მილაკს სი-  
ამოღებებით.

- თი, საოცრებავ! - წამდაუწყებ იმეორებდა.

ბოლოს ცერ მოიხმინა და იკიბხა.

- გამაგებინეთ როგორ მოახერხეთ?

- ოპერის ანტრუში მიკროფონები მოაწყვეს ტელეფონის მოხელე-  
ებმა - ეს ისეთი მოწყობილობაა ხმას რომ აღიქვამს. მერე სად-  
ნები ტელეფონის სტანციაში მიიყვანეს, იქიდან კი აქვენი კაბი-  
ნეტამდე უკვე ხაზია გაბმული. და აი, ახლა, ჩვენო კეთილშობილ-  
ებ, აბილიში პირველად მოხდა ოპერის ტრანსლაცია აქვენს კაბი-  
ნეტში.

- შესანიშნავია! შესანიშნავია! - აღფრთოვანებით ამბობდა  
კაცკასიის მთავარმართებელი.

ბოლოს ყურმილი მაგიდაზე გადადო და დაფიქრდა.

- იქნება ახლა ისეც მოაწყონ ტელეფონის მოხელეებმა, რომ  
აქედან ლავინახოთ ოპერა? ჰა?

1893 წლის 4 ნოემბერს აბილისში განხორციელებულ ამ სატე-  
ლეფონო ტრანსლაციაზე გაზეთი „ივერია“ წერდა თავის № 238-ში.

„ივერიის“ ეს ინფორმაცია ყურადღებას იქცევს იმიტომ, რომ,  
როგორც ჩანს, 1893 წელს აბილისში პირველად განხორციელდა სა-  
დენებით ოპერის ტრანსლაცია. მსოფლიოში პირველად ასეთი ტრანს-  
ლაცია ჩატარდა პარიზში 1881 წელს და იგი ორგანიზებული იყო გა-  
მოჩენილი უნგრელი მეცნიერის და გამომგონებლის ტ.პუშკაშის მიერ.  
პარიზის ოპერიდან ელექტროტექნიკურ გამოგონებაზე ტრანსლაციის მო-  
წმედ გახდა ქართველი ეჟინალისტი ი.წეროძე, რომელმაც აღნიშნულის  
შესახებ ერთდროულად გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“ 1882 წელს.  
1882 წელს სატელეფონო ტრანსლაცია პეტერბურგში მოეწყო. ტრანს-  
ლირებული იყო ოპერა „რუსალკა“.

არანაკლებ ისტორიული მნიშვნელოვანი ფაქტი დაბეჭდა გაზეთ-  
მა „ივერიაში“ 1893 წლის 2 მაისს. გაზეთი იტყობინებოდა, რომ  
„ბრელისსა და ხაშურს შუა ამიერკავკასიის რკინის გზის მმართვე-  
ლობაში გამართა ტელეფონი. ეს ტელეფონი მუშაობდა სახელმწიფო ტე-  
ლეგრაფის საშუალებით“.

ეს ინფორმაცია პირველად გვამცნობს იმაზე, რომ აბილისსა  
და ხაშურს შორის გაყვანილ სატელეგრაფო ხაზით განხორციელდა სა-  
ტელეფონო კავშირი, ე.ი. აბილისიდან ხაშურამდე ერთ ხაზში ერთ-  
დროულად გადაეცემოდა ლებეშები და ტელეფონით ლაპარაკი. ეს იმ-  
დროისათვის მნიშვნელოვანი ტექნიკური მიღწევა იყო არა მარტო სა-  
ქართველოში და რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში.

თანამედროვე კავშირგაბმულობის ტექნიკა დღეს საშუალებას  
იძლევა ერთი საშაერო ხაზით, ანდა კაბელის წყვილით მრავალი  
სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი დამყარდეს ერთდროულად.



დიახ, ვამიმკვირვებელი აბარატურის გამოყენებით მიავსებალურ მიმართულებებზე ასობით და ათასობით ლაპარაკი „მთავარუბნს“ და დეპეშებიც გადაიცემა. სწორედ, ასეა განხორციელებული საიმიდო და მალაღმბარისხოვანი კავშირი, თუნდაც, თბილისსა და მოსკოვის შორის. კავშირგაბმულობის ხაზების გამკვირვება რამ არ ყოფილიყო, განა შეიძლება ქაღალტებს შორის დღეს ერთდროულად მრავალი სა-ტელეფონო და სატელეგრაფო კავშირების დამყარება? მაგალითად, ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა თბილისიდან მოსკოვამდე ბოძებზე ჩამოეკიდა იმდენი ხაზი, რამდენ ადამიანსაც ერთდროულად სჭირდება ზო-ბჯერ ტელეფონით დაკავშირება!

მაგრამ იყო დრო, როცა მსოფლიოს მრავალი ინჟინერი და გამო-მგონებელი დიდ მუშაობას ატარებდა, რომ ერთ ხაზში ერთდროულად თუნდაც ერთი სატელეფონო ლაპარაკი და სატელეგრაფო კავშირი გან-ხორციელებინა.

და აი, როგორც „ივერია“ იტყობინებოდა, 1893 წელს ძალზე მნიშვნელოვანი ტექნიკური ლონისძიება განხორციელდა თბილისი-ხა-შურის ტელეგრაფის ხაზზე.

სწორედ, „ივერიის“ საშუალებით დღეს ჩვენთვის ცნობილი გა-ხდა ისიც, რომ ერთ ხაზში დეპეშების და ტელეფონით ლაპარაკების ერთდროული გადაცემა ჩატარდა აგრეთვე ხაშური-ბორჯომის ტელეგრა-ფის ხაზზე. აი, როგორც წერდა ამზე გავითი 1894 წლის 3 აგვის-ტოს:

„ამ დღეებში ხაშურსა და ბორჯომს შუა რკინის გზის ტელეგრა-ფი გაჰმართეს. ამ ტელეგრაფის მავთულზე შეაერთეს ინჟინერ ბა-ლიუკევიჩის სისტემის ტელეფონები ბორჯომში და ხაშურში და ეხლა რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ ლაპარაკობენ ხაშურიდან ბორჯომში ტელეფონით. თუ საჭიროება მიითხოვს, შესაძლებელია, რომ ბორჯომის ტელეფონი შეაერთონ ტფილისთან და ტფილისიდან გამოე-ხმასურთ პირდაპირ ბორჯომში“.

მაშ ასე, პირველმა ტელეფონმა ბორჯომში 1894 წელს დაიწყო მუშაობა და შესაძლებელი გახდა სატელეფონო კავშირის დამყარება ხაშურთან და თბილისთან. ასეთი საქალაქთშორისო სატელეფონო კა-ვშირის შესაძლებლობა შეიქმნა ერთ ხაზზე ერთდროულად ტელეგრა-ფის და ტელეფონის მუშაობის მოწყობილობის დადგმის შემდეგ. ისე რომ, საქართველოში ახალი სისტემის მოწყობილობების გამოყენებით ტელეგრაფისა და ტელეფონის ერთდროული მუშაობის ექსპერიმენტები განხორციელდა თბილისსა და გორს, თბილისსა, ბორჯომს და ხაშურს შორის. ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერიმენტი!

როგორც ჩანს, გაზეთმა „ივერია“ ყურადღება მიაქცია ქალა-

ქებს შორის სატელეფონო კავშირების დაწყებასაც. 1895 წლის 13 ივნისს გაზეთი იტყობინებოდა: „ამ დღეებში ქალაქები - ლონდონი, ედინ-ბურგი, გლაზგოუ, ბელფასტი და დუბლინი ტელეფონით შეაერთეს. ლონდონის ლორდ-მერმა და ფოსტის უფროსმა დირექტორმა ხსენებულ ქალაქთა მერებს ტელეფონით მიულოცეს. პასუხი ძალიან ნათლად და გარკვევით გადმოსცა ტელეფონმა“.

აბილისის სატელეფონო ქსელის ამუშავების მომდევნო წლებში ტელეფონები სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა და „ივერია“ კვლავ დიდს ყურადღებით ავალყურს ადევნებდა ამ მნიშვნელოვან მოვლენას ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საკმარისი იყო რაიმე პატარა შეფერხება ტელეფონების მუშაობაში, რომ გაზეთი შესაფერ ინფორმაციებს აქვეყნებდა. აი, ერთი მაგალითი: „გუშინ ლამიდან ისეთი ქარი მძვინვარებდა ქალაქში, რომ ტელეფონის მავთული სულ მიგლეჯ-მოგლიჯა, ასე რომ ჩვენი ტელეფონი ვერ მუშაობდა“, - წერდა „ივერია“ 1895 წლის თებერვალში.

1895 წელი. „ივერია“, № 128. „ამ დღეებში გაიხსნა ტელეფონი აბილისსა და კოჯორს შუა“.

1895 წელი. „ივერია“, № 182. „სიძვირისა გამო ტფილისსა და კოჯორს შუა ტელეფონი ვერ გავრცელდა. წელს მხოლოდ ერთს შეაგარაკეს პქონდა ტელეფონი, ამიტომ ფოსტის მთავრობას განუზრახავს იხივოს, რათა ტფილისსა და კოჯორს შუა ტელეფონის ფასი დაკლებულ იქნას“.

1895 წელი. „ივერია“, № 279. „ჩვენ გავიგეთ, რომ ახლად მთავალში ტფილისში გაიხსნება ორი ტელეფონით სალაპარაკო სადგური: ერთი ტელეგრაფის კანტორაში და მეორეც მიხეილის ქუჩაზე, ფოსტის განყოფილების სადგომში. ცინც მოისურვებს, შეუძლია ამ სადგურებიდან დაელაპარაკოს ყველა აბონენტს: ფასი დროზე იქნება დამოკიდებული“.

აბილისში ისე გახშირდა აბონენტებთან შეზობლების, ნაცნობ-მეგობრების სიარული, რომ მალე ბევრმა აბონენტმა უკვე გაუბედავად, მერე კი უკვე დაუფარავად საყვებური გამოსაქვა სატელეფონო ქსელის უფროსთან: „დააყენეთ ბინებში უფრო მეტი ტელეფონი, შეგვაწუხეს ახლობლებმა და შორეულმა ნაცნობებმა“. მაგრამ სატელეფონო კომუტატორში მხოლოდ აკანსაზღვრული ტელეფონების ჩართვა შეიძლებოდა და უფროსი უიმედოდ თავს იქნევდა, გამოსავალი არ არის.

ასე გრძელდებოდა 2 წლის მანძილზე და ბოლოს აბილისის ტელეფონების შესვენებებს ბრწყინვალე აზრი მოუვიდათ თავში: მოეწყობა მუციალური სალაპარაკო ბუნქტი, საიდანაც შესძლებდნენ მოქალაქე-

ეუბი აბილისელთა ბინებში ტელეფონით დაერქვათ.

აი, ეს სიახლე „ივერიის“ რედაქციამ შეიტყო.

„ტელიფონის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან 20 იანვრიდან ტელეფონის სადგური იქნა გახსნილი. მსურველს შეუძლიან ქალაქის ყველა აბონენტთან ლაპარაკი, რაშიაც გადაიხდის სამი შაურს 3 წუთის განმავლობაში. აქ ანგარიშში არ შედის ავთო აბონენტის გამოწვევა“, - იტყობინებოდა „ივერია“ 1896 წლის გაზეთის № 17-ში.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, საერთო ტელეფონით სარგებლობა ბევრს არ აწყობდა და ამიტომ მოქალაქეები ისევ აბონენტებთან ბინებში სიარულს ამჯობინებდნენ. მაშინ სატელეფონო ქსელის უფროსმა გაზეთ „კავკაზის“ 1897 წლის № 63-ში სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა. აი რას აუწყებდა ის აბილისის მოქალაქეებს:

„სატელეფონო ქსელის ბევრი აბონენტი ჩივის, რომ მათ ხშირად აწუხებენ ნაცნობები ახლოვით, ნება მისცენ ტელეფონით ისაუბრონ. ამგვარად, ამხოვნილებმა არ იციან, რომ მათ შეუძლიათ ტელეფონით ისარგებლონ ტელეფონის სადგურის მოსალაპარაკებელი პუნქტიდან. მე საჭიროდ მიმაჩნია, შევატყობინო ყველა პიროვნებას, რომლებსაც ბინაში ტელეფონი არა აქვთ, რომ მოხერხებულობისათვის მოწყობილია ორი მოსალაპარაკებელი სადგური: ერთი ჩემდამი და ქვემდებარებულ კანტორის ექსპედიციისაში, საიდანაც დეპეშები იგზავნება, ხოლო მეორე საფოსტო განყოფილებაში მიხაილოვის ქუჩაზე, ყოველი 3 წუთი ტელეფონით ლაპარაკი ღირს 15 კაპიკი“.

გაზეთმა „ივერია“ ყურადღება მიაქცია ბუდაპეშტში სატელეფონო ქსელის დახმარებით აბონენტებისთვის ახალი ცნობების მიწოდებას. დიახ, როცა ამ ქალაქში სატელეფონო ხაზებით მაუწყებლობა შეიქმნა.

ალენშენლის შესახებ 1897 წელს „ივერია“ (№ 4) თავის მკითხველებს ასე აცნობებდა: „ერთი უცნაური ამბავი ესცა არის. ბუდაპეშტში (უნგრეთის დედა-ქალაქია) ეს ორი წელიწადია, რაც ერთი სახის გაზეთი დაარსდა. ამ გაზეთს „ტელეფონი-გაზეთი“ ჰქვია. ამ გაზეთზე ხელის მომწერი თავისს ტელეფონს გაზეთის ტელეფონს შეუერთებს. დილის 8 საათიდან ამ გაზეთი შეუძლიან, თუნდაც ქვეშაგებიდანაც არ ადგეს, მიიღოს ყოველივე ახალი ამბავი გაზეთისა. გველაზე უწინ რედაქცია აუწყებს თურმე წინააღმდეგ ვინ მოსულა პეშტში, მერე იმ დღის კალენდარს, ატყობინებენ იმ დღეს, რა დროს შეიძლება მთხოვნილი მიღებულ იქმნან სხვა-დასხვა სამმარადელოში და რა დროს შესაძლოა ქალაქის გამორენილი ადგილები ინახულოს. ამის საათის ნახევრიდან ატყობინებენ რა დეპეშები მოსული ცნობა, რა ამბები დაწერილი ცენის უმთავრესს გაზეთებში, მერე

თვითონ პუშტის გაზიარების ამბებს აუწყებენ. ყოველ ამის შემდეგ ატყობინებენ დილის ბირჟის ამბებსა, სასამართლოში რა საქმეები იორრევა, ან უნდა გაიორრეს, პარლამენტში ვინ რა სიტყვა წარმოსთქვა, სად რა ბალი ყოფილა, თეატრი და სხვა ამისთანა შესატყვეარი. სადილს შემდეგ მოკლე აცნობებენ ყოველს ფერს, რაც დღის განმავლობაში მოხდა. საღამოზე ხელის-მომწერს, გადაწოლილ თავისს ტახტზე, შეუძლიან მოისმინოს თუ სადმე კონცერტია. ეგრეთ წოდებული, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა ამ გაზეთისა ყველაზე მეტად მოსწონთ თურმე. რაც იქაური ორიგინალური მოახრობებია, თვითონ აცტორები უკითხავენ ტელეფონით ხელის მომწერთ. ამისადავის სადგური აცტორებისა და ხელის-მომწერისა საერთო ტელეფონებით არიან გადაბმულნი. ამბობენ, ეს ახალი ამბავი გაზეთის საქმისა ძალიან სასიამოვნოდ გაუხდიათ პეშტელებსაო და ძალიან მოსწონთ. მუშტარი გაზეთს თურმე ბევრი გამოუჩნდა. ბევრი მდიდარი კაცი უფრო ამ გაზეთს ეხარბება, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ გაზეთსაო“.

გაზეთი „ივერია“ განაგრძობდა სატელეფონო კავშირების მოწყობის შესახებ ინფორმაციების გამოქვეყნებას.

1897 წელი. „ივერია“, № 56. „კავკასის“ გაუგია, რომ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს, კოჯორის მოაგარაკეთა თხოვნით, ფოსტა-ტელეგრაფის ოქვის უფროსისადავის უთხოვნია, - იშუამდგომელათ, რომ კოჯორში ტელეფონი იქმნას გაკეთებულიო“.

1897 წელი. „ივერია“, № 97. „ამ დღეებში აქაურ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსისაგან დაურიგდა განცხადებანი იმათ, რომელთაც თავისს სახლში ტელეფონის გამოწოდვის სურვილი განაცხადეს. რაგორც განცხადებებიდგანა სჩანს, ტელეფონის ბადე ამ თვის გასვლისათვის მზად იქნება. მსურველთ თხოვნასთან ერთად წინდაწინ უნდა წარადგინონ ნახევრის წლის გადასახადი - 37 მან. და 50 კაპ. თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს ნამდვილი ადრესი, სადაც უნდა იყოს გაყვანილი ტელეფონის მაცდული“.

1898 წელი. „ივერია“, № 252. „ამას წინად ამიერ-კავკასიის რკინიგზის გამგეობამ პროექტი შეიტანა უმაღლეს მთავრობასთან იმის შესახებ, რომ ხსენებულ გზის ყველა სადგურებზედ სატელეფონო მანქანები იქმნას გამართული. რკინის გზათა სამმართველოში უარყო ეს პროექტი, რადგანაც ეს ცვლილება უერ-უერობით ადრეულად იცნო“.

1901 წელი. „ივერია“, № 42. „მკურნალების აზრით, იქ სადაც ტელეფონს ბევრი ხმარობენ, ადვილად შესაძლებელია რაიმე სენის გაერყვლება ტელეფონის შემწეობით. საკმაო ტელეფონის მიღს ავადმყოფმა ყური მიადოს, რომ ზედ უხამი დარჩეს, რომელიც ადვილად გა-

დადგება სხვას. ბევრგან საჯარო ტელეფონებია, ყველას შეუძლიან შესვლა და დალაპარაკება, ამიტომ იქ უფრო ადვილია სენის გადაღება. ამ გარემოებაში ბევრი მკურნალი და გულშემატკივარი დააფიქრა!

1901 წელი, „ივერია“, № 106. „ტფილისის სატელეფონო სადგურში 36 მოხლეითაგან მიღებულ იქმნა სულ 14 მეტელეფონი ქალი, დანარჩენნი ჩარიცხულია კანდიდატებად. ითხო შეტელეფონი ქალს ჯამაგირად დაენიშნა 396 მან. წელიწადში“.

ტელეფონების მუშაობის რამელ საკითხზე არ ამახვილებდა „ივერია“ ყურადღებას!

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ილიასეულმა „ივერიაში“ თბილისში ტელეფონების მუშაობის საკითხთან ერთად თავის ფურცლებზე არაერთხელ გამოაქვეყნა მოკლე ცნობები ზღვებსა და ოკეანეებში ტელეფონის ხაზების გაყვანის შესახებ.

ტრანსატლანტიკური კაბელი ევროპასა და ამერიკას შორის 1956 წლის 25 სექტემბერს გადაცა საექსპლუატაციოდ. ამ პირველ ტრანსატლანტიკურ სატელეფონო მაგისტრალს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის უწოდეს „ტატ-1“. მისი სიგრძე დაახლოებით 4.300 კილომეტრია. ყველაზე უფრო ღრმად კაბელი 4.200 მეტრის სიღრმეზეა ატლანტიკის ოკეანეში.

ტრანსატლანტიკური მაგისტრალის შექმნით დამტკიცდა, რომ შესაძლებელი იყო შორეული მხარეების ერთმანეთთან დაკავშირება საიმედო სატელეფონო კავშირით. „ტატ-1“-ის გამოყენებით შეიქმნა 29 სატელეფონო არხი ლონდონსა და ნიუ-იორკს და 6 - ლონდონსა და მონრეალს შორის, ერთი არხი სამომსახურო კავშირს ღაერთს. ისე, რომ ოკეანეში ჩადებული კაბელით ერთდროულად 36 სატელეფონო კავშირი დამყარდა. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე სატელეფონო კაბელი „ესტუმრა“ ატლანტიკის ოკეანეს 1959, 1961, 1963, 1965 წლებში.

საინტერესოა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ჩადებული წყალქვეშა კაბელი. შეთანხმებას იაპონიასა და ევროპის ქვეყნებს შორის (საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტის გავლით) სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის დამყარების შესახებ ხელი მოაწერეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ და დანიის ფირმა „ბსატომ“. შეთანხმების თანახმად კავშირგაბმულობის ხაზი იაპონიიდან მიალწევდა მოსკოვს, ხოლო აქედან კაბელის ერთი განშტოება „გზას გააგრძელებდა“ სკანდინავიაზე და აქედან უფრო შორსაც - ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკისკენ. კაბელის მეორე განშტოება გადაკვეთდა პოლონეთის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიასა და კოპენჰაგენს მიალწევდა. შეთანხმების დადებისთანავე დაიწყო გაცხოველებული მუშაობა. მთავარი ყურადღე-

ბა, რასაკვირველია, იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის წყაღ-  
ქვეშა კაბელის ჩადებას მიექცა.

დღეს, 800 კილომეტრის მანძილზე ზღვის ფსკერზე, უკვე მოქ-  
მედებაშია ეს კაბელი (საბჭოთა ნავსადგურ ნახოდეასა და იაპონი-  
ის ნავსადგურ ნარცუს შორის). კაბელის გულმოდგინე შემოწმება ჩა-  
ატარა საერთაშორისო კომპერაციამ „ედე“, ხოლო საბჭოთა კავშირის,  
დანის, იაპონიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპე-  
ციალისტებმა ერთობლივად ააწყვეს ნახოდეაში ტრანსკონტინენტური  
ხაზის გამაძლიერებელი პუნქტი.

ამჟამად ექსპლუატაციაში I3 ათასი კილომეტრი სიგრძის კავ-  
შირგაბმულობის ხაზია და წყაღქვეშა კაბელის გავლით იაპონიას  
სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირი აქვს დამყარებული არა მარტო  
საბჭოთა კავშირთან, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და სა-  
მხრეთ ამერიკასთან.

დიდი ხანი არ არის, რაც ატლანტიკის ოკეანეს ახალი სატე-  
ლეფონო კაბელი „ესტურმა“. კაბელმა, რომლის სიგრძეა 4760 კილო-  
მეტრი, ერთმანეთთან დააკავშირა კანადა და ინგლისი. ამ კაბელით  
უფრო მტკი ერთდროული სატელეფონო ლაპარაკი გადაეცემა ამ ორ ქვე-  
ყანას შორის, ვიდრე ყველა ტრანსატლანტიკურ კაბელში ერთად. უფრო  
კონკრეტულად, კაბელში ერთდროულად 1840 სატელეფონო ლაპარაკი „მო-  
გზაურობს“. კაბელის დასამზადებლად და ოკეანეში ჩასადებად დაი-  
ხარჯა 80 მილიონი დოლარი, 6000 ტონა პოლიეთილენი, 1500 ტონა  
სპილენძი და ალუმინი, 700 ტონა ფოლადი.

1988 წელს გათვალისწინებულია ექსპლუატაციაში გადაეცეს,  
ტრანსატლანტიკური ობტიკური კაბელი ტატ-8 სახელწოდებით. თეორიუ-  
ლად ამ კაბელით შესაძლებელი იქნება განხორციელდეს 40 ათასი ერთ-  
დროული სატელეფონო ლაპარაკი.

წყაღქვეშა კაბელები საშუალებას იძლევიან ჩვენს პლანეტაზე  
სულ უფრო ფართად დაინერგოს ავტომატური საერთაშორისო სატელეფო-  
ნო კავშირები, როცა ერთი სახელმწიფოს დედაქალაქიდან შესაძლე-  
ბელია შორეულ სახელმწიფოსთან ავტომატურად დაირეკოს. სწორეთ  
ზღვებში და ოკეანეებში ჩადებული მაგისტრალების გამოყენებით ჩვე-  
ნი ქვეყნის დედაქალაქ-მოსკოვს მსოფლიოს I30 მეტ ქვეყანასთან  
აქვს დამყარებული საერთაშორისო სატელეფონო კავშირი. მოსკოვის  
საერთაშორისო სატელეფონო სადგურის დახმარებით არის დღეს შესა-  
ძლებელი ტელეფონებით ილაპარაკონ ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქების  
სატელეფონო ქსელების აბონენტებმა შორეულ სახელმწიფოებში მყოფ  
ნაცნობებთან, საბჭოთა საეღროებთან, საკონსულტებთან, საბჭოთა  
ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ასე იქცა სინამდვილედ სატელეფონო კავშირები ზღვებში და ოკეანეებში, რასაც ერთ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ილიასეული „ივერია“.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ილიასეულმა „ივერია-ამ“ დიდი ადგილი დაუთმო ამილისში პირველი სატელეფონო ქსელის მოწყობას. დიახ, გაზეთმა თავიდანვე ქარგად გაიზარა, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ტელეფონს ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მართლაც ასე მოხდა. სატელეფონო ქსელმა საქართველოს დედაქალაქში ათეული წლების მანძილზე სულ უფრო პოპულარობა მოიპოვა, იგი თანდათან გაფართოვდა, მეტად გაიზარდა მისი როლი მოსახლეობის და წარმოება-დაწესებულებების საქმიანობაში.

როგორც აღნიშნავდა „ივერია“ 1893 წელს, ამილისში პირველ სატელეფონო ქსელში ჩართული იყო 200 ტელეფონის აპარატი. დღეს ამილისში 160 ათასი ტელეფონი მუშაობს და წინ არის ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოვების სამუშაოები.

1980 წლის I იანვრისათვის ჩვენს პლანეტაზე ტელეფონების რაოდენობა 472-I მილიონს შეადგენდა. ამავე წელს ტელეფონების რიცხვი 36,1 მილიონი გაიზარდა და 1981 წლის I იანვრისათვის დამიწის ზურგზე 508,2 მილიონი ტელეფონი იყო. ამგვარად, უკვე 1981 წლის დასაწყისში ტელეფონების რაოდენობამ ნახევარ მილიარდს გადააჭარბა.

მსოფლიოში ახლა არის ქალაქები, რომლებშიც 100 მოსახლეზე 100-ზე მეტი ტელეფონი მოდის (პარიზი, სტოკჰოლმი, გენევა, ვაშინგტონი, სან-ფრანცისკო, ლივერპული, რუანა, ბაზელი და სხვები). პარიზში 100 მაცხოვრებელზე - 143,8, ხოლო სტოკჰოლმში - 129,9 ტელეფონია.

მსოფლიოს ზოგიერთ დიდ ქალაქში მილიონზე მეტი ტელეფონი მუშაობს. ასეთებია: ტოკიო (6,6 მილიონი), ნიუ-იორკი (5,8 მილიონი), ლონდონი (5,6 მილიონი), პარიზი (2,8 მილიონი), ოსაკა (2,1 მილიონი), სიდნეი (2,0 მილიონი), მადრიდი (1,8 მილიონი), რომი (1,6 მილიონი), ჰამბურგი (1,2 მილიონი), ბარსელონა (1,2 მილიონი), კობენჰაგენი (1,1 მილიონი), ვენა (1,0 მილიონი).

სადღეისოდ დედამიწის ზურგზე ტელეფონების რიცხვმა 600 მილიონს გადააჭარბა.

მართლაც რომ „შემაშ ადამიანის ყოვლად ძლიერებას“, - როგორც ილიასეული „ივერია“ წერდა.

### პირველი ექსპერიმენტი

გაზეთმა „ივერიამ“ დიდი ყურადღება მიაქცია რადიოტალღების დახმარებით პირველი დეპეშების გადაცემას. ასეთ კაცშირს გაზეთი „უმავეთლო ტელეგრაფს“ უწოდებდა.

1897 წლის № 77-ში გაზეთი წერდა:

„გუშინ, ჩვენს გაზეთში მოხსენებულ იყო, რომ ლონდონსა და ზოგიერთ ქალაქებს შორის უმავეთლო ტელეგრაფი გაუმართავთ. ამ ამბავს განმარტება უნდა... დეპეშის გასაგზავნად და მისაღება მანქანებს შორის არც მავთული და არც სხვა რამ სრულიად არ არის საჭირო და დეპეშის გადაცემას არ დაუშლის მანქანებს შორის რომ მთა ადგილი იყოს ან თუნდა კედლები და სახლები. ყოველივე ეს სცადეს კიდევ ლონდონში. ერთ ალავას ამ ახალმა მანქანამ მშვენიერად გადასცა დეპეშა მეორე მანქანას, მიუხედავად იმისა, რომ მთა შორის დიდი მთა ყოფილა. მეორე ადგილას კიდევ ორ მანქანას შორის რვა კედელი ყოფილა, მაგრამ დეპეშა მაინც გადაცემულა. გარდა ამისა დამტკიცდა კედევ, რომ ამ მანქანების შემწეობით დეპეშების გადაცემას ხელს არ უშლის არც წყალი და არც ნისლი და ბურუსი. მაშასადამე, უმავეთლო დეპეშის გადაცემა ძლიერ ადვილი იქნება ზღვაზედ ერთის გემიდან მეორეზედ... ამ მანქანებისავე შემწეობით, ამიერიდან გემები ერთმანეთს ალარ დაუახებნიან და მრავალი უბედურება ასცდებთა ზღვაში მოგზაურ ხალხსა... ამ მანქანის შემწეობით შეიძლება ცეცხლი გაუჩინონ ჯავშნიან გემს და რადგან ამგვარ გემებზედ ყოველთვის არის ხოლმე თოფის წამალი და დინამიტი, ამიტომ გემის აფეთქებაც შესაძლებელია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგ ლონისძიებასაც მოიგონებს მეცნიერება და ისეთს მანქანებს გამართავენ, რომ ამგვარი აფეთქება და დალუპვა გემმა თავიდან აცილოს“.

გაზეთმა „ივერიამ“ ასეთი შინაარსის წერილი 1897 წლის 23 აპრილს გამოაქვეყნა და აი, იმავე წლის 21 მაისს გაზეთი ისევ უბრუნდება ამ თემას.

„თამამად შეგვიძლიან ესთქვათ, რომ მეცნიერება ყოველ დღე ახალსა, საოცარს და სასურველს რამეს იგონებს - წერდა „მეჭერად გაზეთი - სულ უკანასკნელი გამოგონება მეცნიერებისა უმავეთლო ტელეგრაფია“.

ამის შემდეგ წერილში მოცემულია მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც წინ უსწრებდა რადიოთი დეპეშების გადაცემას. ამასთან, გაზეთი განმარტავდა თუ რას წარმოადგენდა რადიოტალღები.

ძალზე მარტივად უხსნის მკითხველს „ივერია“ რადიოტალღების



ხასიათს: „დადაკვირდით, რა მოხდება ხოლმე დიდ აუზში რომ ქვა ჩა-  
აგდოთ. იმ ადგილას, სადაც ქვა ჩავარდება, გამოჩნდება ირველიც  
ტალღა პატარა რგოლებით, შერე ეს რგოლი თანდათან დიდდება. ეხლა  
წარმოიდგინეთ, რომ იქვე წყალში პატარა ნაფოტი გდია. ტალღა მი-  
უახლოვდება ნაფოტს და შემოჰკრავს. ასეთივე ფენება აქვს... ელექ-  
ტრონულ მანქანას (რადიოსადგურს. ა.ე.) განსხვავება მხოლოდ ის  
არის, რომ, წყლის ტალღა თვლითა სჩანს, ელექტრონის კი არა“.

წერილში დასმულია სხვადასხვა კითხვები: „ბუნ დაშნას“ მიერ  
რადიოს მოქმედების პრინციპების შესახებ. ამ კითხვებზე ბასუბს  
იძლეოდა გულმგულ მარკონი.

- „როგორა უფიქრობთ, - ჰკითხა ბ-მა დამმა მარკონის, -  
შესაძლებელი არის, თუ არა იმ ოთახიდან, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ  
ეხლა, ლონდონის მთავარ ფოსტის სადგურში უმავთლოდ დებემა გავგ-  
ზავნოთ.

- ძლიერ ადვილად.

- ამ სახლსა და ფოსტის სადგურს შორის მრავალი სახლია და  
ნუ თუ არაფერს დაუშლის?

- სრულებით არაფერს. ახლა რომ ხელთა მქონდეს ჩემი მანქანა,  
დაგამტკიცებდით კიდევ, რა ადვილად შეიძლება აქედგან იქ დებემა  
გადაცემო.

ის სახლი, რომელშიაც ეს ორი მოსაუბრე იყვნენ, 7 ცერსზედ  
არის დაშორებული ფოსტის სადგურზე.

- ერთი ეს მიიხარით, რა სიშორებზედ შეიძლება უმავთლოდ დე-  
ბეშის გადაცემა?

- ჯერ-ჯერობით 30 ცერსზედ. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სი-  
შორეს აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რაც უფრო ძლიერი იქ-  
მნება ელექტრონის მანქანა, იმდენად უფრო დიდს მანძილზედ გაიგ-  
ზავნება დებემა. ეხლა დამტკიცდა, რომ მავთული სულ მეტი ყოფილა  
ელექტრონისაფენის.

- ეხლა ეს მიიხარით, შეიძლება თუ არა ინგლისიდან ამერი-  
კაში დებემა გაიგზავნოს უმავთლოდ?

- დარწმუნებული ვარ რომ შესაძლებელია. საჭიროა მხოლოდ  
აქაცა და ამერიკაშიაც ორი მანქანა დაეგაბა 20 ადლის სიმაღლე-  
ზედ. ჩემის ანგარიშით აქედგან ამერიკაში გასაგზავნად ცხიმარით  
ელექტრონის მანქანა, რომელსაც სულ ცოტა 50-60 ცხენის ძალა უნ-  
და ჰქონდეს. ამ მანქანების გამარჯვა 10 ათას თმანზედ მეტი არ  
დაჯდება.

- კიდევ რამესთვის არის გამოსადეგი თქვენი მანქანები თუ  
არა?

- ცინ ივის, კიდევ რამდენ საქმისთვის გამოდგება. მაგალითად, იმში ამგვარ მანქანებს არა სჯობია-რა. მთავარ-სარდალს ყოველთვის შეეძლება დემოშები უგზავნოს თავის ხელქვეითებს და ღრუბელ ჯარი მოიშველიოს. ასევე სასარგებლო იქმნება ამგვარი მანქანა რომ გემებზედ გაიმართოს, რომ ერთმანეთს დაეღაბა რაყენ ხელში. შეიძლება, ასეთის მანქანით მტრის გემები ააფეთქოს კაცობა და გაანადგუროს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ელექტრონის ძალას სწორედ სასწაულმოქმედება შეუძლიან და ცინ ივის დღეს სრულიად შეუძლებელი, მოუფიქრებელი და წარმოუდგენელი რამ ამბავი ხვალ სულ ჩვეულებრივ ამბად არ გადაიქცეს“.

ცინ იუს გულეიმო მარკონი, რომლის ინტერვიუ დაბეჭდა „ივერიკი“?

როგორც ცნობილია, 1896 წლის 24 მარტს რუსმა მეცნიერმა ა.ს. პოპოვმა მსოფლიოში პირველად გადასცა რადიოგემები 250 მეტრის მანძილზე. საერთოდ კი ა.ს. პოპოვმა რადიოთი სიგნალების გადაცემის ცდები 1895 წლიდან დაიწყო.

ასეთივე ექსპერიმენტების ჩატარებას უფრო მოგვიანებით შეუდგა იტალიელი გამომგონებელი გულელმო მარკონი. ის ძალზე დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ყოველგვარ მიღწევებს ელექტროტექნიკაში, სწავლობდა ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელებას და უნარითანად იყენებდა მიღებულ ცოდნას რადიოთი სიგნალების მიღება-გადაცემის ხარისხის გაუმჯობესებისას. მისი დამსახურება იმდენად ტექნიკურ მხარეს კი არ შეეხება, არამედ ორგანიზაციის საქმეს. მაგრამ ეს ცოტა რადი იყო და ამიტომაც მარკონის სახელს მოიხსენიებენ პატივისცემით და ამდევ ღრს ან იფიქსებენ, რომ რადიოს გამოგონების პრიორიტეტი ა.ს. პოპოვს ეკუთვნის. მარკონი თავის გამოსცდებში და სტატიებში რუს გამოგონებელს არ იხსენიებდა, მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ 1901 წელს მან პროფესორი ა.ს. პოპოვი თავისთან მიიწვია სამუშაოდ სააქციონერო საზოგადოებაში, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო. რადიოგადაცემის სიშორე სწრაფად იზრდებოდა და 1899 წელს მარკონმა განახორციელა რადიოკავშირი ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ხოლო 1901 წელს რადიოთი კავშირი დაამყარა ამერიკასა და ევროპას შორის.

1897 წლის 24 ივნისის განთი „ივერიკი“ კვლავ უბრუნდება „უმიცვლელ ტელეგრაფს“ და როგორც განთი იუწყებოდა, ინგლისის ფლსტის მმართველობას განზრახული უქონდა რადიოკავშირის დამყარება სერკის კუნძულსა და შერნერის შორის.

როგორი ღაინტერესებით აწვდის „ივერია“ მკითხველებს ცნობებს რადიოტექნიკის განვითარებაზე!

ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ როცა თბილისში 1897 წლის 4 ნოემბერს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილი წევრები ურბანოვების ისმენდენ ინჟინერ ვ. ვა-  
რაძაძის მოხსენებას რადიოკავშირის შორს მანძილებზე განხორციელების შესახებ, აქ იმყოფებოდა ვახუთ „ივერიის“ კორესპონდენტიც.

ინჟინერ-პოპულკოვნიკმა ვ. ვარაძაძემ დასწრეთ დაწვრილებით ვადაცნო ელექტრომაგნიტური ტალღების ფიზიკური თვისებები და სექცია:

- ახლა კი ვინდა პირადად დაგარწმუნოთ იმაში, თუ როგორ შეიძლება ჰაერში ელექტრომაგნიტური ტალღების დახმარებით სიგნალების გადაცემა.

- ესე იგი ტელეგრაფის აპარატებს შორის არ იქნება მავთულები გაბმული? - იკითხა „ივერიის“ კორესპონდენტმა.

- რასაც ვიფიქრებ, მავთული აღარ გვჭირდება. როგორც ვითხარით, ელექტროდენის ნაცვლად მავთულში ელექტრომაგნიტური ტალღები გადასცემენ ჰაერში სიგნალებს, და ინჟინერმა ერთ ღარბაზეში გამართა მიმღები, ხოლო მეორეში - გადასემი. ორივესთან ტელეგრაფის აპარატურა დააკავშირა, მერე კი ტელეგრაფის გასაღებს დააწვა.

იმავთე წუთს მეორე ღარბაზეში ტელეგრაფის აპარატი ამუშავდა და ქალაქის ღერტაზე მორხეს სიგნალი აღნიშნა. ვ. ვარაძაძე სწრაფად ამოძრავებდა გასაღებს, ქალაქის ღერტაზე კი მეორე ოთახში უმალვე შესაბამისი სიგნალები ჩნდებოდა. დასწრეთა შორის ჯერ ჩუმი ხმა, შემდეგ კი ხმაველად შეძახილები გაისმა. გაისმა ტაშის-ცემა. ეს ხომ ნამდვილი საოცრება იყო!

მაგრამ ამით როდღი დამთავრდა ყველაფერი. ინჟინერმა ღარბაზეში დადგმულ სპეციალურ ჰერმეტიკზე თაფის წამალი დასდო და პატარა მოწყობილობით რადიომიმღებთან დააკავშირა.

- ახლა კი, ბატონებო, მე რადიოთი ავაფეთქებ წამალს. ვახვთ მისცილდეთ ჰერმეტიკს.

იგი მეორე ღარბაზეში გაციდა. გადასემი ჩართა.

სპეციალურ ჰერმეტიკზე თაფის წამალი აფეთქდა. ღარბაზეში კვამლი აიჭრა.

დასწრეთა შეძახილებმა დაფარეს აფეთქების ხმა.

ეს იყო რადიოთი შორს მანძილზე აფეთქების მსოფლიოში პირველი ექსპერიმენტი.

„დასასრულს ლექტორმა გამოსცადა ოცთხე მანქანაც. უფრო ამ მანქანის შემწობით დეპეშები იყო გადაცემული „კრუცკოს“ სათავტრო დარბაზიდან საცეცხვო დარბაზში. ამ ორ ოთახს შორის საკმაოდ სქელი კედელია, მაგრამ ამ კედელმა მაინც არ დაუშალა დეპეშების გადაცემას. დასასრულს—მა ვარაპავემ მანქანის მოშორებით დასჯო თოფის წამალი და მანქანით ააფეთქა. თოფის წამლისა და მანქანის შუა არც მავთული ყოფილა გაბმული და არც სხვა რამ“, — წერდა „ივერია“ 1897 წლის 6 ნოემბერს.

აღსანიშნავია, რომ ამავდროულად ვერცხვითი „ივერია“ აღნიშნავდა ცალკეული მცენიერების და ინჟინრების დამსახურებას რადიოტექნიკის დარგში: „ამ უმად ეგროპასა და ამერიკას შუა ოკეანეს ქვეშ ათი ტელეგრაფის მავთულია გაჭიმული, ხმელეთი ხომ თითქმის მოფენილია ტელეგრაფის მავთულებით. ამავდროულად, მცენიერნი სტდილობდნენ, როგორმე მოვახერხოთ და მავთულის შემწობით დიქს მანძილზე ცელაპარაკით ერთმანეთსათ. ცდამ ამოღო არ ჩაიარა. გაიმართა ტელეფონი და მერე მიკროფონიც. და ეხლა საკმაოდ დიქს მანძილზე ერთი ადამიანი მეორეს თავისუფლად ემუხარებდა. ვგონებთ, ესეც საკმაოდ უნდა ყოფილიყო ადამიანისათვის, ტელეგრაფი და ტელეფონი ყველგან ხელთა გვაქვს. მაგრამ არა, ესეც არ იკმარა მცენიერებამ. წელანაც მოგახსენებთ, რომ მთელი ხმელეთი მავთულებით არის მოფენილი. მავთული ძვირადა ჯდება, გაჭიმვისაც დიდი შრომა უნდა. ნუთუ არ შეიძლება, უმავთულად წავიდეთ იოლადო, — იფიქრა კაცმა. ეს აზრი ბირველი შეხედვით შეტად საოცარი უნდა იყოს, დაუჯერებელი და შეუძლებელი შეძლო ადამიანის გონებაში. მცენიერებმა ფარადეიმ, მაქსუელმა, გერცმა, რიემ, ფონბერტინმა, ლებედეგმა, პოპოვიმა, და ბოლოს იტალიელმა ახალგაზრდა მცენიერმა მარკონიმი ნაძლად დაამტკიცეს, რომ დეპეშის გადასაცემად მავთული სრულიად არ არის საჭირო, რომ ელექტრონის ძალა ისეც გადაეცემა ერთის მანქანიდან მეორეს, რომ ეს ძალა ისე გავრცელდება ჰაერში, როგორც მაგალითად სინათლეო“.

1897 წელს თბილისში ჩატარებული ექსპერიმენტის შემდეგ ინჟინერმა ვ. ვარაპაევმა 1898 წელს განახორციელა რადიოთი პირველი დეპეშების გადაცემა თბილისსა და ავჭალას შორის. იმავდროულად იგი ბათუმში გაემგზავრა რადიოთი კავშირების დასამყარებლად გომებს შორის.

აღსანიშნავია, რომ სპარტელოში რადიოტელეგრაფის გადაცემა-მიღების ცდამ კიდევ უფრო შეტად დაარწმუნა ვახუთი „ივერიის“ რედაქციას, რომ რადიოს დახმარებით არა მარტო ტელეგრაფის სიგნალების გადაცემა იყო შესაძლებელი, არამედ შესაძლებელი იქნებოდა რადიოთი ადამი-

ანებს ერთმანეთთან ელაპარაკეთ. დიახ, მოწყობილიყო რადიოსატელეფონო კავშირიც.

და „ივერია“ ამდევ წლის № 246-ში აქვეყნებს ასეთ ინფორმაციას: „ახალი ერთი მიტინგი ამბობს, შორს არ არის ისეთი დრო, როდესაც ადამიანს შეეძლება ელექტრონის შემწვობით დაეკითხოს თავისს ნაცნობს, სად არის იგი ამჟამად, ადამიანი ანუ სადმე შთანხედ და ხმა მაღლა დაუძახებს თავის ნაცნობს: „სადა ხარ?“ ნაცნობი უბასუხებს: „ზღვივთ ცემოგზაურობ“ ან კიდევ: „ამერიკაში ვარ“, ან „აღბოის მიებში“. თუ კაცმა ბასუხი ვერ გაიგონა, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ იმისი ნაცნობი ცოცხალი აღარ არის. ეს რა დასაჯრებელიაო, იკიბხავს გაოცებული შკიბხელი, მაგრამ ამანხედ ვუბასუხებთ: რა დასაჯრებელი იყო წინად, რომ მაგალითად, კაცს ტელეფონით შეეძებოდა ერთის ქალაქიდან მეორე ქალაქს მყოფ ნაცნობთან ლაპარაკი, განა ტელეგრაფი, ტელეფონი, რენტგენის სხივები, ფონოგრაფი და სხვა ამ გვარი გამოგონება ნაკლებად არის საოცარი, მაგრამ უკვე გამოგონილი რომ არის და ჩვენის ადგილთა ვხედავთ და ჩვენის ყურით გვესმის, ამიტომ აღარ გვიკვირს“.

ილიასელი „ივერიის“ სტრიქონები იმის შესახებ, რომ „...ადამიანი ანუ სადმე შთანხედ და ხმა მაღალ დაუძახებს ნაცნობს: „სადა ხარ?“, რასაკვირველია დღემანდელ რადიოსატელეფონო კავშირზე ოცნებას წარმოადგენდა.

ასეთი რადიოსატელეფონო კავშირი ხომ დღეს ძალზე ადვილია. თუნდაც, რადიოტექნიკური სისტემა „აღტაიანი“, რომელიც ახლახან ექსპლუატაციაში გადაეცა თბილისში და რომელიც სარკებლობის დროს აბონენტები ერთმანეთს ხშირად ეკითხებიან: „სადა ხარ?“ დიახ ასეა როცა მოძრავ ავტომობილში მჯდომნი რადიოტელეფონით ერთმანეთთან ლაპარაკობენ.

ავტომობილში დაჯგულ რადიოტელეფონს ჩვეულებრივი ყურმილი და ლილაკებიანი ნომერ ამკრეფი აქვს. როცა საჭიროა ავტომობილიდან სხვა რომელიმე ავტომობილთან ტელეფონით დაკავშირება, ავტომობილში მჯდომი ყურმილს აიღებს და „აღტაის“ ცენტრალური სადგურიდან მზადყოფნის სიგნალს მიიღებს. ამის შემდეგ ნომერამკრეფზე უერ ციფრი „9“ აიკრეფება, ხოლო შემდეგ - გამოსაძახებელი ავტომობილის სამნიშნისანი ნომერი. გამოსაძახებულ ავტომობილში სიგნალის ხმა გაისმა. აბონენტი ყურმილს აიღებს და რადიოაბონენტს შორის ჩვეულებრივი სატელეფონო კავშირი მყარდება. ისე, რომ, თბილისში სხვადასხვა ქუჩებში მოძრავი ავტომობილებიდან ერთმანეთს ტელეფონით ელაპარაკებიან „აღტაის“ აბონენტები.

მაგრამ მარტო ასეთი კავშირი როდესაც არსებობდა ახალი რადიო-ტექნიკური სისტემის საშუალებით. ავტომობილში მუდომს შეუძლია რადიოტელეფონით დაურეკოს თბილისის სატელეფონო ქსელის ნებისმიერ აბონენტს. „ალტაი“ უკუკავშირის საშუალებასაც იძლევა. ამ შემთხვევაში თბილისის ნებისმიერი ტელეფონიდან ავტომობილში დადგმულ რადიოტელეფონთან დაკავშირებას. ეს განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როცა ქალაქის სპეციალური სამსახურებიდან საჭიროა რაიმე ინფორმაციის გადაცემა სასამსახურო ავტომობილებში.

რადიოტექნიკური სისტემის „ალტაის“ არხებით დღეს უხილავი ქსელია შექმნილი თბილისის ცაზე. რადიოტალღები კვეთენ ქუჩებს, მოედნებს და პროსპექტებს, აღწევენ ავტომობილებში და ადამიანებს შორის ავტომატურ კავშირს ამყარებენ. მაშინდაზე აღმართული სატელევიზიო კოშკზე გარშემოვებული შავი ფერის ბადე-ამრეკლავი რადიოტალღებს მიმართავს თბილისის ცაზე, მისი მიდამოებისკენ და რადიოსატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს ავტომობილებს შორის. ახლა რადიოტექნიკურ სისტემა „ალტაის“ საშუალებით აბონენტები რადიოტელეფონებით ეკითხებიან ერთმანეთს: „ალო, სადა ხარ, თბილისის რომელ ქუჩაზე“?

დიახ, ისე როგორც ილიასეული „ივერია“ ოცნებობდა.

საინტერესოა, რომ „ივერიაში“ ყურადღება მიაქცია რადიოთი სატელეგრაფო კავშირის დამყარებას ევროპასა და ამერიკას შორის.

„ცნობილ ელექტრო-ტექნიკის ტესლას, თუ გაზეთებს დავუჯერებთ, გაუმართავს უმავთლო ტელეგრაფი ევროპასა და ამერიკის შუა დეპრეზიის გადასაცემად. ერთი სატელეგრაფო აპარატი ნიუ-ჯორსე-შია თურმე, ხოლო მეორე ლისაბონში“, - იუწყებოდა „ივერია“ (1901 წ., № 174).

ტესლა! ძალზე ნაცნობია დღეს ეს გვარი, მითუმეტეს, რომ მიმდინარე წელს თბილისში დაიწყება ახალი, მაღალი კლასის ელექტრონული ავტომატური ტელეფონის სადგურების დამონტაჟება, რომლებსაც იუგოსლავიის ქარხანა „ნიკოლა ტესლა“ დაამზადებს. ამ სადგურების საერთო ტევადობა 60 ათასი ნომერი იქნება და დიდ გარდატეხას შეიტანენ თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაობაში.

ნიკოლა ტესლა, რომელიც „ივერიაში“ მოიხსენია, გამოჩენილი სერბი მეცნიერი, გამომგონებელი და კონსტრუქტორი იყო. იგი დაიბადა 1856 წლის 10 ივლისს სმოლინში (იუგოსლავია). 1874 წელს 18 წლის ტესლამ დაამთავრა კარლოვეცის უმაღლესი რეალური სასწავლებელი (ბაკალავრის ხარისხით). 1878 წელს ტესლა ამთავრებს გრაფის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. 1880 წელს კი მომავალი გამოგონებელი ახლა პრადის უნივერსიტეტს ამთავრებს.

და აი, ყოველმხრივ განვითარებულნი ახალგაზრდა ოცნებობს, რომ თავისი წველილი შეიტანოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

ნიკოლა ტესლამ მუშაობა დაიწყო ბუდაპეშტის სატელეგრაფო კამპანიაში ინჟინრის თანამდებობაზე, ხოლო 1882 წელს პარიზში გაემგზავრა და აქ თამას ალვა ედისონის კონტინენტური კომპანიის ინჟინერ-ელექტრიკის თანამდებობაზე დაინიშნა. სწორედ აქ, პარიზში, შეესძლო გაუმჯობესებები შეეტანა ელექტრულ მანქანებში და სატელეგრაფო მოწყობილობაში.

ორი წლის შემდეგ ტესლა გადავიდა სამუშაოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ა.ედისონის კომპანიაში; იქ მოელოდა მხარდაჭერას ამერიკელი გამოგონებლის მხრიდან ზოგიერთი ტექნიკური იდეების განხორციელებაში, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ვიატოვა სამუშაო ედისონთან უთანხმოების გამო.

1888 წელს ტესლამ იტალიელი მეცნიერის გ.ფერარისისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინა მბრუნავი მაგნიტური ველის მოვლენა და დაამუშავა მისი ტექნიკური გამოყენების საკიდეები. იმავე წელს მან მიიღო პატენტები მრავალფაზიანი ელექტრული მანქანების (მათ შორის ასინქრონული ელექტროძრავას) და მრავალფაზიანი ცვლადი დენის საშუალებით ელექტროენერჯიის გადაცემაში სისტემის გამოგონებაზე. იმავე წლის 16 მაისს იგი გამოვიდა აშშ-ის ინჟინერ-ელექტრიკოსთა საზოგადოებაში მოხსენებით: „ძრავების ახალი სისტემის და ცვლადი დენის ტრანსფორმატორების შესახებ“, სადაც წარმოადგინა კიდევ საკუთარი კონსტრუქციის ძრავები. ერთი დღის შემდეგ ცნობილმა მეწარმემ და ცვლადი დენის გამოყენების დიდმა მომხრემ ჟ.ცესტინჰაუზმა ტესლას პატენტებისადვის მილიონი დოლარი შესთავაზა და იგი თავის საწარმოში მრჩევლის თანამდებობაზე მიიწვია.

1889 წლიდან ტესლა შეუდგა მაღალი სიხშირისა და მაღალი ძაბვის დენის გამოყვლევას, რითაც საფუძველი ჩაუყარა ელექტროტექნიკის ახალი დარგის - მაღალი სიხშირეების ტექნიკის განვითარებას. მან ააგო 5000-დან 20000 ჰც-მდე სიხშირის ელექტრული გენერატორი, ე.წ. „ტესლას ტრანსფორმატორი“, რომლის საშუალებითაც შეიძლება მილიონობით ვოლტი მაღალი სიხშირის დენის მიღება. მნიშვნელოვანია ის, რომ ცოცხალი ორგანიზმი ასეთი ძაბვის დენის გავლას ვერ გრძნობს. ასეთი დენის ეს დვისებები ღღეს ფართოდ გამოიყენება მეცნიერებასა და ტექნიკაში.

მრავალფაზიან მანქანებს შორის ტესლა ყველაზე ეკონომიურად

მიიჩნევა ორჯახიან სისტემას, რომელსაც „ტესლას სისტემა“ ეწოდა. ამ სისტემის გამოყენებით აშშ-ში ამოქმედდა მრავალი სამრეწველო ელექტროსადგური, მათ შორის 1895 წელს აგებული ნიაგარას ჰიდროელექტროსადგური, რომლის პროექტის განხორციელება არ სჯეროდათ არც უ.კელვინსა და არც ე.ედისონს.

1895 წელს ქართული ჟურნალი „კვალი“ (№ 52) წერდა: „ამ უკანასკნელ ხანამდე ელექტრონობა ფიზიკოსებისათვის განცალკავებულ და საიდუმლო მოვლენას წარმოადგენდა. ბოლოს კი, ეს რამდენიმე წელია, ბონის ფიზიკოსმა გერცმა უტყუარად დაამტკიცა, რომ ელექტრონობა, როგორც სინათლე და სიბო, სხვა არა არის—რა, თუ არა იგივე ზვირთებისებური მოძრაობა მსოფლიო ეთერისა. ამას შემდეგ ელექტრო-ტექნიკი ნიკოლა ტესლა კიდევ უფრო შორს წავიდა. მან დაამტკიცა, რომ მეტი ტოკვის მქონე ელექტრონული ჭივლი უფრო სხვანაირად მოქმედებს, ვიდრე ნაკლები ტოკვისა. ჭივლი, რომელიც ათასჯერ უფრო ძლიერია, ვინემ ის ჭივლი, რომლითაც ახლა ამერიკაში დამნაშავეთა კვლენ, სრულიად უზიანოთ გაივლის კაცის სხეულში, თუ კი ეს ჭივლი წარმოუდგენელი სიჩქარით იცვლის მიმართულებას, მაგ. 100 000-ჯერ წუთში. რადგან ეს ასეა, ამიტომ ადვილად შეგვიძლია ადამიანთა მთელ გუნდში გავატაროთ ელექტრონული ჭივლი და თუ ამ დროს სულ უკანასკნელ კაცს ხელში ასანთები ღამპარი უჭირავს, ეს ღამპარი აინთება და ლაჟვარდ-ცისფერ ნაპერწკლებს გამოისვრის“.

1896 წელს ტესლამ გამოაქვეყნა ცვლადი დენის ელექტროძრავას წრიული დიაგრამების თეორია, შექმნა რადიოსამართავი თვითმავალი მექანიზმები (მათ შორის გემის მოდელი, 1898 წ.), რომლებსაც „ტელეავტომატები“ უწოდა.

იუგოსლაველი გამომგონებლის ცდებმა თავის რადიოლაბორატორიაში ნიუ-იორკში (განსაკუთრებით 1895-99 წწ.) და მის მიერ აგებულმა რადიოსადგურმა კოლორადოში 57-6 მეტრი სიმაღლის გადამცემში ანტენით, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა რადიოტექნიკის განვითარებაზე. მან გააგრძელა რუსი გამომგონებლის ალექსანდრე სტეფანის ძე პოპოვის დაწყებული საქმე.

ტესლა, როგორც გამომგონებელი, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი გონებაშახვილობითა და ჩანაფიქრის სიამაშით. მან გააუმჯობესა რადიოაპარატურა, ორთქლის ტურბინები, ელექტრული მანქანები; მიიღო პატენტები ისეთი ხელსაწყოების შექმნისათვის, როგორცაა ელექტრული მრიცხველი, სიხშირისაზომი, სპილომეტრი, ტაქომეტრი და სხვ.

1915 წელს ედისონთან ერთად ტესლას ნობელის პრემია მიანი-



შეს, მაგრამ ტესლამ ამ პრინციპზე უარი განაცხადა. მას მიაჩნდა, რომ მეცნიერის უმაღლესი ჯილდო ის გამოგონებები და შრომებია, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე რჩება. 1916 წელს ტესლას ედისონის სახელობის მედალი მიანიჭეს, რომელიც იმ დროს უმაღლესი მეცნიერული დამსახურებისათვის იყო განკუთვნილი.

1917 წელს ტესლამ ჩამოაყალიბა წყალქვეშა ნავების რადიო-აღმომჩენი ხელსაწყოების მოქმედების პრინციპი. 1934 წელს მან შეისწავლა მაღალი ძაბვის ელექტროსტატიკური გენერატორის საშუალებით ატომის ბირთვის გახლეჩის შესაძლებლობა.

სულ ნიკოლა ტესლას სახელთან დაკავშირებული იყო 700-ზე მეტი გამოგონება. დაბადების 80 წელთან დაკავშირებით იგი დააჯილდოვეს იუგოსლავიის და ჩეხოსლოვაკიის ორდენებით. 1956 წელს ამერიკის ელექტროინჟინერთა უმაღლეს ჯილდოდ, ნაცვლად ედისონის მედალისა, დაწესდა ტესლას სახელობის მედალი, ხოლო ნილს ბორის წინადადებით, მაგნიტური ინდუქციის ერთეულს „ტესლა“ ეწოდა.

ასეთი იყო დიდი იუგოსლაველი მეცნიერი, გამოგონებელი და კონსტრუქტორი ნიკოლა ტესლა, რომლის სახელი 1901 წელს მოიხსენიება გაზეთმა „ივერიამ“.

გვინდა დავუბრუნდეთ „ივერიის“ მიერ აღწერილი რადიოთი შორ მანძილზე აფეთქების ექსპერიმენტს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, პირველი იყო მსოფლიოში.

მონდა თუ არა შემდგომ წლებში რადიოს დახმარებით შორ მანძილებზე აფეთქებების პრაქტიკული გამოყენება?

1941 წლის 14 ნოემბერს ღამით მოულოდნელმა აფეთქებამ გააღვიძა მთელი ხარკოვი. აფეთქდა დიდი სიმძლავრის ნაღმი ძერჟინსკის ქუჩა № 17-ში და შენობის ნანგრევებში დაიღუპა პიტლერელა გარნიზონის უფროსი, გენერალ-მაიორი გეორგ ფონ ბრაუნი და მრავალი მისი ახლობელი ოფიცერი.

მაშინ არავინ იცოდა, რომ წინასწარ დადებული ნაღმი მოქმედებაში მოვიდა სამეცნიერო რადიოსიგნალით, რომელიც ცორონევიდან გაიგზავნა საბჭოთა სამხედრო მეთაურების მიერ.

შემდეგ რადიოსიგნალებით შორ მანძილიდან მწყობრიდან გამოვიდა ხიდი მდინარე ისტრაზე, რითაც ძალზე შეფერხდა პიტლერელა შეტევა მოსკოვზე, ნაღმების ასეთი ხერხით აფეთქებები ხდებოდა თავდაცვითი ბრძოლების დროს სტალინგრადთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, დნეპრზე, ლენინგრადის მისადგომებზე, კურსკთან.

და ძნელია ახლა იმის წარმოდგენა, რომ შორ მანძილიდან რადიოთი აფეთქებების იდეა პრაქტიკული გამოყენებისათვის 1921 წელს დაეხმარა ნიჭიერ გამოგონებელს ვ. ი. ბექაურს, ხოლო ამ იდეის ტე-

ქნიკური განხორციელება დაკავშირებულია ვ.ი. ლენინის სახელთან.

საქმე იმაშია, რომ 1921 წლის ზაფხულში თვითნასწავლმა გამომგონებელმა ვ.ი. ბექაურმა მიმართა ვ.ი. ლენინს და წარუდგინა საქმეები და გაანგარიშებები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია რადიოტექნიკის დიდი წარმატებით გამოყენება სამხედრო საქმეში. კერძოდ, რადიოთი მოეხდინათ აფეთქებები შორ მანძილებიდან. ვ.ი. ბექაურმა დაბეჯითებით უამბო ვ.ი. ლენინს, რომ გარდა აფეთქებებისა, რადიოგნალებით შეიძლებოდა, გემებისა და ტანკების მართვა.

თვითნასწავლი გამომგონებლის იდეებით ძალზე დაინტერესდა ვ.ი. ლენინი და მისი მიითიებით მომზადდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 18 ივლისის დადგენილება, რომელიც პეტროპოლში განსაკუთრებული ბიუროს შექმნას ითვალისწინებდა სპეციალური სამხედრო დანიშნულების გამგონებათა დასამუშავებლად და პრაქტიკაში დასანერგად.

დადგენილების თანახმად, სპეციალური დანიშნულების სამხედრო გამომგონებათა განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროს, პირველ რიგში, უნდა დაემუშაებინა აპარატურა რადიოთი შორ მანძილებზე აფეთქებების განსახორციელებლად.

1921 წლის 2 აგვისტოს ვ.ი. ლენინმა ხელი მოაწერა ვ.ი. ბექაურის მანდატს, რომელშიც ნათქვამი იყო: „მიცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს ა.წ. 18 ივლისის დადგენილების საფუძველზე გამომგონებელ ვლადიმერ ივანეს ძე ბექაურს იმაზე, რომ მას დავალებული აქვს სასწრაფო წესით განახორციელოს მისი, ბექაურის სამხედრო-საინჟინერო ხასიათის გამოგონება“ და მანდატში ჩამოთვლილი იყო მთელი რიგი პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ვ.ი. ბექაურისადმი პრაქტიკულ დახმარებას. ასე მაგალითად, უნდა შექმნილიყო ცალკე სახელსნარ, სახელმწიფო მომარაგების ორგანოებს უნდა გამოეყოთ სათანადო მასალები, ინსტრუმენტები, ინვენტარი და ყოველგვარი სხვა საჭირო მოწყობილობა. თუ სახელმწიფოს რესურსებიდან ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ ისინი უნდა შეეძინათ კერძო ბაზარზე.

ვ.ი. ბექაურს უფლება ეძლეოდა, ესარგებლა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირებით სამხედრო ორგანიზაციების თანაბრად, საჭიროების შემთხვევაში თავისი თანამშრომლები მიეცვლინებინა მოსკოვსა და პეტროგრადის გუბერნიის ყველა ქალაქში. ლენინური მანდატი ავალებდა ყველა ორგანიზაციასა და თანამდებობის პირს ყოველგვარი დახმარება გაეწიათ ვ.ი. ბექაურისთვის.

იმ მიზნით, რომ გამომგონებლის სათანადო მეცნიერული მხარ-

დავერა პქონოდა, ვ.ი. ლენინის რჩევით განსაკუთრებულ ბიუროში მი-  
აველინეს ვ.ფ. მიტკევიჩი - ცნობილი მდენიერი ილექტრო და რადიო-  
ტიქნიკის დარგში.

ვ.ი. ლენინის არჩევანი სწორი გამოდგა. ვ.ფ. მიტკევიჩი 1904  
წლიდან ლექციებს კითხულობდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტ-  
ში, სადაც ათეული წლების მანძილზე იბეჭდებოდა მისი მონოგრაფიე-  
ბი „ილექტრო-ტიქნიკის ფიზიკური საფუძვლები“ და „ილექტრული და  
მაგნიტური მოვლენების თეორია“. 1906 წელს ვ.ფ. მიტკევიჩმა დაი-  
ცვა დისერტაცია და აირჩიეს პროფესორად. შრომებისა და მონოგრა-  
ფიების მაღალი ღირსებისა და პრაქტიკული გამოყენებისთვის .ვ.ფ.  
მიტკევიჩის, პირველს ჩვენს ქვეყანაში, მიეკუთვნა რადიოს გამომ-  
გონებლის ა.ს. პოპოვის სახელობის პრემია.

ვ.ი. ლენინს მიაჩნდა, რომ ვ.ი. ბექაურის და ვ.ფ. მიტკევიჩ-  
ჩის ურთიერთშეთანხმებული საგამომგონებლო აზროვნების შერწყმა  
უსაბულოდ სასარგებლო იქნებოდა და ეს ასეც მოხდა.

ვ.ი. ბექაურმა და ვ.ფ. მიტკევიჩმა დაძაბული ერთობლივი მუ-  
შაობის შედეგად უკვე 1925 წელს შესძლეს მსოფლიოში პირველი რადიო-  
ხელსაწყოების დამზადება შორ მანძილებიდან ნაღმების მოქმედებაში  
მოსახყვანად. გარდა ამისა, მათ მთელი რიგი სამხედრო ხასიათის მო-  
წყობილობები შექმნეს, რომლებსაც მოკლედ ეწოდებოდა „ბემი“ - გა-  
მომგონებლების გვარების ორი პირველი ასო (ბექაური და მიტკევიჩი).

რადიოტალღების გამოყენებით შორ მანძილზე აფეთქებების პირ-  
ველ ცდებს 1925 წელს ლენინგრადში დაესწრნენ მ.ვ. ფრუნზე, კ.ი.  
ვოროშილოვი და ს.კ. ორჯონიკიძე. შემდეგ წლებში სულ უფრო უმჯო-  
ბესდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა განსაკუთრებულ ბიუროში შექმ-  
ნილი სხვადასხვა სამხედრო ხასიათის ხელსაწყოები და მოწყობილო-  
ბები. ვ.ი. ბექაური ათობით სხვადასხვა სამხედრო გამოგონების  
ავტორი გახდა და მისი მუშაობა ამ მიმართულებით ღირსეულად დაფა-  
სდა - იგი დაჯილდოვდა ლენინის, წითელი ვარსკვლავის და შრომის  
წითელი დროშის ორდენებით.

ვ.ი. ბექაურთან ერთობლივი მუშაობის დროს და შემდგომ წლებ-  
შიც ვ.ფ. მიტკევიჩმა კვლავ გამოიჩინა თავი მდენიერულ და საგა-  
მომგონებლო მუშაობით. 1928 წელს მას მიენიჭა ლენინური პრემია,  
ხოლო 1943 წელს - სახელმწიფო პრემია, დაჯილდოვდა ლენინის, წი-  
თელი ვარსკვლავის და შრომის წითელი დროშის ორდენებით და, ავ-  
რთვედ, სხვა მთავრობის ჯილდოებით.

1927 წელს ვ.ფ. მიტკევიჩი აირჩიეს წევრ-კორესპონდენტად,  
ხოლო 1929 წელს - სსრ კავშირის მდენიერებათა აკადემიის წევრად.  
იგი ყოველთვის დიდი სიამოვნებით იხსენებდა ვ.ი. ბექაურთან ერ-

თად გაწვეულ მუშაობას და დიდად აფასებდა ქართველ გამომგონებელს.

ვლადიმერ ივანეს ძე ბექაური 1882 წელს დაიბადა. სწავლობდა ხაშურის რკინიგზის სკოლაში, ხოლო შემდეგ - თბილისის რკინიგზის სასწავლებელში. მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობებზე. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის იძულებული გახადეს საქართველოდან ციხიბრში წასულიყო, ხოლო აქედან მუდმივ საცხოვრებლად პეტროგრადში გადავიდა.

ვ. ი. ლენინის დახმარებისა და სრული მხარდაჭერის წყალობით ვ. ი. ბექაური ჩვენი ქვეყნის ცნობილი სპეციალისტი გახდა და წარმატებით დანერგა პრაქტიკაში თავისი მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლეები. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ნიჭიერი გამომგონებელი სიამაყით ინახავდა ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილ მანდატს.

აი, რა გაგვახსენა „ივერიაში“ დაბეჭდილმა მასალამ რადიოთი შორ მანძილზე აფეთქების ექსპერიმენტზე.

### რკინიგზა კავკასიონზე

კავკასიონის გავლით რკინიგზის გაყვანის საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა 1868 წელს თბილისში დაარსებულ რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში, რომლის თავმჯდომარე იყო რუსეთსა და საქართველოში კარგად ცნობილი მეცნიერი, ინჟინერ-პოლკოვნიკი მიხეილ გარსევანიშვილი (1883 წლიდან პეტროპოლისის გზათმშენებლის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექტორი).

როგორც საბაბიო მასალები გვიამბობენ, რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში საუღელტეხილო რკინიგზა პირველად 1869 წლის 7 თებერვალს საერთო კრებაზე მოიხსენიეს, როცა აქ განიხილებოდა საკითხი: „კავკასიის რკინიგზების ქსელის შესახებ“.

იმ პერიოდში უკვე მიმდინარეობდა თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის მშენებლობა და ამიტომ კავკასიის განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოსა და რუსეთს შორის რკინიგზის გაყვანის შესაძლებლობას და საჭიროებას. საერთო განვიადრება წარმოუდგენელი იყო ურთიერთგაცვლისა და მოხერხებული მიმოსვლის გარეშე.

ხვედრებზე მოხერხებულ გზად, რომელიც საქართველოს რუსეთთან დააკავშირებდა, ეს იყო რკინიგზა ბაქოსა და პეტროგრადზე გავლით, - გამოთქვეს მოსაზრება კრებაზე გამოსულებმა, მაგრამ აღნიშნეს,

არსებობდა პირდაპირი საუღღრტებილო რკინიგზის გაყვანის შესაძლებლობა, უფრო სწორად, თბილისისა და ვლადიკავკასის ერთმანეთთან რკინიგზით დაკავშირების იდეა.

„დარიალის ხეობით რკინიგზის გაყვანის შესაძლებლობაზე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ძალზე გულმოდგინე გამოკვლევების გარეშე. ყოველ შემთხვევაში ამ ადგილმდებარეობის შესწავლა რკინიგზის გაყვანისათვის მოითხოვს დიდ ღროს და ძალზე ძვირი დაჯდება“, - აი, რა იძქვა მაშინ და როგორი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ეს მოსაზრება!

რაკი ასეა, და საუღღრტებილო რკინიგზის აგების ღრ ძალზე ძნელი დასადგენია, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ერთმანეთთან დასაკავშირებლად საჭიროა ავირჩიოთ მოსახერხებელი მიმართულება, კასპიის ზღვის სანაპიროების გავლით. დიახ, ბაქოზე და პეტროვ-კაზე, - დაბეჯითებით განაცხადეს მაშინ კავკასიის განყოფილებაში.

თავის სიტყვაში მ. გარსევანიშვილი ამბობდა: „კ. ბენტკოვსკიმ და ნ. ზეიდელიმა ძალზე დამაჯერებლად ახსენეს რკინიგზის გაყვანის მნიშვნელობა საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიისაკენ კასპიის ზღვის სანაპიროს გავლით, როგორც საერთაშორისო გზისა ევროპიდან ინდოეთში. არ არსებობს რაიმე ეჭვი იმაში, რომ როცა ევროპის რკინიგზების ქსელი კავკასიის, სპარსეთის და ავღანისტანის გავლით ინდოეთის რკინიგზას დაუახლოვდება პეშევარში, მაშინ ევროპისა და აზიის ურთიერთობაში მოხდება უფრო მნიშვნელოვანი გადატრიალება, ვიდრე ვასკო-და-გამას მიერ გზის მოკვლევა ინდოეთისაკენ... ყველაზე აუცილებელია ამიერ-კავკასიის კავშირი რუსეთიდან კასპიის ზღვის სანაპიროთი. ამას როგორც სახელმწიფოებრივი, ისევე სამხედრო მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი მოსაზრება თურქეთთან და მის განუწყურელ შეკავშირებებთან ომის შემთხვევაში - ამიერ-კავკასიის რუსეთთან დამაკავშირებელი გზა ხელმისაწვდომი აღარ იქნება იმამთვის, ვინც შავ ზღვას ფლობს“.

რა სიქვა კონკრეტულად მ. გარსევანიშვილმა საუღღრტებილო რკინიგზაზე თბილისსა და ვლადიკავკასს შორის? ძალიან ბევრი.

„ყოველ შემთხვევაში, მე მიჩვენება, რომ ახლა ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ კიდევ რკინიგზის გაყვანაზე კავკასიონის უღღრტებილოზე გავლით“, - ასე დაიწყო ქართულმა მეცნიერმა თავისი მოსაზრება ამ საკითხზე.

რატომ?

ჯერ ერთი, რკინიგზას კავკასიონზე ექნებოდა მკვეთრი აღმარ-

თები და დაღმარებები, მეორეც მცხეთიდან ვლადიკავკაზამდე 180 ვერსზე რკინიგზის გაყვანა დაახლოებით 36 მილიონი მანეთი დაჯდება, მაგრამ არაგვის დაბლობზე მდომე ჩამოსვლის გამო ეს თანხა 40 მილიონ მანეთს მიაღწევდა. გარდა ამისა, უნდა გაეყვანათ 5-ზე მეტი ვერსის სიგრძის გვირაბი (ამას იფაღისწინებდა ინჟინერ ბ.სტატკოვსკის გამოკვლევა), რაც დაახლოებით 3,7 მილიონი მანეთი დაჯდება. ისე რომ, საუღრტეხილო რკინიგზის მშენებლობა 45 მილიონ მანეთამდე ავიდოდა. ეს მაშინ, როცა ამ თანხით, შესაძლებელი იყო სწორ ადგილმდებარეობაზე 900 ვერსს რკინიგზის მშენებლობა. დიახ, ამ თანხით, მოზდოკიდან ბეტროვსკზე გავლით, ბაქომდე შეიძლებოდა რკინიგზის მიყვანა და აქედან კი თბილისამდე გაგრძელება, რასაც ომბი წელი დასჭირდებოდა.

გარდა ამისა, მ.გარსევანიშვილმა სხვა მოსაზრებებზე გამოთქვა საუღრტეხილო გზის გაყვანაზე: „მე ისევე მგონია, რომ საღრტისოდ ერთი წუთიაც კი არ შეგვიძლიან ვიფიქროთ რკინიგზის მშენებლობაზე მთავარი კავკასიონის უღრტეხილის გავლით“.

რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში მაინც გაგრძელდა დისკუსია კავკასიონის ქედზე რკინიგზის გაყვანის თაობაზე და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ინჟინერ ბ.სტატკოვსკის გამოსვლამ განყოფილების 1869 წლის 22 თებერვლის სხდომაზე:

„უკანასკნელ დროს კავკასიის რკინიგზების ქსელის ყველაზე ხელსაყრელი მიმართულებების განხილვისას, გზა თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის ბევრს მიაჩნია ისეთ შეუძლებლად, ანდა შესაძლებლად მხოლოდ შორეულ მომავალში, რომ ან საერთოდ არ დაბარაკობენ, ან მას უკანასკნელ ადგილს უთმობენ კავკასიაში რკინიგზის ქსელის მოწყობაში. ამ რკინიგზას კი ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა დაეკავებინა“.

როგორც ბ.სტატკოვსკის მიაჩნდა, რკინიგზისათვის გვირაბი უნდა გაეყვანათ ან ჯერის მთის ქვეშ, ან ბულაჩარის გადასასვლელის ქვეშ და მისი სიგრძე 5 ვერსტი იქნებოდა. მისი აზრის რკინიგზის ღირებულება 16,5 მილიონი მანეთი დაჯდება და გზის სიგრძე 157 ვერსტი იქნებოდა.

კავკასიის განყოფილებაზე გამოსვლის გარდა, ბ.სტატკოვსკიმ გამოაქვეყნა იმავე წლის გაზეთ „კავკაზში“ (: 28) სტატია, რომელშიც მთელი რიგი ტექნიკური საკითხები მიმოიხილა, რომლებიც საუღრტეხილო რკინიგზასთან იყო დაკავშირებული.

1869 წლის 22 მარტს მ.გარსევანიშვილი განყოფილების კრებაზე გამოდის მოხსენებით: „შენიშვნები ბ.სტატკოვსკის სტატია-

ზე - თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის რკინიგზის გაყვანის შესახებ“.

მ. გარსევანიშვილი არ ეთანხმება ბ. სტატკოვსკის რკინიგზის ღირებულების შეფასებაში და მოჰყავს მთელი რიგი მოსაზრებები. ამასთან ერთად, მას მიაჩნია, რომ რკინიგზის მშენებლობას არანაკლებ 9 წელიწადი დასჭირდებოდა, რადგან ამაზე ადრე გვირაბის გაყვანა შეუძლებელი იქნებოდა.

„არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს სამხედრო გზა ღღის ერთადერთი შემადგენელი მაგისტრალია ამიერ-კავკასიისა და რუსეთს შორის და თუ რკინიგზა ვაივლის ღღევანდელი საფოსტო გზის ახლოს, როგორც ბ. სტატკოვსკის მიაჩნია, მაშინ გასაგებია როგორ გაძნელება საფოსტო გზაზე მიმოსვლა რკინიგზის მშენებლობის დროს. ეს კი რამდენიმე წელი გაგრძელდება“ - აღნიშნავდა მ. გარსევანიშვილი.

გრძელდებოდა დისკუსია მიხილ გარსევანიშვილსა და სტატკოვსკის შორის. 1869 წლის 12 აპრილს ბ. სტატკოვსკი რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში კვლავ გამოდის მოხსენებით საუღელტეხილო რკინიგზის შესახებ.

თუმცა, ჯერ გავეცნოთ თვით ბ. სტატკოვსკის პიროვნებას.

ინჟინერ-კაპიტან სტატკოვსკს ჯერ კიდევ 1856 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაავალეს საძიებელი სამუშაოები და გამოკვლევები ჩატარებინა კავკასიონის უღელტეხილზე კაპიტალური გზის გასაყვანად, კერძოდ სოფელ ქვეშეთიდან სოფელ კუმისციხემდე და უღელტეხილის გადავლით სოფელ კობამდე. იგი ძლიერ დაინტერესდა მღეთის აღმართზე გზის გაყვანის შესაძლებლობით და წინასწარ მოხაზა გრძელი ზიგზაგების აგების ვარიანტი. მთავარი ის იყო, რომ მღეთას აღმართზე ადვილად უნდა ემოდრავა ცხენის ტრანსპორტს და ურმებს.

ბ. სტატკოვსკიმ მომავალი გზის ტრასის დადგენის დროს შეაგროვა ცნობები თოვლის ზედაელების შესახებ, გაზომა ტემპერატურა სხვადასხვა სიმაღლეებზე და თოვლის დნობის სიჩქარეს დააკვირდა; მოიფიქრა, როგორ შეეკავებინათ ბაიდარის ხეობაში ზღავები ხელოვნური ნაგებობებით და სხვა. მან მდიდარი და საინტერესო მასალები წარუდგინა გზათა მიმოსვლის VIII ოქტის მმართველობას, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქართველოს სამხედრო გზის ექსპლუატაცია და რეკონსტრუქცია.

ამასთან, 1857 წლის დასაწყისში ბ. სტატკოვსკიმ კავკასიაში მყოფი ჯარების მთავარი შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს დ. მილიუტინს მოხსენებით ბარათი წარუდგინა თბილისსა და

ბატოს შორის რკინიგზის გაყვანის საჭიროებაზე, რასაც ეკონომიკურ რი და სამხედრო მოსაზრებებით ასაბუთებდა და დაწერილებითი გაანგარიშებები მოჰყავდა ამ გზით ტვირთის გადატანაზე და მგზავრების შესაძლო გადაყვანაზე.

კარგად იგრძნობოდა, რომ ბ.სტატკოვსკი გამჭირახი გონებისა და გზების მშენებლობის კარგი სპეციალისტი იყო, რომელსაც ბევრი სასარგებლო წინადადება შეეძლო წარედგინა კავკასიაში ახალი გზების გასაყვანად. ამიტომაც, კავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ იმავე წელს ინჟინერ-კაპიტანი ბ.სტატკოვსკი ერთი წლით შეიკარიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და ინგლისში ვიაცვლინეს გვირაბებისა და სამთო გზების დასაფალიერებად და იმ მეთოდების შესასწავლად, რომლებსაც ამ ქვეყანაში იყენებდნენ.

საქართველოში დაბრუნებულმა ბ.სტატკოვსკიმ ზემო-ბლეთის ამ მარაზე გზის გაყვანის პროექტი საბოლოოდ დაამუშავა და შემდეგ უშუალოდ ხელმძღვანელობდა მძიმე სამუშაოებს ამ აღმარაზე.

და აი, 1861 წელს დიდი სამუშაოები დაიწყო ზემო-ბლეთის აღმარაზე გზის მოსაწყობად. 1858 წელს აქ მუშაობა დაიწყო ქვეშეთის მთების გვერდის ავლით, რომელიც წარმოუდგენელ სიძნელებებს უქმნიდა მგზავრობას საქართველოს სამხედრო გზაზე.

ზემო-ბლეთის ახალი გზის შეიდი ზიგზაგი იმდროინდელი საინჟინრო ნაგებობათა გადაწყვეტის ნამდვილ შედეგს წარმოადგენდა. საქართველოს სამხედრო გზის ეს საუღელტეხილო მონაკვეთი უფრო გაბედული და სრულყოფილი იყო, ვიდრე შვეიცარიის ალპებში გაყვანილი ცნობილი მონსენის (1084 მეტრის სიმაღლე) და სიმბლონის (2009 მეტრი სიმაღლე) საუღელტეხილო გზები.

„გზის ქვის ნაფენი ისე კარგად არის გაკეთებული და სილით დაფარული რომ არა თუ ეკიპაჟები, არამედ ჯრიკები ისე მოგორავენ გზაზე როგორც პარკეტზე. ამ გზიდან ხედები შესანიშნავია: გუდის ხეობა, მთავარი უღელტეხილი გადაჭმული ხან თავისი უზორებიანი კბილანა და ხან მუდმივი თოვლით დაფარული კლდოვანი მთებით და ბოლოს არაგვის ხეობა, რომელიც ვიწრო ზოლად შორს ქვევით მოსჩანს, ძალაუნებურად ხიბლავს მგზავრს თავისი საკვირველი დიდებული მთის ბუნებით“ - წერდა 1861 წელს გაზეთი „კავკასი“.

გაზეთი აღნიშნავდა: „ზიგზაგებზე ორი წყაროა, ხოლო ერთი, ქვეშეთისა და არაგვის ხიდს შორის. ერთი მთავანის ანკარა და ცივი წყალი სამ სატენზე მაღლა ამოსჩქეფს, ეგრეთწოდებულ თეთრ ციცაბო კლდეში ჩადგმულია სპილენძის დაფა“.

ბლეთის აღმართის მეორე ზიგზაგზე მდებარე წყაროს, დღეს, „ორბელიანის წყარო“ ეწოდება, რაც შეეხება სპილენძის დაფას, მას-



ზე წარწერილი იყო, რომ გზა გაკეთდა პოლპოლოვნიკ სტატკოვსკის პროექტით და მისი ხელმძღვანელობით.

საინტერესოა ამ ნიჟიერი ინჟინრის შემდგომი დამსახურების ამბავიც: 1865 წელს დამტკიცდა „ამიერ-კავკასიის რკინიგზის მიწა-წყაროლის სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის დებულება“ და შეიქმნა მშენებლობის სამმართველო, რომლის უფროსად დაინიშნა გენერალ-ადიუტანტი გ.ღვინაშვილი, მთავარ ინჟინრად - უცხოელი ინჟინერი ბელი, ხოლო სამუშაოების უფროსად, ამ დროისათვის უკვე ინჟინერ-პოლკოვნიკი ბ.სტატკოვსკი. პირველ რკინიგზას ურთმანეთთან თბილისი და ფოთი უნდა დაეკავშირებინა.

1871 წლის 14 აგვისტოს ყვირილიდან ფოთში პირველი მატარებელი გავიდა. მოძრაობის გახსნის წინ ეს უბანი შეამოწმეს ინჟინერმა მ.გარსევანიშვილმა და ბ.სტატკოვსკიმ. აღსანიშნავია, რომ 1877 წელს ქუთაისის განშტოებამ რკინიგზის მოძრაობა სწორედ ინჟინერ-პოლკოვნიკ ბ.სტატკოვსკის შემოწმების შემდეგ გაიხსნა, რომელიც ამ დროს ფოთ-თბილისის რკინიგზის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა. უფრო ადრე, 1874 წელს ბ.სტატკოვსკი სურამის უღელტეხილზე ჩატარებულ სამუშაოებს ამოწმებდა.

ეს ნიჟიერი ინჟინერი კავკასიონის უღელტეხილზე რკინიგზის გზების გაყვანით ჯერ კიდევ 1859 წელს დაინტერესდა, როცა პეტერბურგის უწყებების შურნალში გამოაქვეყნა სტატია - „გზა კავკასიის მთების უღელტეხილზე“.

ახლა კი ისევ ბ.სტატკოვსკის მოხსენებაზე, რომელიც მან 1869 წელს 12 აპრილს გააკეთა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების განყოფილებაში საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანაზე.

ბ.სტატკოვსკიმ აღნიშნა, რომ მართლაც ძნელი იყო დისკუსია საუღელტეხილო რკინიგზის ღირებულების შესახებ, სანამ სათანადო გამოკვლევები არ ჩატარდებოდა, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო მ.გარსევანიშვილის ამ თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებებთან შეკამათება. მან მთელი რიგი შედარებები მოახდინა უკვე აგებულ რკინიგზებთან. ყაზბეგის ზვავები არ მიიჩნია რკინიგზისათვის სახიფათოდ, რადგან რკინიგზას შეეძლო გაეწყო ყაზბეგის ბილიკის ზევით, სადაც ზვავის საშიშროება არ იყო, მიმოხილვა გაუყვია რკინიგზის ექსპლუატაციას მთის პირობებში და სთქვა: „ბოლოს არ შემოძლიან არ აღვნიშნო, რომ ადგილებზე საძირკველი სამუშაოების ჩატარებამდე ყოველგვარი მსჯელობას და დავას არ შეუძლიან დაადგინოს სიმართლე იმაზე, თუ ზუსტად რა დაჯდება და როგორი იქნება ხაზის ექსპლუატაცია თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის“.

მ.გარსევანიშვილმა ამ გამოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ იგი

მელიანად ეთანხმება ბ.სტატკოვსკის უკანასკნელ მოსაზრებას.

დისკუსია გრძელდებოდა.

საინტერესო აღმოჩნდა 1870 წლის 27 მარტს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებაზე ინჟინერ კ.ზინგერნ-კორნას მოხსენება: „საჭიროა თუ არა რკინიგზა კავკასიონის უღელტეხილის გავლით“.

ამ მოხსენებაში ანალიზი გაუკეთდა აღნიშნულ საკითხზე განყოფილების წევრების ადრინდელ გამოსვლებს და ამიტომ იყო, რომ ინჟინერ კ.ზინგერნ-კორნას გამოსვლამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

გვჭირდება თუ არა ასეთი გადასასვლელი უღელტეხილებზე?

შეუძლიან თუ არა ჩვენს განყოფილებას ხელი შეუწყოს ამ საკითხის პრაქტიკულ და რაციონალურად გადაწყვეტას?

შეგვიძლიან თუ არა გამოენახოთ რაიმე საერთო აზრი, მაშინ როცა სხვადასხვა მოსაზრება არსებობს? იქნებ საბოლოო ლოგიკური დასკვნა გამოვიტანოთ?

მომხსენებელმა აღნიშნა შემდეგი: მ.გარსევანიშვილს, ისევე როგორც კ.ბენტკოვსკის, მიაჩნია, რომ კავკასიონის უღელტეხილებზე რკინიგზის მშენებლობა ჯერ-ჯერობით ნაადრევია და, ამიტომ, საქართველო რუსეთს რკინიგზით უნდა დაუკავშირდეს ბაქოზე გავლით. კავკასიაში გზების მშენებლობაზე ბ.სტატკოვსკი კი იმ აზრის არის, რომ საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანა კავკასიონზე მოხერხებული და უშიშარი იქნება საქართველოს სამხედრო გზის მიმართულებით. გზას ერთი შტო ექნება, ხოლო ხელოვნურ ნაგებობებს ორი შტო. ზეგეებისაგან რკინიგზის დასაცავად გაკეთდება 6 ვერსის სიგრძის გვირაბი ჯვრის მთის მახლობლად გუდის ხევიდან.

ბ.სტატკოვსკის ამ მოსაზრებას არ იზიარებს მ.გარსევანიშვილი, რომელსაც მიაჩნია, რომ გვირაბის გასაყვანად და გზის მშენებლობისადვის აუცილებელი იქნება არანაკლებ 9 წელიწადი. ამასთან გვირაბში და უბანზე ყაზბეგი - ლარსი დახრილობა მეტად დიდი იქნება, რაც ხელს შეუშლის რკინიგზის ნორმალურ ექსპლუატაციას.

ინჟინერმა კ.ზინგერნ-კორნამ ძალზე დაწვრილებით ილაპარაკა რკინიგზის ტექნიკურ მხარეებზე, კავკასიონის ბუნებრივ პირობებზე, შოახდინა შედარება არსებულ სამთო რკინიგზებთან, და ბოლოს, განყოფილების წევრებს მიმართა შეკითხვები: ხომ არ ჩათვლის მიზანშეწონილად ჩვენი განყოფილების საბჭო წინადადებით შემოვიდეს საერთო კრების წინაშე, რათა შეიქმნას განსაკუთრებული რკინიგზის კომისია ამ საკითხთან დაკავშირებით საბუღალტრო მოხსენების მოსამზადებლად?

ბასუხად სიტყვას ამბობს მ. გარსევანიშვილი.

მან აღნიშნა, რომ მთავარი სიძნელე რკინიგზის გაყვანისას ტვილისიდან ვლადიკავკაზში - ეს იქნება ზემო მღეთის აღმართი. აქ რკინიგზამ უნდა გაიაროს არაგვის მარჯვენა სანაპიროს ზევით, რომ რაც შეიძლება დაუახლოვდეს კავკასიონის გადასასვლელს. ცალკე-ცალკე განიხილა სხვა სირთულეები, რომლებიც რკინიგზის მშენებლობის დროს წარმოიქმნება. მოსაზრება გამოთქვა, რომ ერთი გვირაბი უნდა გასულიყო თრუსოს ხეობაში (არაგვიდან კობისაკენ) და მისი სიგრძე დაახლოებით 8 ვერსი იქნებოდა. სირთულე წარმოიქმნებოდა სოფელ სიონის შიშვეტ და გაგრძელდებოდა ლარსამდე. ამიტომ სიონიდან ლარსისკენ საჭირო იყო 12 ვერსის სიგრძის მეორე გვირაბი. მარტო ორი გვირაბის გაყვანა 17 მილიონი მანეთი დაჯდება.

მ. გარსევანიშვილის შემდეგ გამოვიდა სამო-ინჟინერი ნ. პალიბინი. საჭიროა თუ არა დაუყოვნებლივ რკინიგზის მშენებლობა უღელტეხილზე, - ეს კვლავ განხილვის აუცილებელი თემაა; კასპიის ზღვის სანაპიროებზე უკვე არსებობს საზღვაო მიმოსვლა, რაც გაცილებით იაფია, ვიდრე სახმელეთო. თუკი თვით ბ. სტატკოვსკის პროექტებით მოხდება საქართველოს სამხედრო გზის ქვის გალერეებით დაცვა ზვავებისაგან, რაც 150 ათასი მანეთი დაჯდება, მაშინ ჩვენ საიმედო სარკინიგზო მიმოსვლა გვექნება ტფილისსა და ვლადიკავკაზს შორის. გარდა ბ. სტატკოვსკის მიერ დასახული მიმართულებისა თერგის დაბლობზე გავლით, აღბაა შეიძლება სხვა მიმართულებების შეჩვენება.

ინჟინერ-გენერალ-მაიორმა პ. რეზნერგმა შენიშნა, რომ 150 ათასი მანეთი საკმარისი არ იქნებოდა საქართველოს სამხედრო გზაზე უშიშარი მიმოსვლის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში.

მ. გარსევანიშვილმა კვლავ გამოთქვა თავისი მოსაზრება იმაზე, რომ საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ რკინიგზის მშენებლობის სირთულის გამო, საერთოდ საჭირო იყო მასზე უარის თქმა. სამაგიეროდ, მან საჭიროდ მიიჩნია მეტი ყურადღება მიქცეოდა საქართველოს სამხედრო გზაზე ქვის გალერეების, ბატარა გვირაბების აგებას, რათა გზა გაცილებით უშიშარი გამხდარიყო მიმოსვლისათვის, ვიდრე იყო. რაც შეეხება ტფილისის რუსეთთან რკინიგზით დაკავშირებას, მას ყველაზე რეალურ შესაძლებლობად მიიჩნდა რკინიგზის ხაზის მშენებლობა ბაქოზე გავლით თუმცა, გადაწყდა ვლადიკავკაზიდან რკინიგზის მშენებლობა პეტროვსკამდე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, იმიტომ რომ პეტროვსკი ჩრდილოეთ კავკასიაშია, ხოლო მნიშვნელოვანია რუსეთის ამიერკავკასიის მხარესთან რკინი-

გზით დაკავშირება, - აღნიშნა მან.

მ.გარსევანიშვილმა ყურადღება მიაქცია ნ.პალიბინის გამოთქ-  
მული წინადადებასაც, რომ საუღვრელებილო რკინიგზას შეიძლება მიმა-  
რთულება პტონოდა ნილკინდან არაგვის მარჯვენა სანაპიროს მიმარ-  
თულებით. მ.გარსევანიშვილმა აღნიშნა, რომ ძიებანი სხვადასხვა  
მოსხერხებული მიმართულებების დასადგენად უნდა გაგრძელებულიყო.

რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში  
საუღვრელებილო რკინიგზის მშენებლობის საკითხმა დიდი დაინტერე-  
სება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში.

1872 წლის 28 აპრილს გაზეთმა „დროებაში“ რომლის რედაქტორი  
დიდი ქართველი განმანათლებელი სერგო მესხი გახლდათ, გამოაქვე-  
ყნა პატარა ცნობა. „დროება“ იუწყებოდა: „ამ უამად ლაპარაკია,  
რომ ტფილისისა რუსეთთან შეერთებისათვის რკინიგზა მთებში შეიძ-  
ლება გავიდეს. ამისათვის მოუნდება ერთი ადგილს ექვსი ვერსის  
სიგრძით მთაში გვირაბის (ტონელის) გათხრა. გვირაბის გათხრა  
ძნელი არ იქნებათ, რადგანაც რბილი, ჭიდა მთა არის გასათხრელი  
და მუშაობას რვა მილიონზე მეტი არ მოუნდებათ, დანარჩენ ადგილ-  
ებში გზა მთების ფერდობებზე და ვაკეებზე გავა. ანგარიშობენ, რომ  
ეს რკინის გზა ისე ძნელი გასაკეთებელი არ იქნება, როგორც აქა-  
მდის ეგონათ და გვირაბი ადვილი გასაყვანიათ, ... რომელიც 14  
ვერსიათ“.

ამა, როგორ მოხდებოდა, რომ ამ ურთულესი ტექნიკური ამოცა-  
ნის გადაწყვეტის იდეას არ გამოუხმაურებოდა ი.ჭავჭავაძის გაზე-  
თი.

1886 წლის 5 მარტს ი.ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიაში“ წერდა:  
„ჯერ თუცა ამბავად გავრცელებულია ტფილისში ხმა, რომ როკის ხე-  
ობაზე რკინის გზას გამოატარებენ კავკასიამდეო, მაგრამ დარწმუნ-  
ებით კი ლაპარაკობენ. ეს სასიამოვნო ამბავი სარწმუნო პირით  
ჩამოუტანიათ პეტერბურგიდან და მით უფრო დასაჯერია, რომ მაღალ-  
ხარისხოვან მოხელეთა მიერ არის გავრცელებული. ხუთი წლის გან-  
მავლობაში უნდა გაკეთდეს და მისვლა-მოსვლა გაიმართოს ამ ახალ  
გზაზეო. მამისონის უღვრელებილზედ კი გზატკეცილი გადავათ. ეს  
უკანასკნელი ამბავი მით უფრო შესანიშნავია, რომ მამისონის  
უღვრელებილი წინ აღუდგა როკის ხეობას და საკმაოდ მოსარჩლეობა  
მოიპოვა აქაურ მოხელეთა შორის. ბოლოს კი, როგორც ვხედავთ, ბურ-  
თი და მოუდანი როკის ხეობას დარჩენია და ამა სახით ქართლსა,  
მაკე თბილისს და ჰერცეზულ ლედას ჩვენი ქვეყნისას, ერთი სახსა-  
რი კეთილდღეობისა კიდევ მიჰმატებია. ჩვენ აქ სიხარულის მეტი  
არ გვმართებს-რა, ღმერთმა მშვილობაში და ბედნიერებაში მოახმა-

როს ჩვენს მრავალტანჯულ დედა ქარლს“.

დიახ, დიდ ილიას საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა სასიკეთო საქმედე მთარნდა.

საინტერესოა, რომ იმავე, 1886 წელს „ივერიაში“ რამდენიმე ინფორმაცია გამოაქვეყნა კავკასიონზე რკინიგზის გაყვანის თაობაზე. აი, ზოგიერთი მათგანი:

„გუშინ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ვითომ რუსთველ ვლადიკავკასიის რკინის გზა უნდა შეუერთონ ბათუმი-ბაქოს გზას და რკინის ხეობაზე (ქარლში) გამოიყვანონ. ხოლო ამ საგანზე დარწმუნებით ვერა შევიტყვეთ-რა. ამბობენ-კი, რომ რკინის გზის პროექტი დამტკიცებულია“ (№ 46).

„ჩვენ დღეს დარწმუნებით შევიტყვეთ, რომ რკინის ხეობაზე რკინის გზა გამოვა რუსთველ-ვლადიკავკასიის რკინის გზიდან ჩვენს გზასთან შესართავებელი. ეს გზა რკინის ხეობისა უნდა გაკეთდეს უსათოოდ ხუთი წლის განმავლობაში. მამისონის უღელტეხილზე კი შოსსეს გზა გადავაო“ (№ 49);

„მოსკოვისა და პეტერბურგის განვითარების სიტყვით, კვლავ ატეხილა ლაპარაკი კავკასიის უმაჯრესს ქედზე რკინის გზის გაყვანის შესახებ. გზა უნდა გამოიყვანონ ვლადიკავკასიის რკინის გზის დარკ-კოხის სადგურიდან, გორამდე. პროექტით გზის სიგრძე განსაზღვრულია 183 ვერსტი, ამ რიცხვიდან 6 ვერსზე უმეტესი გვირაბით გზა უნდა იყოს. გზის გაკეთების ჯოჯოღივე ხარჯი 38.500.000 მან. - 46.500.000 მანეთადგა გამოანგარიშებული, გზის გაკეთება ხუთქვესს წელს გასტანსო“ (№ 77);

„ჩვენ გადმოგვცა ერთმა ნაცნობმა, რომ მთავრობა შესდგომია გაშენებას რკინის გზისას ვლადიკავკასიიდან ტფილისამდე. თურმე საში გზა უნდა გამოიძიონ, ერთი რკინის ხეობაზე, მეორე ფშავ-არაგვზე და არა არაგვის ხეობაზე და შესამე კი ვერ დაგვისახელა ამ ამბის გადმოცემამა.

გამოიძიება ამ სამის გზის მთავრობას მიუხდვია ბ-ნ რიმიევსკისადვის, რომელსაც დღეს სურამის მთაზე რკინის გზის გვირაბი გაჰყავს. ამ გამოძიების სახარჯოდ მთავრობას უკვე დაუნიშნავს ხუთმეტრი ათასი თუმანი“ (№ 247).

„ივერია“ 1890 წელს (17 იანვარი) წერდა: „გამოანგარიშებულია, რომ რკინიგზის მანძილი, რომელიც გორიდან წავა ლიახვის ხეობაზე და გადაჭრის კავკასიის მთას რკინის ხეობაზე ხეობიდან, იქნება 170 ვერსი. ეს გზა დაახლოებით დაჯდება 28 მილიონი. რკინის რკინის გზა გაკეთდება მაშინ ტფილისსა და რუსტოვს შორის მხოლოდ 830 ვერსი მანძილი იქნება“.

ილიასეული გაზეთი იმავე წლის № 115 ასეთ ინფორმაციას აწვ-  
დიდა მკითხველებს:

„ჩვენ შევტიყეთ, რომ პროექტი რკინის გზის გაყვანისა ტრე-  
ლისიდან კავკასიამდე, შედგენილი გენერლის კრინციის მიერ, მოუ-  
წონებია მთავრობას და ამ დღეებშიც კიდევ გამგზავრებულია კომი-  
სია დ.ს.ს. რიძივესკის თავმჯდომარეობით იმ ადგილების დასათვა-  
ლიერებლად, რომელზედაც გაივლის პროექტით ეს გზა. გენერალი  
კრინციის პროექტით გზა იწყება კავკასიიდან მერე სტანცია ტერ-  
სკაია, სოფელი ბლო (ხევსურეთში), სადაც გაკეთებული იქნება  
გვირაბი 4 I 2 ვერსის მანძილზე, მერე საჩაკის დღე, ფშავეთი,  
არაგვის დაყოლება, სოფ. უნვანი დუშეთის მაზრაში, სოფ. ჰობოტრი.  
გზა შეუერთდება შემდეგ ეხლანდელს რკინის გზას ავჭალის ხიდთან.  
ეს პროექტი მოსწონებია აგრეთვე ბ-ნს რიძივესკის, რომელიც რო-  
გორც ამბობენ, ამ გზის უფროსად იქნება დანიშნული. უმაღლესს  
მთავრობას უფრო იმიტომ მოსწონებია ეს პროექტი, რომ მომავალი  
რკინის გზა კახეთსაც დაუახლოვებს რუსეთსა“.

გაზეთი კვლავ გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს საუღელტეხი-  
ლო რკინიგზის მიმართულების სხვადასხვა ვარიანტებს და 1892  
წლის (28 მაისი) აღნიშნავდა: „კავკასიის უმთავრეს ქედზე რკი-  
ნის გზის გასაყვანად მთავრობამ შემდეგი გზა აირჩია: ავჭალიდან  
წავა საქართველოს სამხედრო გზაზე, გაივლის ფშავისა და ხევსურ-  
ეთის არაგვის ხეობას და შემდეგ კავკასს შეუერთდება. გვირაბის  
გამხრა ორ ალგას დასჭირდება: არხოტის მთასთან II ვერსზედ და  
კავკასიის უმთავრეს ქედთან 7 ვერსზედ. გზა სიგრძის 154 ვერსი  
იქნება“.

1895 წელს „ივერია“ საუღელტეხილო რკინიგზის შესახებ ორ  
ინფორმაციას აქვეყნებს:

„როგორც ვაზ. „ნოვ.ობოზრ.“-ს შეუტყვია კავკასიონის მთა-  
ზედ გზის გაყვანის შესახებ მოსალაპარაკებლად პეტერბურგში გაუ-  
წვევითაა გზათა უფროსი ბ.ი. სტატკოვსკი, კავკასიის რკინის გზის  
მოძრაობის უფროსი ე.ნ. ზლოტნიცი და ინჟინერი კრულიკევიჩი“.

(№ 72);

„ოლდენბურგის პრინცს და თავად მინგრელიისას, ვაზ. „კავ-  
კაზ“-ის სიტყვით, უბოვითაა, მიეცეთ ნება თავისი ხარჯით გამო-  
იკვლიონ ადგილი რკინის გზის გასაყვანად კავკასის რკინის გზის  
სადგურ პრაზლადნოიდან ქ.ზუჯდიდისკენ. ფოთამდის რკინის გზა  
მდინარე ბაქსანისა და ენგურის ხეობაზედ გაივლის, კავკასიონ-  
ის ქედს ელბრუსის ახლოს გადასჭრის“ (№ 126).

კავკასიონზე რკინიგზის გაყვანა აფიქრებდა დიდ ქართველ

გამანათლებელს და საქართველოში ახალი ტექნიკური საშუალებების და-  
წერგვის ენათუზიასტს ნ.ნიკოლაძეს.

ნ.ნიკოლაძეს ვიანჩადა, რომ ტრანსკავკასიის რკინიგზის ორი  
მიმართულების განხორციელება. ერთი იყო ფოთი-ზუგდიდი-პროხლადნა-  
იას მიმართულება, ხოლო მეორე, თბილისი-ვლადიკავკაზი (კავკასიო-  
ნის უღელტეხილის გავლით).

1895 წლის ივნისში ნ.ნიკოლაძის ინიციატივით ფოთის სათაბი-  
როში მოიწვიეს კრება, რომელმაც მოიწონა რკინიგზის კავკასიონზე  
გაყვანის აზრი. ვლადიკავკაზის რკინიგზის აგენტმა ნ.შამშიევმა  
გაზეთ „კავკაზის“ 1895 წლის 13 აგვისტოს ნომერში გაილაშქრა აღ-  
ნიშნული სააკინიგზო ხაზის გაყვანის წინააღმდეგ, რითაც მოწინა-  
ვე ქართველი საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა, ხოლო ნ.ნიკოლაძემ  
საბასუხო წერილი გამოაქვეყნა „ნოვოე ობოზრენიაში“.

ძენელი ითქვას, როგორ მოხდა, მაგრამ ნ.ნიკოლაძემ ერთი პრა-  
ქტიკული ნაბიჯი გადადგა კავკასიონის ქედზე რკინიგზის გაყვანის  
განხორციელებისათვის. სწორედ იმ დღეს, როცა 1895 წლის 13 აგვი-  
სტოს ნ.შამშიევმა „კავკასიში“ წერდა ნ.ნიკოლაძის იდეის წინააღმ-  
დეგ, ილიასეულმა „ივერიაში“ დაბეჭდა მოკლე, მაგრამ საინტერესო  
ცნობა: „გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ ფოთის ქალაქის მოურავი ნ.ნი-  
კოლაძე და ორი ფრანგთა ინჟინერი, ერთი იმადგანი ძლიერ ცნობილი  
ინჟინერია ევროპაში და ეიფელის თანაშემწე“.

როგორც ცნობილია, გამოჩენილმა ფრანგმა ინჟინერმა ვუსტავ  
ეიფელმა (1832-1923) დააპროექტა და ააგო მრავალი მსუბუქი რკი-  
ნის კონსტრუქციის ნაგებობა, უმეტეს შემთხვევებში ხიდები, ცი-  
აფუკები და ვაგზლები. მისი პირველი ნამუშევარი იყო რკინიგზის  
ხიდი ბორდოზე. შემდგომ, ფრანგი ინჟინერი მონაწილეობდა ბარზის  
მეტროს, პანამის არხის მშენებლობაში, დააპროექტა თავისუფლების  
სტატუის საყრდენი, რომელიც საფრანგეთმა აჩუქა ამერიკის შეერ-  
თებულ შტატებს.

ცხადია, რომ ქართველი გამანათლებელი, სწორედ, გამოჩენილ  
ფრანგ ინჟინერს დაუკავშირდა კავკასიონის ქედზე რკინიგზის გაყ-  
ვანის თაობაზე, თორემ გ.ეიფელი თავის თანაშემწეს - „ცნობილ  
ინჟინერს ევროპაში“ არ გამოგზავნიდა საქართველოში.

როგორც გაზეთ „ივერია“ წერდა, თბილისში ჩამოსულ ფოთის მო-  
ურავს განზრახული ქონდა რკინიგზის გაყვანა ფოთიდან (ზუგდიდსა  
და სვანეთში გავლით) ჩრდილოეთ კავკასიაშიმდე და ადგილობრივ ხე-  
ლისუფლებთან უნდა შეთანხმებულიყო, რათა ამ საქმეში მონაწილე-  
ობა მიეღოთ ფრანგ ინჟინრებს.

გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა, რომ მთავრობა დათანხმდა თხო-

ენაზე გამოცევილია რკინიგზის ტრასა - „მთავრობისაგან ბ-ნმა ნი-  
კოლაძემ უკვე მიიღო თანხმობა ამ თხოვნაზე და ამის გამო საფრან-  
გეთიდან გამოიწვიეს გუშინ ჩამოსული ინჟინერები“.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ილიასეული გაზეთი  
წერდა კავკასიონზე რკინისგზის გაყვანის შესახებ. ამჟამად ეს  
იდეა რეალურ გადაწყვეტის წინაშეა.

ტრანსკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალს უაღრესად ღირსი მნი-  
შენელობა ექნება. საბჭოთა მდენიერებმა და სპეციალისტებმა დაამუ-  
შავეს და დაადგინეს კავკასიონზე რკინიგზის გაყვანის ზოგიერთი  
ექონომიკური ეფექტი. მაგალითად, ასეთი გზა თბილისსა და ჩრდილო-  
ეთ კავკასიის შორის მატარებლების გარბენას შეამცირებს 879-დან  
930 კილომეტრამდე (სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით), ხოლო მო-  
სკოვსა და ჯუღლას შორის - 1263 კილომეტრით. ამასთან, განთავი-  
სუფლდება ასობით სატვირთო ვაგონი შესაბამისი რაოდენობის ლოკო-  
მოტივით, უფრო მეტად გამოვლინდება იმ რაოდენობის საწარმოო ძა-  
ლები, რომლებზეც რკინიგზის ხაზი გაივლის. ტრანსკავკასიის რკი-  
ნიგზა ხელს შეუწყობს მდიდარი ბუნებრივი რესურსების სწრაფად  
ათვისებას და უზრუნველყოფს საბჭოთა სამრეწველო ცენტრებში ნე-  
დლეულის უმოკლესი გზით გატანას.

ტრანსკავკასიის რკინიგზა შესაძლებელს გახდის მ საათით შე-  
მცირდეს მოსკოვ-თბილისი, მოსკოვ-ერევნის, როსტოვ-თბილისის სამ-  
გზავერო მატარებლების გზაში ყოფნის დრო. მეცემთად გაიზრდება იმ  
დატვირთული ვაგონების ბრუნვა, რომლებიც საქართველოში, სომხე-  
თში და დასავლეთ აზერბაიჯანში ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილოეთ  
რაიონებიდან გადიან.

კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზამ არსებითად უნდა გა-  
ზარდოს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი, მისი მშენებლობა  
ბევრი სამინისტროსა და უწყების, შრომითი კოლექტივის სერიოზულ  
ძალისხმევას, საქმისადმი სამშენებლო კონვეიერის ყველა მონაწი-  
ლის - დამპროექტებლების, მშენებლების, ენერჯეტიკოსების, ტრან-  
სპორტის მუშაკების, მომმარაგებლებისა და სხვათა შემოქმედების  
ბატონიორულ მიდგომას მოითხოვს.

კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა თავისებურად უნიკალური  
საინჟინრო ნაგებობა გახდება. „მთის ბამის“ - ლრ ათეულზე მეტი  
ჯგირაბი არა მარტო შეამცირებს მაგისტრალის სიგრძეს, არამედ და-  
იცავს მას ამ ადგილებში ხშირი ზვავების, მიწყურებისა და ლვარ-  
ცოფებისაგან. გათვალისწინებულია ხეობებზე გაიწოს სამოცდაათზე  
მეტი ხიდი, აშენდეს ათობით გზახიდი, მიწყურსაწინააღმდეგო გაღე-  
რვა, ათასობით მეტრი საყრდენი კედელი. გაანგარიშებულია, რომ



აღაგ-აღაგ დაიღვამება 20 სართულიანი სახლის სიმაღლე მონოლითური საყრდენები.

... მდინარე არაგვის ვრცელი ხეობა მალე გახდება ვეებერთელა სამშენებლო მოედანი. ერთ-ერთი საპროექტო გადაწყვეტივა გადავადისწინებულობა ნატანტარის მახლობლად ძირითად მაგისტრალს გამოეყოს კავკასიონის საულერტეხილო რკინიგზის ხაზი. იგი გაივლის მდინარის მარცხენა მხარეს. განსაკუთრებულ სიროღღებებს გზის გაყვანა აქ არ გამოიწვევს. მაგრამ უკვე რამდენიმე კილომეტრზე მდინარის ზემო დინებაში მშენებელთა წინაშე წარმოიშობა შიის მასივების დაძლევისთან დაკავშირებული სერიოზული სიძნელეები. ერთ-ერთი მათგანია საავტომობილო გზა. დიახ, ტრასის მშენებლობას დასჭირდება სატვირთო არტერიები, რომლითაც მიიღებენ მძლავრ ტექნიკას, საშენ მასალებს და კონსტრუქციებს.

გავა კიდევ ცოტა ხანი, და კავკასიონის საულერტეხილო რკინიგზა რესპუბლიკის ცხოვრებაში ისეთივე ადგილს დაიკავებს, როგორც ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთისაგვის აქვს ბაშს.

### ოდისონიდან ქართვლ გამოგონებლამდე

ბირდაპირ საცვირეელია, თუ რა ყურადღებით ადევნებდა ავალს ილიასეული გაზეთი საქართველოსა და უცხოეთში ტექნიკური სიახლეების შექმნას, რა ფართო პოპულარიზაციას უკეთებდა ინჟინერთა და გამოგონებელთა მოღვაწეობას, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცხოვრებაში იმ დროისათვის უჩვეულო მანქანების, მოწყობილობების, მეტანიზმების გამოყენებას და რა სისტემური ხასიათი ჰქონდა ასეთი მასალების გამოქვეყნებას. გაზეთის რედაქციას სწამდა - იმდროინდელ ტექნიკურ პროგრესს ისეთი პოზიტივტივი ჰქონდა წინ, რომლებიც კაცობრიობას მიიყვანდა ურიცხვ ძნელად წარმოსადგენელ გამოგონებლამდე.

დიახ, ილია ჭავჭავაძის „ივერია“ მანათობელი ლამპარევი ანათებდა წარსულში დღევანდელობას და იმ ფინიშზე იდგა, საიდანაც დაიწყო ტექნიკურ სიახლეთა პროპაგანდა და ხალხში ტექნიკური განათლების შეტანა. მაგრამ ამასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მასალები ფაქტურად წარმოსადგენენ თანამედროვე ტექნიკის ისტორიის ფურცლებს, რომლებიც ჩვენთვის ასე ძლიერ საინტერესო და ახლობელია.

ილიასეულმა გაზეთმა ყურადღება მიაქცია თმას ალვა ედისონის ტექნიკურ შემოქმედებას და მის მიერ დამზადებულ პირველ ფო-

ნოგრაფს.

1887 წელს „ივერია“ (№ 228) წერდა: „ედისონს. თავისი ფონოგრაფი, რომელიც ჩვენ გაზეთში რამდენჯერმე იყო აღწერილი, ისე გაუმჯობესებია და გაუწყეთესებია, რომ დღეიდგან შეიძლება სიტყვები ფოსტით გაგზავნოთ; მიიღებთ თუ არა სიტყვას, ფონოგრაფს უნდა გარდასცემთ და შეგიძლიანთ უკანვე მოსახვოთ ათისა და ოცი წლის შემდეგ“.

1888 წელი. „ივერია“, № 13. „ედისონს, ამ ბოლო დროს, ისე გაუწყვია და გაუწყეთესებია თავისი ფონოგრაფი, რომ მთელს სამუსიკო პიესებს უკრავს თურმე. ამ დღეებში უცდიათ, შესძლებს თუ არა ასოთამწყობი, რომ ფონოგრაფის ლაპარაკზე რაიმე წერილი ააწყოსო. ასოთამწყობს მართლაც ძალიან თავისუფლად აუწყვია წერილი და ამას გარდა ის ცოდნაც შეუძენია, რომლის საშუალებითაც შეუძლიან ხან ააჩქაროს და ხან ნელა-ნელა აკაჩანახებინოს ფონოგრაფს“.

გაზეთმა იტოდა, ედისონის ეს გამოგონება ძალზე საინტერესო იყო მკითხველებისთვის და ამიტომ ისევე აგრძელებს ფონოგრაფზე ინფორმაციების გამოქვეყნებას. „ივერიაში“ დაბეჭდილი ეს მასალები საინტერესოა. დღეს არა მარტო იმიო, რომ გაზეთი სისტემატურად ეხმაურებოდა ტექნიკურ სიახლეებს, არამედ იმიტომაც, რომ თვალნათლივ გვიჩვენებენ რა დიდი გზა განვლო მეცნიერებამ და ტექნიკამ პირველი ფონოგრაფიდან დღემანდელ მაგნიტოფონებამდე და ციფრომაგნიტოფონებამდე, რომლებიც ახლა მბილისში ათასობითაა.

იმაცე წელს ილიასული „ივერია“ აღნიშნავდა: „როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, კაცობრიობა გამდიდრდა მეცნიერების ახალი იარაღით - ედისონის ფონოგრაფით. ფონოგრაფი ისეა მოწყობილი, რომ თითისტრების შეცვლის საშუალებით დაუსრულებლივ შეგიძლიანთ სხვა-და-სხვა სამუსიკო პიესები დააკვირეინოთ. ამ თითისტრების გადატან-გადმოტანა ერთის ადგილიდგან მეორეში ძალიან ადვილად შეიძლება. მაგალითებრ, ამერიკაში ნალაპარაკევი შეიძლება ლონდონში განამეორებინოთ ფონოგრაფს. ამ მხრივ ფონოგრაფის სიავკარგე სტადეს კიდევ და ცდამ ამოოდ არ ჩაიარა. ედისონმა ფონოგრაფი მომართა, დაუწყო თავისს მეგობარს ბაასი და ლაპარაკი და ეს ბაასი ათის დღის შემდეგ ყოველისივე წელილით განამეორებინეს ფონოგრაფს. ასე წარმოიდგინეთ, ედისონის უჯაბედა ხველაც კი გაიმეორა თურმე ამ საკვირველმა და საოცარმა იარაღმა. ახალი ფონოგრაფი ედისონისა ეხლა ისეა განკარგებული, რომ გრძელს სიტყვებს იმეორებს, ამბობს სასამართლოში მოწმეთა ჩვენებას, რამდენსამე კაცის შერეულს ყაყანს და არა თუ მარტო არიას, არამედ დუიტებსაც, ტროებსაც, კვარტეტებსაც. ამ იარაღის წყალობით

ჩვენნი შვილი-შვილნი გაიგონებენ ჩვენს ხმას და არა თუ წაიკითხავენ ჩვენს ნაწერებს, არამედ შეიტყობენ კიდევ იმ სისულელეს, რომელსაც ჩვენ დაუტოვებთ სამკვიდროდ. ფონოგრაფი დროებით ფოსტის ალაგსაც დაიჭერს. მთელი იარაღი ერას პაწია ყუთში თავსდება და იმისი სადმე გაგზავნა ძნელი მოსახერხებელი არ არის“ (№ 137).

საერთოდ, „ივერია“ ბევრ ტექნიკურ სიახლეში ხედავდა პერსპექტივობას. თუნდაც, ტელეფონის პირველი რადიომიმღების გამოგონებაში, ანდა სხვადასხვა სახის ავტომატების მოწყობაში. გაზეთს სჯეროდა, ადამიანები შესძლებდნენ ჰაეროსტატების ავთომფრინაგებით შეცვლას და კიდევ ვინ იცის, რამდენ მომავლის შექანოზებზე და ხელსაწყოებზე არ ოცნებობდა.

თუმცა, გავაგრძელოთ ილიასეული გაზეთის აზრი ედისონის ფონოგრაფზე.

1888 წლის „ივერიაში“ (№ 154). „გამოჩენილს ედისონს, მოგონს საოცარის ფონოგრაფისას, ეხლა დაუბეჭდია უშველებელი წერილი ნიუ-იორკის ჟურნალში, რომლითაც საზოგადოებას თავისს მიერ მოგონილს მანქანას გააცნობს. ჩვენ მიერ მოგონილი იარაღის შემწეობითაო, - ამბობს ედისონი, - მეფეს, სახელმწიფო კაცს, ისტორიკოსს, ფინანსისტს შეუძლიან თავისი სიტყვა გადასცენ ფონოგრაფიულს პლასტიკებს და მერე იგი, იმათს სიკვდილის შემდეგ მხელის საუკუნისა, განიმეორებს იმათს ნათქვამს იმათისავე ხმით და კილოთი. მუსიკასაც ასეთის სისწორით იმეორებს ეს იარაღი. ფონოგრაფი ადამიანიშვილისათვის იმდენს რასმეშია გამოსაყენებელი, რომ პირველში კაცი ვერც-კი აღნიშნავს და ვერც-კი ჩამოსავლის. სულ რამდენიმე სინათლის ცილინდრი უნდა ჰქონდეს ფონოგრაფის პატრონს ზედ აღნიშნულის სიმღერებით, რომანსებით, ლექსებით, სამუსიკო პიესებით, რომ არხეინად დასჯდეს სახლში და დაიტკბოს სმენა და ისე მოისმინოს, ვითომ თეატრში; ან კონცერტზეა სადმე. შემდეგ, ედისონი ამბობს, რომ ერას ცილინდრზე, რვა გოჯისაზე, შემიძლიან მთელი დიკენსის რომანი აღვნიშნოვო. შეიძლება პატარა ხანს უკან ფონოგრაფიული ჟურნალები და გაზეთებიც გამოიცეს, სანათლის ცილინდრის სახით. ამავე ფონოგრაფის საშუალებით შეუძლიან ასოთამწყობს უდენოდ ამოაწყოს რომელიმე წერილი და, დასასრულ, ფონოგრაფის წყალობითვე შეიძლება კაცმა შეისწავლოს ინგლისურისა და ან სხვა რომელიმე ენის რიგიანად და კარგად გამოთქმა“.

როგორც მკითხველი დარწმუნდა, „ივერია“ ცდილობდა, ძალზე პოპულარულად მოეთხრო ახალ ტექნიკურ სიახლეზე და ამას მარტაც, რომ კარგად აკეთებდა.

და აი, 1890 წლის მაისში გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში შეი-

ტყვეს, რომ აბილისში მოსალოდნელი იყო ფონოგრაფის დემონსტრირება. ამიტომ გადაწყდა, გამოექვეყნებინათ ამ აპარატის ავტორის ბიოგრაფია და მისი საგამომგონებლო მუშაობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები. მართლაც, 19 მაისს გაზეთმა დიდი სტატია დაბეჭდა სათაურით: „ტომას-ალვა ედისონი“.

„თუ რამდენად გაითქვა სახელი ედისონისა, ეს იქიდგან სჩანს, რომ პარიჟის უცანასკნელს მსოფლიო გამოფენაზედ ისეთის პატივი მიიღეს, თითქოს პრინცი ყოფილიყო. ამისდა მიუხედავად, ედისონი ეხლაც არ ანებებს შრომასა და ჯაფას თავს. დიდიდგან საღამომდე დაუღალავს მუშაობაშია, უკვე ორასამდე საკვირველი რამ მანქანა გამოიგონა“, - წერდა მაშინ ილიასეული გაზეთი.

გაზეთმა დაწვრილებით აღწერა ამერიკელი გამოგონებლის შემოქმედება და წარმატებები.

ძალზე საინტერესოა ერთი ადგილი ამ წერილიდგან და გვინდა მკითხველებს შევთავაზოთ:

„ედისონმა ცოლი მაშინ შეირთო, როცა უკვე სახელი დიდი მოიხვეჭა და განითქვა. ამ დროს დიდის სიამოვნებით მისახოვდებოდნენ ამერიკისა და ევროპის თვით უკეთესი და უუმიდრესი საპატარძლოები-კი, მაგრამ ედისონმა ეს არ ინდომა და ცოლად შეირთო სულ უბრალო მუშა-ქალი, მერე სტილიუკლო, რომელიც იმის ლაბორატორიაში მისახურობდა, ქორწილის დღეს, ჯვარისდაწერის შემდეგ, როცა სტუმრებმა მიულოცეს, ედისონმა ყმაწვილი მუღღე თავის სახლში დააბინავა და თითონ-კი „ერთის წუთით“ ლაბორატორიაში გაიქვა, ერას მანქანას უნდა დაცხედოო. გაიარა ერთმა საათმა, ორმა, სამმა, მოშუალამევედა, მაგრამ ედისონი კი არსადა სჩანდა. მუღღღეს ეგონა, რომ უბედურება რამ დამართნიაო, ასტეხა წივილ-კივილი და ხალხი შეჰყარა. ცილაცამ ლაბორატორიაში შეიხედა და მანახა, რომ ედისონი იქ არის არხეინად, მუშაობით გატაცებული და ფიქრებში გართული. უხბრეს თურმე, რომ ამდენის ხნის დაგვიანებით შენი ცოლი დიდად შეშფოთებულიაო.

ცოლიო? შესძახა გაოცებულმა ედისონმა: რა გული მავიწყი ვარ! მართლაც-და, დღეს ხომ ჯვარი დავიწერე!..

ეხლა ედისონს ორი შვილი ჰყავს: ეატიშვილს დოტი ჰქვია და ქალიშვილს დეში. ედისონმა ამ სახელების დარქმევასაიაც ტელეგრაფის სიყვარული გამოიჩინა, რადგან ასეთი სახელები დეპეშის ნიშნებს ჰქვიათ, დოტი - წერტილსა და დეში - პაწია ხაზს“.

ილიასეული „ივერიამ“ 28 ივნისს მკითხველებს აცნობა, რომ აბილისში ჩამოტანილი იყო ედისონის გაუმჯობესებული სისტემის ფონოგრაფი. იგი სულ ორს დღეს დაჰყოფს ტფილისში და მერე ისევ წაიღებნო.

ცხადია, ასეთი უცნაური აპარტის შესახებ ცნობა აბილისის სხვა გაზეთებმაც გამოაქვეყნეს. ასე, „ნოვოე ობოზრენიე“ ამავე დღეს იუწყებოდა, რომ ედისონის ფონოგრაფის პირველი სეანსი შედგებოდა პარასკევს ბანკი თეატრის სცენაზე. „ეს ინსტრუმენტი, როგორც გვაცნობენ, პირველად დემონსტრირებული იყო ედისონის პავილიონში პარიზის მსოფლიო გამოფენაზე 1889 წელს. „მისტერ ფონოგრაფი“ გვესტუმრა ჩვენს ქალაქში მას შემდეგ, რაც გასტროლებზე იყო ლონდონში, პარიზში, პეტერბურგში“ - წერდა გაზეთი.

ფონოგრაფის პირველი დემონსტრირება აბილისში მოხდა სასტუმრო „ლონდონში“ და მას დაესწრნენ მხოლოდ ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები. ედისონის პირადმა წარმომადგენელმა ღრეზიმ აუხსნა და მსწრეებს ფონოგრაფის მუშაობის პრინციპი და შემდეგ მოასმენინა ცალკეული სიმღერები, რუსული რომანსი „ტროიკა“, „რუსული სიმღერა“ და სხვა.

შეიძლება თუ არა, აქვე წარმოვთქვათ სიტყვები და ფონოგრაფმა გაიმეოროს? - იკითხა „ივერიის“ წარმომადგენელმა.

როგორ არა. არა თუ სიტყვები, სიმღერები, ლექსები, ფონოგრაფს შეუძლიან აღიბეჭდოს... სტვენაც და ხველებაც, - ღიმილით სთქვა ღრეზიმ.

და მალე განცვიფრებულმა დამსწრეებმა მოისმინეს ედისონის წარმომადგენლის დასტვენა და დახველება, რამაც ყველა აღფრთოვანებაში მოიყვანა.

ძალზე საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ ინფორმაცია, რომელიც პირველ ივლისს დაიბეჭდა: „ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრში საზოგადოებამ ჰანახა და მოისმინა ედისონის ფონოგრაფი. ამ შესანიშნავი მანქანის სანახავად თეატრში საკმაო საზოგადოება შეიკრიბა. წარმოდგენა დაიწყო ცხრის ნახევარზედ. თვით მანქანა ხელის სატრიალებელ საკერავ მაშინასა ჰვავს და კარგა გარკვევით გადასცემს მსმენელს ყოველივე ფირფიტაზედ აღნიშნულს, ფონოგრაფმა საზოგადოების წინაშე რამდენიმე პოქა დაუკრა, რამდენიმე რუსული საგალობელი სთქვა, რამდენიმე მარში გადმოგვცა, მთელის ორკესტრის მიერ დაკრული, და, სხვათა შორის, განიმეორა აგრეთვე ბანის არბანის მიერ პარიზის მსოფლიო გამოფენის დროს დაკრული კორნეტა-პისტონზე გარტმანის ფანტაზია „ფავორიტა“. საზოგადოება ფონოგრაფს ღიმილით კმაყოფილი ღარჩა და ზოგიერთი საექმელი ორჯელ გაამეორებინა. მეტადრე ძალიან მოეწონა რუსული საერო საგალობელი „ტროიკა“. მესამე განყოფილებაში, როდესაც ფონოგრაფს თვით საზოგადოების მიერვე ჩაძახილი უნდა აღენიშნა ფირფიტაზე და უკანვე ამოეძახა, ერთი უმაწვილი კაცი მივი-

და და ფედოროვის საკმაოდ გრძელი ლექსი სთქვა. შემდეგ თვით ედი-  
სონის წარმომადგენელი ბ-ნი დრეზი მივიდა და სტვენა დაიწყო. გა-  
იარა რამდენიმე წუთმა, ფონოგრაფმა უკლებლივ გაიმეორა ფედოროვის  
ლექსი და შემდეგ სტვენასაც მოჰყვა. ალტაცებულს საზოგადოებაში  
დიდის ტაშის-ცემა გაისმა“.

ასე გულბილად მიიღო საზოგადოებამ „მისტერ ფონოგრაფის“  
პირველი დემონსტრირება თბილისში და კიდევ ერთხელ დაადასტურა,  
რომ ყოველივე სიახლეს მცენიერებისა და ტექნიკის დარგში სრული  
გაგებობა და ინტერესი ხვდებოდა.

გავიდა ოთხი წელიწადი. „მისტერ ფონოგრაფი“ ისევ ესტუმრა  
თბილისს.

გაზეთი „ივერია“ (1895, № 7) წერდა: „ოთხშაბათს, II იან-  
ვარს, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში მისტერ გოვარდი აჩვენებს სა-  
ზოგადოებას განკარგულებულს ფონოგრაფს ედისონისას. ფონოგრაფი  
დადგმული იქნება სტოლზე და დარბაზში მყოფი საზოგადოება კონ-  
ცერტსავით მოისმენს სხვადასხვა პიესას სრულიად გარკვევიით და  
მკაფიოდ. ფონოგრაფი გაიმეორებს სხვათა შორის ვაგნერის“ „ლოენ-  
გრინს“, სამხედრო მუსიკის ხოროს მიერ აღსრულებულს „ლამეს გრე-  
ნადაში“, კვარტეტს, სხვადასხვა შესანიშნავ მგალობელთა სიმლე-  
რას და აგრეთვე „მარსელეზას“.

თბილისში კვლავ გრძელდებოდა სენსაციური სიახლის დემონსტ-  
რირება და ამან გამოიწვია ქართველი საზოგადოების საცნობიო სა-  
მართლიანი მოახლოება: ფონოგრაფი გამოუყენებიათ საკუთარი ჩანა-  
წერებისთვის. მართლაც კარგი იყო სხვა ქალაქებში ჩაწერილი ხმე-  
ბის მოსმენა, მაგრამ ამაზე უკეთესი იქნებოდა, თბილისში ჩაეწე-  
რათ საკუთარი ხმები, შეენახათ და მერე მოესმინათ.

აი, პირველი ცდები. 1895 წლის 8 მარტს გაზეთი „ივერია“  
(№ 51) აღნიშნავდა: „სამთავადაზნაურო ბანკის ქარვასლაში ეს რამ-  
დენიმე ხანია გამართულია თეატრში მისავალთან ერთს ოთახში ფონო-  
გრაფი ედისონისა. ფონოგრაფს მშვენივრად აქვს გადაღებული ქართ-  
ლი ხმები. არის გადაღებული ლექსი აკაკისა „აღმარა-აღმარა“, რ-  
მელიც უმღერია ნ. გაბუნია-ცაგარელისას. ჩვენს არტისტს კ. ყოფიანს  
წაუკიბნავს ლექსი ჩვენის პოეტის მამია გურიელისა „ადამიანი“ და  
ფონოგრაფსაც მშვენივრად შეუნახავს ეს ლექსი და ძლიერ კარგად  
იმეორებს. ყველაზედ ჩინებულად იმეორებს ფონოგრაფი აბდულ-ბაღის  
საზანდარის ხმებსა ბაიათი, შაჰნაზი, ჩახბალი და სხვა“.

ილიასეული გაზეთის ამ ინფორმაციის მიხედვით შეიძლება ით-  
ქვას, რომ სწორედ 1895 წელს თბილისში პირველად დაიწყო ფონოგრა-  
ფზე ხმის სისტემატური ჩაწერა.

გორშიც დაინტერესდნენ ფონოგრაფის დემონსტრაციით. როგორც სჩანს, თბილისში გადაწყვიტეს, გორშიც ჩაეტანათ ფონოგრაფი.

ილიასეული „ივერიის“ მკითხველებმა 1895 წლის 19 მარტს გაზეთში ამოიკითხეს ასეთი განცხადება: „23-ს მარტს მცირე ხნობით ქ.გორში ამოტანილი იქნება ფონოგრაფი ედისონისა, რომელიც ასრულებს სიმღერებსა და არიებს სხვა-და-სხვა ენებზედ და შეადგენს მე-XIX საუკუნის საკვირველებას“. ეჭვი არ არის, რომ გორელებმა, ისევე როგორც თბილისელებმა, განცვიფრებით მოუსმინეს მაშინ ფონოგრაფს.

1901 წელი. გამოჩენილმა ქართულმა კომპოზიტორმა ზ.ფალიაშვილმა გადაწყვიტა ფონოგრაფი გამოეყენებინა ხალხური სიმღერების ჩასაწერად. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დახმარებით პეტერბურგში შექმნილ იქნა ფონოგრაფი, რომელიც ზ.ფალიაშვილს გადაეცა. ზ.ფალიაშვილი მიემგზავრება კახეთსა და გურიასში, სადაც ხალხურ სიმღერებს იწერს.

გაზეთი „ივერია“ (1901, № 184) დაწერილებით აცნობებდა. მკითხველებს ქართველი კომპოზიტორის მიერ ფონოგრაფით ჩაწერილი სიმღერების ღირსებასა და ხარისხს:

„ძლივს ეღირსა ქართული სიმღერების ხმებს ფონოგრაფით გადაღება რამდენიმე წელიწადია რაც უკეთეს საშუალებად სახალხო მელოდების გადასაღებად ფონოგრაფი შემოიტანეს. ჩვენში ამას ეხლახანს მიატვიყეს ყურადღება და ამ ზაფხულს ბატონმა ზაქარია ფალიაშვილმა „წერა-კითხვის საზოგადოების“ დახმარებით კახეთსა და გურიაში გადაიღო სიმღერების ხმა“.

„ჩვენ დავესწარით ამ თვით 18 ფონოგრაფის დაკვრას და შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მომეტებული ნაწილი სიმღერებისა კარგის სინამდვილით ჩაწერილია, რამდენადაც-კი ფონოგრაფს შეუძლიან. კახურ სიმღერებისაგან მშვენივრად გაიგონებთ სუფრულს (ჩაკრულოს) მკი-დამ წამოსვლის დროს სიმღერას და ურმულს. მეტადრე ეს ორის უკანასკნელი კარგად ისმის, ეტყობა კარგი მომღერლები ყოფილან, მეტადრე ურმულის მომღერალი. სიმღერის ხმა ნამდვილი ხმაა ადამიანისა, მხოლოდ სიტყვები მკაფიოდ ვერ ისმის, რაიცა მომღერლის ბრალი უნდა იყოს და არა ფონოგრაფისა. გურულ სიმღერებში უკეთესად გამოსულა საცეკვაო სიმღერები კრიმანჭულებით და თან ტაშის კვირით. „ხასანბეგურა“, გათქმული ქობულეთში და აჭარაში, ვერ გვეჩვენა თავის მშვენიერებით, როგორც ეს გაგვიგონია გურიაში. ამის მომღერლების სიმღერას ვერ შეედრება ეხლა გადაღებული. შემდეგ გაზეთი აღნიშნავდა:

„რაც უნდა იყვეს, ეს პირველი საცადისია ქართული სიმღერე-

ბის ხმის წერისა. დღევანდელამდე ნოტებზედ გადამღებნი ვერ ახერ-  
ხებდნენ, რომ სრულის სინამდვილით დასწერონ ქართული სახალხო მე-  
ლოდიები და ამიტომ ფონოგრაფიამ წერა აუცილებელი საჭიროებაა. სა-  
ნამ ნოტების მწერლებში მცოდნე, ნიჭიერი და განსწავლული გამოჩინ-  
დებოდეს, და მაშინაც კი, თუნდაც გამოჩინდებოდეს, ცრად ერთი სა-  
შუალება ნამდვილად სიმღერის შეკრებისა და წერისათვის ფონოგრა-  
ფია. ფონოგრაფი მუსიკის მცოდნე მწერლებსაც და მომღერალ ჯუნდე-  
ბსაც დიდ დახმარებას მისცემს. ამის გამო დღეს ეისაც სახალხო  
მელოდიების მნიშვნელობა ესმის, ფონოგრაფიამ წერას უნდა მიაქცი-  
ოს ყურადღება. მაღლობის ღირსია წერა-კითხვის საზოგადოების გამ-  
გეობა, რომ დასაწყისი მისცა ამ საქმეს და ბატონ ფალიაშვილს და-  
აწერინა სახალხო მელოდიები, რომლებიც სკოლებში სამღერლად უფრო  
საჭიროა, ვიდრე დღევანდელამდე ნაწერი ნოტები მცირე მცოდნე კა-  
ცებისა“.

ასე, 1901 წელს ზ.ფალიაშვილმა გამოიყენა სახელგანთქმული  
ამერიკელი გამომგონებლის ე.ედისონის მიერ შექმნილი ფონოგრაფი  
ხალხური კულტურის შემოსანახავად და კიდევ ერთი წვლილი დასდო  
ქართული ეროვნული საუნჯის - სიმღერების თაობიდან თაობებამდე გა-  
დაცემას.

ზ.ფალიაშვილთან ერთად ამავდროულად წელს ფონოგრაფიით დაიწყო ხალ-  
ხური სიმღერების ჩაწერა დ.არაყიშვილმაც, რომელმაც ფონოგრაფი  
საკუთარი ხარჯებით შეიძინა.

უზრუნავი „მოგზაური“ (1902, № 9-10) ამის შესახებ წერდა:  
„შარშან ზაფხულს ორი ფონოგრაფისტა მუშაობდა საქართველოში: ერთი  
(ბ-ნი ფალიაშვილი) „ქართველთა შორის წერა - კ.საზოგ“ მინდობი-  
ლობით და საფასიან ხოლო მეორე - (ბატ. არაყიშვილი) თავისი ხარ-  
ჯით. რამდენადაც ვიცით, ჯერჯერობით მხოლოდ სახალხო სიმღერების  
შეესებას ჰქონდა ყურადღება მიქცეული. სახალხო სიმღერები კი,  
როგორც ვიცით, ერთი დარგია ხალხის გონებრივის ცხოვრებისა და  
მისი განვითარებისა. ვინ ამბობს, ჯერ-ჯერობით, ჩვენის უსახსრო-  
ბის ამბავი რომ მოგეხსენებათ, ჩვენგან ეგეც ბევრია. მაგრამ  
იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამაზე არ შევჩერდებით და თავს მოეუ-  
ყრით სხვა მასალებსაც; როგორც მაგ. მეგრულის (ლაზურის), სვანუ-  
რის, ინგილოურის და სხვ. კილოკავების გადაღებას, ზეპირ-სიტყვა-  
ობას და მ.ს. უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება გამოუკვოვეი არ დაგერ-  
ჩეს არც ერთი კუთხე ჩვენის სამშობლოსი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ  
ჩვენსაკვიმ გულმტკივნეულად და ადვილად (ადგილობრივი პირობები)  
ჩვენს ქვეყანას სხვა ვერავინ გამოიკვლევს. მერე თუ შეიძლება ნე-  
ბას მოგვეცემს, შეგვიძლიან (და საჭიროც არის) კავკასიის სხვა ერე-  
ბშიაც გადავიტანოთ მუშაობის ასპარეზი“.



აღსანიშნავია, რომ საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით არც თუ დაგვიანებით დაიწყო ფონოგრაფის გამოყენება. ამას ხაზს უსვამს „მოგზაურში“ დაბეჭდილი წერილის ავტორი თედო სახოკია. იგი წერს:

„ფონოგრაფის მეცნიერულად გამოყენება ევროპაში სულ რამდენიმე წელიწადია რაც დაიწყო. 1899 წ. ვენის სამეცნიერო აკადემიამ გადასწყვიტა დაეარსებინა აკადემიასთან ეგრეთწოდებული ფონოგრაფიული არქივი, სადაც თავმოყრილია ყოველივე მასალა, ფონოგრაფის შემწეობით შევსებული. ამასვე შეუდგნენ ინგლისშიაც. პარიზში ამ საქმის მეთაურობა იკისრა 1900 წელს აქაურმა საანტროპოლოგიო საზოგადოებამ. ამ საზოგადოების წევრმა აზულემ საზოგადოების კრებას წინადადება მისცა, ფონოგრაფი შეეძინათ, მსოფლიო გამოყენის დროს პარიზში უცხო ქვეყნელების ჩამოსვლით ესარგებლნათ და მასალა შეკრიბათ“.

ერთი რამ სავსებით ცხადია: მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონება - ფონოგრაფი ქართველი მოწინავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

„ივერია“ სისტემატურად აწვდიდა მკითხველებს უცხოეთში მიღწეულ წარმატებებზე მეცნიერებაში და ტექნიკაში, ცდილობდა მკითხველების პოზიტივის გაფართოებას, რაღა წარმოედგინათ რა ხდებოდა ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანაში.

მარტო ერთი, 1897 წლის განმავლობაში „ივერიაში“ მრავალი საინტერესო ცნობა დაბეჭდა მსოფლიო ტექნიკურ სიახლეებზე.

გვინდა ზოგიერთი მათგანი მოვიყვანოთ.

გაზეთის ყურადღებას იქცევს უცხოეთის ქვეყნებში შექმნილი სხვადასხვა დანიშნულების ავტომატები და „ივერია“ მკითხველებს აცნობებს: „მოგებხსნებათ, რომ საზღვარგარეთ მრავალი სხვა და სხვაგვარი მანქანაა. სხვათა შორის მრავალი მანქანაა გამართული სხვა და სხვა ნივთების გასაყიდად. მანქანა ჰყიდის შოკოლადს, ტკბილეულს, რკინის გზის ბილეთებს და სხვ. საკმარისია მხოლოდ ამ მანქანაში გაკეთებულ ადგილას კაცმა ჩააგდოს დაწესებული ფული და მანქანა თავისს თავად მისცემს ნივთსა. ზოგიერთი ასეთი მანქანა ჩვენშიაც მოუტანიათ. რაღა თქმა უნდა, რაც უფრო რთული საქმე აქვს გასაკეთებელი ამ მანქანას, იმდენად თვით მანქანაც რთული და ღირადია“ (№ 245).

„პარიზში მოუგონიათ ერთ ნაირი ეტლი, რომელიც თავისთავად დადის უცხენოდ და უხარ-კამეჩოდ. ამ ავტომატურ ეტლს მანქანა აქვს ორს უკანა თვალბეშუა გამართული, ოთხის ცხენის ძალისა. მანქანას ამოქმედებს ცეცხლი, რომლისათვისაც შემის მავიერ ნავთსა

ჰმარობენ. მანქანა სამის ცხენის ფასზე ნაკლებ თურმე სჯდება და ხარჯი ნავთზე იმის მესამედით არ გადის, რაც ორის ცხენის შენახვას უნდება. ეს-ღაა თურმე გამოსარკვევი, უშიშარია ამისთანა ეტლი ადამიანისათვის და კარგი მშვიდობიანი მატარებელია, თუ არა“ (№ 3);

„ამ ცოტა ხანში ინგლისელმა ვილკოვსმა გამოიგონა მანათლებელი კალამი, რომლითაც ბნელ ოთახში შეიძლება თურმე წერა. კალმის წვერთან გაკეთებულია ელექტრონის პატარა ლამპარი ასე მუხუდოს მარცვლისოდენა. თვით ელექტრონის მანქანა მოთავსებულია კალმის ტარში. ეს კალამი იმდენს სიმართლეს იძლევა, რომ სიბნელეში თავისუფლად შეიძლება წერა და მწერალს სანთელი აღარ სჭირდება“ (№ 5);

„სამს გერმანელს - მერაისა, ჰორვატსა და რიგას გაუშარდავთ ელექტრონის სტამბა. ამ სტამბაში ახლად მოგონილი მანქანით შეიძლება 500 სტრიქონი ერას საათში აიწყოს. მაგრამ მარტო ეს არ არის ამ ახალი სტამბის საკვირველი ღირსება. უმაგრესი საბეჭდი მანქანა მავთულებით არის შეერთებული მრავალ სხვა მანქანებთან სხვადა-სხვა ქალაქებში და ისეა მოწყობილი, რომ ელექტრონის ძალით გაზეთი ერასა და იმავე ღროს ყველა იმ ქალაქში იბეჭდება, სადაც - კი არის ეს მანქანა და რომელიც კი უმაგრეს მანქანასთან მავთულით არის შეერთებული. ეს ახალი სტამბა ძლიერ სახეიროა, რადგანაც ჯერ ერთი რომ გაზეთის გაგზავნის ხარჯი აღარ დასჭირდება გამომცემელს და მეორეც - გაზეთი ერასა და იმავე ღროს სხვადა-სხვა ქალაქებში დაიბეჭდება“ (№ 93);

„ინჟინერმა გოფმანმა გამოიგონა ტელეფონისათვის ისეთი მანქანა, რომლის შემწეობით შეიძლება კაცს დალაპარაკების მაგივრად მისწეროს, რაც გნებავთ. ამ მანქანით ყველას შეუძლიან ისარგებლოს. საკმარისია მხოლოდ ეს მანქანა შეუერთოთ ტელეფონისა ანუ ტელეგრაფის მანქანას და თავისთავად დასწერო, რასაც მოისურვებთ.

ეს მანქანა განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია კარგი, როდესაც გნებავთ გადასცეთ რამ ტელეფონით კაცს და ის-კი შინ არ არის. მაშინ ამ მანქანის შემწეობით შეიძლება ბარათი მისწეროთ, რომელიც დახვდება, შინ რომ დაბრუნდება“ (№ 232);

ძალზე საინტერესოა „ივერიაში“ (1899, № 239) დაბეჭდილი წერილი სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებებზე.

„სამხრეთშირიიელმა მემამულემ“ ა. შტიგერმა ოთხი წლის წინადა თავის ვენახებთან გორაკებზედ ექვსი სადგური გამართა. შტიგერმა დადგა ამ სადგურებში ათ-ათი ერთგვარი ზარბაზანი, განსაკუთრებულ ამისათვის მოწყობილი და ამ ზარბაზნებიდან ყუმბარების სროლა დაუწყოს შავს, სეტყვის მომასწავებელს ღრუბლებს, როცა კი ასეთ

ღრუბლებს ცაზე შეამჩნევდა, პირველმავე ცდამ საუკეთესო ნაყოფი მოიტანა: ყოველთვის, როდესაც შავ ღრუბელს ყუმბარებს ესროდნენ, ეს ღრუბელი იფანტებოდა და სეტყვის ნაცვლად დიდი წვიმა მოდიოდა. ერთის წლის განმავლობაში შტიგერმა ექვსჯერ მიმართა ამ საშუალებას და ექვსჯერვე ყუმბარებმა უებარი წამლობა გაუწია იმის ვენახებს. მაგალითს სხვა მემამულეებმაც მიჰბადეს და მალე ეს ახალი საქმე შტრიასა, კორინტიასა და მონფერმატოც გავრცელდა. მას აქეთაა ამ ადგილებში სეტყვა აღარავის უნახავს, თუმცა მახლობელს ადგილებში, სადაც ამ ზომას არ მისდევდნენ, სეტყვა უწინდებებს ხშირი სტუმარი იყო.

დღეს ამ გვარი სადგურები ავსტრიის გარდა იტალიაშიაც გაშარდეს. თითო ზარბაზანი 50-60 მანეთამდე ღირს, მაგრამ ამბობენ, უფრო იაფიც ეღირება, თუ ბრინჯაოს ნაცვლად ზარბაზანს რკინისაგან მოამზადებენო. ეხლა სადგურებს ცალკე მემამულეების ნაცვლად მთელი სოფლები ჰმარბავენ თვითივე სოფელს თავისს მამულებში რამდენიმე საკუთარი სადგური აქვს, და ყოველთვის, როდესაც შავს, საეჭვო ღრუბელს დაინახავენ, ამ სადგურებიდან ერთ ჟახა-ჯუხს ასტეხენ ხოლმე... როგორცაა ჰხედავთ, ჰკვიანმა კაცებმა საკეთილად და სასარგებლოდ გამოიყენეს ის იარაღი, რომელიც მხოლოდ ხალხის ამოსაუღებლად და ამოსაწყვეტად არის გამოგონილი" - წერდა გაზეთი.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და დღეს საყოველთაოდ ცნობილია ვენახების სეტყვისგან დაცვის ასეთი საშუალება საქართველოში და კერძოდ კახეთში!

მაგრამ ისიც არის აღნიშნული „ივერიაში“, რომ „ხალხის ამოსაუღებლად“ შექმნილი იარაღი სიკეთის საქმეს დაუმორჩილეს „ჰკვიანმა კაცებმა“.

„ივერია“ დიდ ყურადღებას აქცევდა საზღვარგარეთ მშენებარე მნიშვნელოვან და ავალსაჩინო ობიექტებს, რომლებსაც საფუძვლად ედო მცენარეული და ინჟინრული კვლევის საფუძველი. ამის საინტერესო მაგალითია საფრანგეთში ეიფელის კოშკის მშენებლობა.

1899 წლის 21 იანვარს „ივერია“ წერდა: „მსოფლიო გამოფენისათვის ინჟინერმა ეიფელმა იკისრა საკვირველის კოშკის აგება პარიზში. კოშკი სიმაღლით არის შესანიშნავი დედამიწის ზურგზე“. გაზეთს მოჰყავდა დაწვრილებითი ცნობები მსოფლიოს მაღალ შენობებზე, ტაძრებსა და კოშკებზე.

„ივერია“ დაწვრილებით აცნობდა მკითხველს ეიფელის კოშკის კონსტრუქციულ მხარეს - „ცხადია, რომ ეიფელის კოშკი, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა დამთავრდეს, ახირებული რამ შენობა უნდა იყოს და ხუროს მოძღვრებისა და საინჟინრო ხელოვნების საკვირველება.

უნდა ესაუბროს, რომ კომისს ზედ თავზე დიდი მუხის ასაცდენიც ექნება. გაკეთებული, მაგრამ ამ ასაცდენის სიმაღლე ნაანგარიშები არ არის, ეს შენობა პირამიდისაა ჰეგეს, ომბკუთხედი და თითოეულ კუთხეს ას-ედევს თითო სვეტი, რომელიც თანდათან სამს უახლოვდება და 200 მე-ტრის სიმაღლეზე სულ გაერთიანებულია, მერე მიდის მაღლა სწორად... ეიფელის კომისი მარტო იმიტომ კი არ არის შესანიშნავი, რომ უზარმაჰ ზარია, თავისებურია და ლამაზი, არამედ იმ სამათემატიკოს გამოან-გარიშებიდან, რომელიც ეიფელს უკისრია, რომ არაფერი ამ შენობაში გამოუზომელი, გამოუანგარიშებელი, გამოუწონელი არა დარჩენილიყო რა და საფათერაკოდ არა გაკეთებულიყო—რა ჯერ ისა, რომ კომისისთვის 500 დიდი გეგმა შეუდგენია და 2.400 ცალკე წერილი ნახაზები და სურათები და ყოველივე ეს მიუცია სახელმძღვანელოდ იმ სახელმწიფო-ბისათვის, რომელმაც უნდა ემზადებინათ მასალა კომისის ასაგებად. ამ გეგმათა და სურათების კეთებას მონდობება ორი წლის განმავლობაში 40 კაცი მხატველი და ანგარიშის მცოდნე მათემატიკოსი“.

ილიასეული გაზეთი დაწვრილებით განმარტავდა კომისის მშენებ-ლობის პროცესს და სამუშაოთა ორგანიზაციას: „ეს შენობა უდება სულ 5 მილიონი ფრანკი. მთავრობამ მისცა ეიფელს შესაწევრად I, I-2 მი-ლიონი ფრანკი. ქალაქმა დაუთმო ადგილი მარსის მინდორზე 20 წლის ვადით. ოცი წლის განმავლობაში ამ ადგილისათვის 1000.000 ფრანკი უნდა აძლიოს ეიფელმა ქალაქს. მერე - კი კომისი ქალაქის სრული სა-კუთრება იქნება: 20 წლის განმავლობაში ეიფელი თვით ისარგებლებს ამ კომისის შემოსავლით“.

„ივერია“ ასე ამთავრებდა წერილს: „ეიფელის კომისის წინააღ-მდეგს ბევრსა ლაპარაკობენ. თვით ეიფელი აი რას ამბობს ამ კომ-ისის გამო: ამ კომისის მწვერვალთან ბევრი რამ სასარგებლო შეგვიძ-ლია შევიტყოთ ჰავისა და ცის შესახებო, ომის დროს კი კომისი მოგ-ვცემს შეძლებას კავშირი არ გავწყვიტოთ ერთმანეთში საფრანგეთსა და პარიზსაო. ამის გარდა კომისი თვალ-და-თვალის საბუთი იქნება იმისა, თუ სადამდე მიალწია საინჟინრო ხელოვნებამო. გამოფენის გამო მე განვიზრახე შიგ პარიზის გულში ამეგო ისეთი შენობა, რომელიც ორჯერ მაღალი ყოფილიყო დღემდე აშენებულზე და დამემტკი-ცებინა ყოვლად შეძლებოდა მეტალურგიისა და საინჟინრო ხელოვნე-ბისა“.

ღიანხ, დიდი დაინტერესება გამოიჩინა ეიფელის კომისისადმი „ივერიაში“ და, რასაკვირველია, მისმა რედაქტორმაც ი. ჰავეცავაძემ რომელმაც დიდი ადგილი დაუთმო გაზეთში კომისის მშენებლობას.

საინტერესო ის არის, რომ „ივერიაში“ სავსებით სწორად შენი-შნა „ეიფელის კომისის წინააღმდეგ ბევრსა ლაპარაკობენ“. მარტაც,

სამასმა ფრანგმა მწერალმა და მსახიობმა პროტესტი განაცხადა „სა-  
შინელი“ და „უსიამოვნო“ შენობის წინააღმდეგ. მათ მიიჩნედა, რომ  
კოშკი დამახინჯებდა პარიზის პეიზაჟს.

„ღროა, ანგარიში მივცემ ჩვენს თავს იმაში, თუ რისკენ მი-  
ვისწრავით და წარმოვიდგინოთ საშინელი სასაცილო კოშკი, წამომდ-  
გარი პარიზის თავზე გიგანტურ, შავი საკვამლე მილის სახიო, რომე-  
ლიც თავისი მასივით დაჩაგრავს ისეთ ნაგებობებს, როგორც ნოტრ-  
დამია, ლუერი, ინვალიდების სასახლე, ტრიუმფალური ძალი... ეს სა-  
შინელი ბოძი შეკრული რკინისაგან საზიზღარ ჩრდილს მდაყენებს ქა-  
ლაქს განმსჭვალულს ამდენი ასეული წლები შთაგონებით“ - აი, ნა-  
წყვეტი წერილიდან, რომელსაც ხელი მოაწერა ფრანგული კულტურის ბე-  
ერმა წარმომადგენელმა და მათ შორის ისეთმა გამორჩენილებმა, როგო-  
რებიც იყვნენ: დიუმა, გუნო, მოპასანი, პრიუდონი, შემდეგ კი, რო-  
გორც ამბობენ, ეიფელის კოშკის ერთ-ერთი ცნობილი მოწინააღმდეგე  
ძალზე ორიგინალური ხერხით „ემალებოდა“ მის „საზიზღარ ჩონჩხს“ -  
ის სადღობდა თვით კოშკის რესტორანში! „ეს ერთადერთი ადგილია  
პარიზში, საიდანაც ვერ ვხედავ მას“, - ამბობდა გი ჟე მოპასანი.

აღსანიშნავია, რომ ეიფელის შესახებ უფრო ადრე, ჯერ კიდევ  
1879 წელს, საინტერესო ცნობა გამოქვეყნდა „კავკასიის“ № 36-ში.  
გაზეთი მკითხველებს აუწყებდა, რომ ბათუმში ჩამოიტანეს პარიზი-  
დან ეიფელის სისტემის ხიდი.

„კავკასიის“ წერდა, რომ ეიფელის კონსტრუქციის ხიდი ამიერ-  
კავკასიის რკინიგზისათვის იყო განკუთვნილი და საზღვარგარედიდან  
მისი შემოტანისათვის უნდა გადაეხადა 12 ათასი მანეთი საბაჟო.  
თუმცა დაეუბრუნდეთ ეიფელის კოშკს პარიზში.

პარიზში მსოფლიო გამოფენასთან დაკავშირებით 1887 წელს და-  
წყებული კოშკის მშენებლობას დასჭირდა 2 წელიწადი, 2 თვე და 5  
დღე. და როგორც „ნოვოე ობოზრენიე“ იუწყებოდა, 1889 წლის 3 მარტს  
კოშკის თავზე აღიმართა საფრანგეთის სახელმწიფო აღაში.

ეიფელის კოშკზე 1921 წელს დაიდგა მსოფლიოში პირველი რადიო-  
სადგური, ხოლო 1957 წელს მასზე სატელევიზიო ანტენა მოეწყო, სა-  
დღეისოდ 165 ტონა რადიო და ტელეპარატურაა კოშკზე დამატებით და-  
მონტაჟებული.

ეიფელის კოშკს ყოველწლიურად 2 მილიონამდე ტურისტი ათვალ-  
ერებს. მასზე ერთდროულად შეიძლება 10 ათასი კაცი იმყოფებოდეს.  
მნახველები კოშკზე ყიდულობენ სუვენირებს, იღებენ ფოტოსურათებს.  
კოშკზეა მოთავსებული პარიზის ერთ-ერთი საუკეთესო რესტორანი.

კოშკის სიმაღლე 300 მეტრია, თუმცა ეს სიმაღლე უცვლელი რა-  
დია, ცხელ დღეებში (ფიზიკის კანონის თანახმად) კოშკი 18 სანტი-

მეტრით გრძელდება! კოშკის საპროექტო წონა 5 ათასი ტონა იყო, მთლიანად კი კოშკის სრული წონა 9 ათასს ტონას აღწევს. კოშკის მოედნებს ხუთი ლიფტი ემსახურება. მათ გარდა არის კიბეებიც, რომელთა საერთო რიცხვი 1.782 საფეხურს შეადგენს!

ეიფელის კოშკის „ჯანმრთელობას“ სისტემატურად აკონტროლებენ ყოველ 6-7 წელიწადში კოშკს წმენდენ და ლებავენ. ამ ოპერაციას ასრულებს 40 მღებავი სამი თვის განმავლობაში. კოშკის „კოსმეტიკისადვის“ 40 ტონა საღებავია საჭირო. საინტერესოა, რომ კოშკზე მოწყობილი სატელევიზიო კამერების დახმარებით თვით კოშკის კონსტრუქციის კონტროლი წარმოებს.

ეიფელის კოშკი დღეს პარიზის განუყოფელი ნაწილია და შეტანილია ისტორიული ძეგლების სიაში. იგი პარიზის სიმბოლოა და ამასთან მსოფლიოს ერთ-ერთი პოპულარული ნაგებობა, დღეს გუსტავ ეიფელის ბიუსტი დადგმულია კოშკის ჩრდილოეთის „ფეხთან“ უბრალო წარწერით: „ეიფელი. 1832-1925“. იგი ხშირად ამბობდა თავის საყვარელ ნაგებობაზე - „მე უნდა განვიცდიდე ექვიანობის გრძნობას კოშკისადმი, მართლაც, ის ხომ ჩემზე უფრო ცნობილია“.

განსაკუთრებული სიამაყით წერდა ილიასელი „ივერია“ ქართველ გამომგონებლებზე და მათ მიერ შექმნილი სიახლეებზე.

1892 წელს გაზეთი (№ 31) მკითხველებს აუწყებდა:

„ევაზის სახმარებელი მაშინა, რომელიც გააკეთა საცდელად ბათუმში, ირ. აბაშიძის აზრითა და რჩევით, იქაურმა სამეხანო სახელსნოს პატრონმა რატიანმა, დღეს უნდა სცადონ ტფილისში ერთ-ერთი აგრონომის სახლში ზოგიერთ მცოდნეთა თანდასწრებით. თვით ვამგებელი მაშინისა ბ-ნი რატიანი ამ უამად ტფილისში იმყოფება და გამოცდას თითონაც დაესწრება. თუ ამ კერძო გამოცდის დროს ეს ვერმო-რელისებური სახმარებელი ევაზისა მოწონებული იქმნება, მაშინას შემდეგ წარუდგენენ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და კავკასიის საფილქსერო კომიტეტს“.

აი, მეორე ინფორმაცია, რომელიც „ივერიაში“ (№ 35) იმავე წელს გამოაქვეყნა: „საიმპ. სამეურნეო საზოგადოებას ბ-ნმა რატიანმა წარუდგინა ორი სასხურებელი მანქანა (პულვერიზატორი), რომლითაც წამლობენ ობს (მილდიუს); ბ-ნი რატიანი ითხოვს, რომ მისი მანქანა გამოცდილ იქნას და, თუ სასარგებლოდ აღმოჩნდა, მიეცეს სათანადო მოწმობა გასავრცელებლად მის მიერ მოგონილ იარაღისა. რატიანი თავის მანქანას აფასებს 14 მან. საზღვარგარეთის ამგვარივე მანქანა კი ღირს 19-20 მან.“.

„ივერიაში“ ყურადღება მიიქცია 1892 წლის ერთ საინტერესო სიახლეს:

„ჩვენს თანამემამულეს ინჟინერს თავ. ბებუთოვს მოუგონია ახალი ღონისძიება სიგნალიზაციისა მატარებელთათვის ელექტრონის შემწეობით. ამ უამად სიგნალიზაცია მატარებლებში თოკის შემწეობით სწარმოებს, რომელიც ორბქლმავლიდამ. მატარებლის ბოლომდეა გაბმული.

ბ-ნ ბებუთოვის მიერ აღმოჩენილი ახალი წესი სიგნალიზაციისა ბალტიის რკინის გზაზე გამოსცადეს რუსეთის საიმპერიო სატექნიკო საზოგადოების წევრის და კარგი და საგნის შესაფერისი აღმოჩნდა“ (№ 15).

როგორც 1893 წელს ილიასეულ გაზეთში (№ 197) გამოქვეყნებული ერთი წერილიდან სჩანს, თელაველმა აღექსანდრე ლეონიძემ დაამზადა მოწყობილობა მეფუტკრეობის დარგში.

აი, როგორ აღწერდა ამ მოწყობილობის დანიშნულებას და მის მოქმედების პრინციპს „ივერია“:

„ყველამ იცის, რომ ფუტკარი უსწორ-მასწორად აწყობს ფიჭებსა, რომელთაგან ბევრი ცალიეროც რჩება, რადგანაც გზა დაეხშობა ხოლმე და ფუტკარი თავისუფლად ველარ შედის თაფლის დასადებლად. ამის გარდა, ფიჭების ამოღებაც ძნელია და სავსე ფიჭების ამორჩევა შეუძლებელია. ამისათვის მალად ფიჭები უნდა დაიშალოს. ბ-ნ ლეონიძის მიერ მოგონილი მანქანა ამ საქმეს ძალიან აადვილებს. წინადავე გაკეთებული ჩარჩოები ანუ ფირფიტები უნდა წყობისად ჩაიღოს სკაში და ამ ფირფიტებს გარშემო უნდა წერილად გაკრული ჰქონდეს ან ფიჭი ანუ დასორსლილი წმინდა სანთელი. ამ რიგად ფუტკარს სამუშაო გეგმა ეძლევა და ისიც რიგ-რიგად ავსებს ფირფიტებს ჯერ ფიჭით და მერე თაფლით. მარტალია ევროპიელთ აქვთ იმის შინაგვარი მანქანა, მაგრამ ის ძნელი მოსახმარიც არის და ძვირიც; თითო ცხრა თუმინდგან ოცამდე ღირს. ბ-ნ ლეონიძის მანქანა-კი ადვილი სახმარია და ბევრით იაფიც; თუმანი, თუმანანახევარი ღირს თითო მანქანა“.

როგორც სჩანს, გაზეთმა ყურადღება მიაქცია ლეონიძის ჩანაფიქრის ეკონომიკურ მხარესაც.

ახლა კი, რას წერდა 1897 წელს „ივერია“ (№ 123).

„ტფილისის მცხოვრებს პავლე ოდიკაძეს, ხელობით ღურგალს, გამოუგონია და გაუკეთებია სულ ახალი კვერი. ამ კვერს კაჟის მაგოვრად წვრილი ხერხები აქვს ჩასმული რიგ-რიგად ისე, რომ მარტო კბილები მოსჩანს ქვემოდგან. ოდიკაძე ამბობს, შარშან გამოვცადე კალოზედ და ამ კვერით ღეწვა ერთი ხუთად უფრო ადრე და ადვილად მოვასწარიო. კვერი სრულებით არ აზიანებს მარცვალსა თო კვერისით. მარტო ხუთის მანეთის წვრილი ხერხები უნდა. ამგვარად სულ დიდი კვერი პავლე ოდიკაძისა ერთ თუმანზედ მეტი არ ეღირება. ავით პავლე

ოდიკაძემ სთქვა: ფიქრადა მაქვს კევრი ისე მოემარჯო ველოსიპედთან, რომ ერთ კაცს შეეძლოს გაღვივა და მაშინ კალსთვის აღარც ხარი იქნება საჭირო და არც ცხენიო. კევრის ნახვა შეუძლიან ყველა მსურველს პავლე ოდიკაძის საკუთარ სახლში, ნორიოს ქუჩაზედ, № 18“.

ილიასეული გაზეთი ხშირად ვრცლად აღწერდა საქართველოში ახალი მანქანების გამოცდას. ამ მხრივ საყურადღებოა 1899 წლის № 140-ში დაბეჭდილი მასალა ქიზიყში ჩატარებული უცხოეთის კონსტრუქციის სამკალი მანქანის გამოცდის შესახებ: ... ვერ გამოსცადეს სამკალი მანქანა „დეზი“, როგორც უფრო მარტივის მოწყობილებისა და შემდეგ მეორე სამკალი ძნის შემკვერელი მანქანა, რომელიც უფრო რთულია მოწყობილებით. პირველის სამუშაოდ არის საჭირო ორი ცხენი და ოთხი კაცი. მკის იგი 16 დღიურს დღეში მკის 22 დღიურს დღეში.

რაკი დაიძრა მანქანა, იგრილა და ამოდენა ხალხი - ცხენოსანი და ქვევითი ზედ მიაწყდა; ტევა აღარ იყო ხალხისაგან, მაზრის უფროსს წალის ქუსლები დააგლიჯეს. ძლივს-ძლივობით ხალხი დალაგდა აქეთ-იქით ყანის პირად, დაიწყო მანქანის „დეზის“ მოქმედება. „დეზი“ მუშაობს მემანქანის დაუხმარებლად. პირველად ცოტა არია სამკალი, მაგრამ მალე ძალიან კარგად დაიწყო მკა. ერთის მოსმით თითქმის მთელის საჟენის ოდენა ადგილს მოიმკიდა; თითოეულს ძნას, შეუკვრელს, წყნარად გადმოაწყობდა და დააგდებდა მომკილს ყანაში. ძნები მწყრივად ეწყობოდა. ხალხის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ისე წმინდად იმკებოდა, რომ ძნელია იპოვოს კაცმა მოუმკელი, შიგ დარჩენილი თავ-თავი“.

გაზეთი ასე ამთავრებდა წერილს: „გაუმარჯოს ქიზიყელებს და ამ საქმის მოთავეთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ქიზიყელები ადვილად გასძლოდნენ სიძნელეს, რომელიც აღმოჩნდება ამ საქმეში. ეს კეთილი დასაწყისი ერთი იყოს და სხვა მრავალი!“

მაგრამ ილია ჭავჭავაძეს - გაზეთ „ივერიის“ რედაქტორს, რასაკვირველია, ყველაზე მეტად აინტერესებს ქართველი გამომგონებლები. გაზეთმა რამდენიმე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ნიჭიერ გამომგონებელზე ალექსანდრე ივანის ძე ჯავახიშვილზე.

1898 წელს „ივერიაში“ (№ 75) დაბეჭდა წერილი სათაურით: „ახალი ელექტრო-ტექნიკური მანქანა რკინის გზებზედ სახმარებლად. უბედური შემთხვევების ასაცდენად ტეხნიკის ალექსანდრა ი. ჯავახიშვილის მიერ გამოგონილი და გაკეთებული“.

გაზეთი იუწყებოდა: „სავაჭრო სამანუფაქტურო დეპარტამენტმა“ ოილად მოიწონა მანქანა და პრივილეგია მისცა ბ-ნ ჯავახიშვილს. პეტერბურგის ერთი ქარხნის პატრონი, პირველის გილდის ვაჭარი ბ-ნი ეოსადლო უკვე პირობით შეეკრა ბ-ნ ჯავახიშვილს, რომ რუსეთის ყვე-



ლა გზებზედ სანახევროდ უნდა დაიწყოს ამ ახალი მანქანის გაკეთება. სხვათა შორის ამ დღეებში მოუვიდა ბ-ნ ჯავახიშვილს თხოვნა საფრანგეთის სამხრეთი დასავლეთის რკინის გზების წარმომადგენელ ბ-ნ ლეფვერისაგან, რომელსაც ბ-ნ ჯავახიშვილის მიერ გაგზავნილი ნიმუში მანქანისა ძლიერ მოსწონებია და სთხოვს, რაც შეიძლება მალე გამართოს საფრანგეთშიაც ამგვარი მანქანები“.

მაშ ასე, ქართველის გამოგონებით საფრანგეთშიც დაინტერესებულან, ხოლო რუსეთში ეს ტექნიკური მიღწევა 1897 წელს დაინერგა პეტერბურგ-ვარშავის რკინიგზაზე.

რას წარმოადგენდა ა.ჯავახიშვილის გამოგონება?

თუმცა, ჯერ სჯობს ისევ „ივერიის“ სტრიქონებს მივყვეთ. 1899 წელს ილიასეული გაზეთი კვლავ დაუბრუნდა ი.ჯავახიშვილის რკინიგზებზე დანერგულ სიახლეს:

„ბ-ნ ჯავახიშვილის მიერ გამოგონილი მანქანა მატარებლების ერთმანეთის ასაცდენად არა თუ ყოველსავე იმ ღირსებით არის შემკული, რომელიც სხვა მანქანებსა აქვთ, არამედ შემდეგი უპირატესობაც მოეპოვება. ეს მანქანა იმდენად მარტივია, რომ სულ უბრალო მუშის შეუძლიან იმისი ხმარება. გარდა ამისა, მანქანა არა ფუჭდება, ასე რომ არც ხშირად უნდა შეკეთება. თვით მანქანა ისეა გამართული, რომ არც სინესტეს იკარებს. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ მანქანის პედალი რელსებზე მიმაგრებული ძლიერ პატარაა, უცხო კაცი ვერ-კი შეამჩნევს და მაშასადამე არც ბოროტ-გამზრახველ კაცთაგან არის შიში, რომ არ გააფუჭონ.“

ჯავახიშვილის მანქანა გამართეს 1897 წლის ოქტომბერში პეტერბურგისა და ვარშავის შორის რკინის გზაზე. მანქანა მთელის წლის განმავლობაში საუცხოოდ ასრულებდა თავისს დანიშნულებას“.

გაზეთში დაბეჭდილი წერილებიდან ირკვევა, რომ ქართველი გამოგონებელს შეუქმნია თანამედროვე ავტობლოკირების სისტემა, რომელიც საშუალებას იძლეოდა ორ რკინიგზის სადგურს შორის რამდენიმე მატარებელი გაეშვათ ერთი მიმართულებით. სისტემა უზრუნველყოფდა მატარებლებს შორის დისტანციების დაცვას და მის დარღვევის შემთხვევაში მატარებლების გაჩერებას. დიახ, ზუსტად ისეთი პრინციპით, რომელიც დღეს გამოყენებულია, თუნდაც, ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

თუ გავიფიქრობებთ, რომ, როგორც „ივერია“ იუწყებოდა, ა.ჯავახიშვილის გამოგონებას „სავაჭრო სამანუაქტროო დეპარტამენტმა“ პრივილეგია მიანიჭა, ცხადია, ქართველი გამოგონებლის ტექნიკური გადაწყვეტა მსოფლიო სიახლე იყო და მისი მსგავსი მოწყობილობა უცხოეთის არც ერთ სახელმწიფოში არ მოქმედებდა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღეს შესაძლებელია ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიკვლევა.

გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ინფორმაციები გვამცნობენ, ქართულ გამოშვებებს სხვა საინტერესო სიახლეებიც შეუქმნია.

„ივერიაში“ სპეციალური რუბრიკით „ივერიის დეპეშა“ დაბეჭდა ასეთი ინფორმაცია: „პეტერბურგი. 18 მაისი. მეცნიერთა, მცოდნე კაცთა და პარიჟიდან კრეზოს ფირმის მიერ გაშვებულ ინტენერის თანდასწრებით გუშინ გამოცდილ იქმნა აღექსანდრე ივანეს ძის ჯავახიშვილის მიერ გამოგონილი მანქანა, რომლის წყალობით რამდენადმე იაფდება ელექტრონის სინათლე. დამსწრენი გაოცებულნი დარჩნენ მანქანის სიმარტივით და ყველამ ერთხმად გადასწყვიტეს, რომ მანქანა დიდად გამოსადეგიაო“ (1898, № 104).

ერთ წერილს, რომელიც 1898 წელს გაზეთმა (№ 275) გამოაქვეყნა, სათაურად ჰქონდა - „ბ-ნ აღექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილის მიერ გამოგონილი ახალი მანქანა დეპეშების გასაგზავნად-გამოსაგზავნად“. „ივერია“ აღწერდა ამ გამოგონებას, ა.ჯავახიშვილმა ცვლილებები შეიტანა. ტელეგრაფის აპარატებში, რამაც დააჩქარა დეპეშების შორ მანძილზე გადაცემა შუალედი სადგურების გამოყენების გარეშე; მაშინ ქართველი გამოგონებელი 28-30 წლისა ყოფილა.

გაზეთიდან ვიგებთ, რომ ქართველი გამოგონებლის მიერ დამუშავებული ახალი სქემა და მოწყობილობა რუსულ ჟურნალებში გამოქვეყნდა (№ 19, 20).

„პეტერბურგში შესდგა ცნობილი ელექტრო-ტექნიკოსის აღექსანდრე ჯავახიშვილის მეტაფიზიკით ახალი ამხანაგობა, რომელმაც უნდა გააკეთოს ახალი სისტემის ელექტრონული ეტლები და დილიუანები. ამ ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ სხვათა შორის კავკავ-როსტოვის რკინის გზების უფროსი აქციონერი ბარონი შტენგელი და ქ.გროზნოს ნავთის მწარმოებელი ახვერდოვი“.

ნათუ მაშინ, 1899 წელს, ქართველი გამოგონებელი ცდილობდა დღევანდელი ელექტრომობილის წინამორბედის შექმნას!

ეს საკვირველი იქნებ არც იყო, რადგან ა.ჯავახიშვილი კარგად ერკვეოდა ელექტროტექნიკაში და მას ფანტაზიის დიდი უნარი გააჩნდა. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც „ივერიის“ ფურცლებზე ა.ჯავახიშვილის შესახებ დაბეჭდილ წერილებს ყურადღებით წაიკითხავს.

რადგან, ასე დაწვრილებით შევხებით ქართველი გამოგონებლის მუშაობას, მოვიყვანოთ 1900 წელს „ივერიაში“ (№ 284) გამოქვეყნებული ერთი ცნობაც: „როგორც მკითხველებმა უკვე იცინან, ა.ი. ჯავახიშვილმა ახალი საშუალება გამოიგონა თეატრში ცეცხლის გა-

ჩენის ღროს უბედურების თავიდაცან ასაცილებლად. პეტრობურგში უკვე რამდენიმე თეატრში გამოუყენებიათ ჯავახიშვილისათვის ახლად გამოგონებული მანქანები. ეხლა, როგორც გახეი გადმოგვეყვინ, ბ-ნი ჯავახიშვილი პარიჟში მიუწვევიათ თავისს მანქანების დასადგმელად“.

აი, ახალი იმდროინდელი სენსაცია!

ქართული გამოგონებელი მიიწვიეს პარიჟში, რათა ფრანგებისათვისაც გაეცნო თავისი გამოგონება „ოპერა კომიკუში“ „კომიკუტის“ თეატრში ცეცხლი გაჩნდა 1887 წელს და ასამდე შეხურებელი დაიწვა.

ასი წლის მანძილზე (1777 წლიდან 1877 წლამდე) მსოფლიოში 460 თეატრი განადგურდა, - აქედან 31 - ლონდონში, 29 - პარიჟში, 26 - ნიუ-იორკში, 21 - სან-ფრანცისკოში, 17 - ფილადელფიაში, 11-11 - ბოსტონსა და გლაზგოში, 7 - ბორდოში, 6 - ვენეციაში და ა.შ.

ამიტომ იყო, რომ ილიასეულმა გაზეთმა დაწვრილებით აღწერა ა.ჯავახიშვილის გამოგონების შინაარსი.

გაზეთი ერთ-ერთ ნომერში წერდა: „ჩვენს თანამემამულეს, თავ. ა.ი. ჯავახიშვილს გამოუგონია მანქანა, რომლის შემწობითაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ თეატრში ცეცხლის გაჩენის ღროს მამხდარი უბედურება. პეტრობურგში ახალი თეატრი აუშენებიათ. „ხალხის სიყვარულისათვის მზრუნველ“ საზოგადოებას თავ.ჯავახიშვილის გამოგონებაც გაუშარბავს ამ თეატრში, აი რასა წერს ამ გამოგონების შესახებ რუსული გაზეთი: „ეს ახალი გამოგონება, რომლის მოდელიც გამოგონმა, თავად ა.ი. ჯავახიშვილმა პირველად თეატრის ამშენებელ კომისიას წარუდგინა, მეტად მარტივი რამ არის. თეატრის ყველა კარს უნდა გაუკეთდეს განსაკუთრებული მანქანა: ეს მანქანები მოქმედებაში მიჰყავს ელექტრონის დენს (თეატრები უმეტეს ნაწილად ელექტრონითაა განათებული, ამიტომ დენი ხელდავე აქვთ). მანქანები შეერთებულია ელექტრონის გამტარებლებით, რომელთაც თავები ერთ საშუალო ადგილას აქვთ მოყრილი, სადაც ყოველთვის წარმოადგენს ღროს მორიგე უნდა იდგეს. როდესაც თეატრში ცეცხლი ან სხვა რამ უბედურება გაჩნდება, მორიგე ხელს დააჭირს ელექტრონის პატარა ღილს და თეატრის ყველა კარები ერთბაშად გაიღება; რათა მორიგე ღრვებზე შეატყოს, რომ თეატრში უბედურებაა აღადსაჩინო ადგილებში ელექტრონისავე დიდებია გამართული და ყველას შეუძლიან ხელი დააჭიროს და აცნობოს მორიგეს, რომ უბედურებააო. ემიერობა, ეს ახალი გამოგონება მეტად მარტივი რამ არის. ამ დღეებში მანქანები გამოსცადეს და დარწმუნდნენ, რომ თავად ჯავახიშვილის გამოგონება დიდს

სარგებლობას მოუტანს თეატრს. გამოცდას დაესწრნენ აშშ-ენებელი კომისია და საზოგადოების უაღვსესტოესი თავმჯდომარე“.

როგორ კარგად შემოუნახა ილიასეულმა გაზეთმა ჩვენს თანამედროვეობას ნიჭიერი ქართველი გამოგონებლის ა.ჯავახიშვილის ტექნიკური შემოქმედების ფართე დიაპაზონი...

ამას უკვე კომენტარები აღარ სჭირდება.

საინტერესოა „ივერიის“ ცნობა, რომელიც გაზეთის № 61-ში დაიბეჭდა 1900 წელს:

„როგორც გაზეთები იუწყებიან, მ.ს. გამრეკელს მიკრო ტელეფონი გაუშუქობესებია და ეს გაუშუქობესებული ტელეფონი წარუდგენია სათანადო მთავრობისათვის პრივილეგიის მისაღებად. ამ მიკრო-ტელეფონს რუსეთის ერთ-ერთ რკინის გზაზედ გამოსცდიან“.

ფურცლავთ გაზეთის გვერდებს და კიდევ ერთხელ რწმუნდებით რამდენი ფანტაზიის უნარი და მონდობება გააჩნდათ ქართველ სპეციალისტებს. რაზე არ ფიქრობდნენ, რას არ იგონებდნენ!

ღიას, ქართველმა კაცმა თაობიდან თაობებს გადასცა გამჭირახობა, მიხვედრილობა, მოხერხებულება.

განა ამის მოწმე არ არის ყოველი ჩვენთაგანი, როცა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ეცნობა, როცა თვალნათლივ ხედავს ქართველი მცენიერების, ინჟინრების, კონსტრუქტორების და სოფლის მეურნეობის მუშაკების შემოქმედებით აზროვნების შედეგებს? გრძელდება ტრადიციები!

ძნელი და წარმოუდგენელია მფიქვანთმ ყველა ის გამოგონება და ტექნიკური სიახლე, რომლის შესახებ ილიასეული გაზეთი წერდა. მაგრამ თუკი გულმოდგინეთ თვალს გადავავლებთ „ივერიის“ ნომრებს, დაწყებული 1886 წლიდან, უსათუოდ დავრწმუნდებით იმაში, რომ გაზეთი გასაოცარი თანამედროვობით უწევდა პოპულარიზაციას ტექნიკურ სიახლეებს. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის თვითოეულ ნომერში მრავალი სახის წერილი და ინფორმაცია იბეჭდებოდა, მისი რედაქცია მაინც ბოლობდა ადგილს სამეცნიერო-ტექნიკური საკითხებისთვის.

როცა, ამას აღვნიშნავთ, არ შეიძლება პარალელი არ გავავლოთ დღევანდელ პრესაში გამოქვეყნებულ გამოგონებებსა და ტექნიკურ სიახლეებს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში ამ თემებზე ბუბლიკაციები შესამჩნევად ცოტაა. შეიძლება ამის მიზეზი ის არის, რომ გამოდის მრავალი ტექნიკური ხასიათის უზრუნალი, მაგრამ უზრუნალი მაინც ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა ყოველდღიურ მოთხოვნილებას ამ თემაზე.

100 წლის წინათ გამოსულმა გაზეთმა თავისი მნიშვნელობა დღე-

საც არ დაკარგა იმიტომ, რომ მასში ბევრ ისეთ საკითხებს ვხვდებით, რომლებიც მისაბაძია, დამაფიქრებელი და მაგალითი ღღევანდელი უზრუნველყოფისთვის.

ილიასეულ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალები დამაჯერებლად გვიჩვენებს იმ დიდ გზას, რაც მაშინდელმა ტექნიკურმა სიახლეებმა განვლო ღღევანდლამდე, წარმოადგენას გვაძლევს ტექნიკის ისტორიასა და მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობაზე. ეს კი ძალზე საჭიროა ღღევანდელ ეტაპზე, როცა ცხოვრება მოიხსოვს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დარქარებას.

## ს ა რ რ ე ვ ი

|   |    |
|---|----|
| წინათქმა . . . . .                                  | 3  |
| ოცნება ელექტრიფიკაციაზე . . . . .                   | 6  |
| აკუმულატორი? დიახ, ძალის შენახვა . . . . .          | 10 |
| მზის ენერჯის ძალა . . . . .                         | 11 |
| ისევ ელექტრონებსა და რენტგენის სხივებზე . . . . .   | 17 |
| ფოსტის „სტანციებიდან“ ელექტრონულ ფოსტამდე . . . . . | 23 |
| ამბავი პირველი დეპეშებისა . . . . .                 | 35 |
| „შაბაში, ადამიანის ყოველად ძლიერებას“ . . . . .     | 45 |
| პირველი ექსპერიმენტი . . . . .                      | 64 |
| რკინიგზა კავკასიონზე . . . . .                      | 76 |
| ედისონიდან ქართველ გამომგონებლამდე . . . . .        | 89 |

რედაქტორი ნ. ნ ა რ ს ი ა  
მხატვრული რედაქტორი გ. ზ ა კ ა ლ ა შ ვ ი ლ ი  
ტიპოგრაფი მ. ა შ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ,  
უფ. კორექტორი ბ. ლ გ ე ბ უ ა ძ ე  
კორექტორი ლ. ლ ი პ ა რ ტ ე ლ ი ა ნ ი  
გამომცემი დ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი  
უფრ. რედაქტორი ლ. შ ა კ ი ე ვ ა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.II.87. ქალაქის ზომა 60X84 1/16  
საბეჭდი ქალაქი ოფსეტის 75 გრ. ნაბეჭდი თაბახი 7. პირ.ნაბეჭ-  
დი თაბახი 6,51. პირ.საღებავგატარება 6,74. სააღრ.-საგამომცემ-  
ლო თაბახი 6,32.

ტირაჟი 2 000

უე III32

შეკვ. № 1074

ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.  
Издательство "Ганатлеба", Тбилиси, ул.Орджоникидзе № 50.

1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვა-  
ჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № I სტამბა, თბილისი,  
ორჯონიკიძის ქ. 50.

Типография № I, Государственного комитета Грузинской ССР  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси,  
ул.Орджоникидзе № 50.